# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 მარტი სამშაბათი 2014

№046 (14 267) ფასი 80 თეთრი


ჩემპიონთა ლიგა

# მილანი და არსენალი სახლში დაკარგულს სტუმრად ეძებენ

8




## დღეს
ატლეტიკო VS მილანი
ბაიერნი VS არსენალი



## კOKოშკოვი თანახმაა

### სერბი სპეციალისტი საქართველოს ნაკრებში კიდევ ორ წელიწადს დარჩება



რამდენიმე დღის წინათ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მიხეილ გაბრიჩიძემ** თქვა, რომ ნაკრების მომავალი მწვრთნელისგან საბოლოო პასუხი 10 მარტს უნდა მიეღო და ასეც მოხდა - გუშინ გვიან ღამით კალათბურთის ფედერაციის ვებსაიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმად **იგორ კოკოშკოვი** საქართველოს ეროვნულ გუნდს კიდევ ორი წლით გაუძღვება.

საქართველოს ნაკრებში ის პირველად 2008 წელს გამოჩნდა და გუნდი ორჯერ გაიყვანა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ევრობასკეტი 2013-ის დასრულების შემდეგ მას ფედერაციასთან ხელშეკრულების ვადა ამოეწურა. გაჩნდა არაერთი ინფორმაცია, თითქოს კოკოშკოვს სერბეთი, სლოვენია და პოლონეთი ეპატიჟებოდნენ, თუმცა საბოლოოდ, როგორც თავშივე მოგახსენეთ, იგორი საქართველოს ნაკრებში გააგრძელებს მუშაობას.

წლეულს, აგვისტოში, ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩეხეთის, უნგრეთისა და პორტუგალიის წინააღმდეგ ითამაშებს. ევრობასკეტი 2015-ს კი უკრაინამ უნდა უმასპინძლოს...

ეკა სიმონიშვილი

ინციდენტის კვალდაკვალ

## კომისიამ თავისი თქვა, რას იტყვის აღმასკომი?

### ქუთაისის სტადიონზე სირბილი დროებით აიკრძალა

ქუთაისში, „ტორპედო"-"დინამოს" შეხვედრისას მომხდარ ფაქტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის საგანგებო სხდომა მოჰყვა. ქუთაისელ ქომაგთა აგრესია პირველი არ არის და ვისურვოთ, რომ ბოლო ყოფილიყოს, მაგრამ ვეჭვობთ, ასე იყოს, მით უმეტეს - დისციპლინართა გუშინდელი ვერდიქტის შემდეგ. ბევრის აზრით, კომისიამ ქუთაისელთა მიმართ ლმობიერება გამოიჩინა - გაცილებით მკაცრი სასჯელიც შეიძლებოდა. თუმცა სტკ-ს თავმჯდომარე ჯიმშერ ტყებუჩავამ გვითხრა - მე და ჩემმა კოლეგებმა „ტორპედოს" სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული ყველაზე მძიმე სასჯელი დავაკისრეთ, დანარჩენი კი აღმასკომზეა, ფედერაციის უმაღლეს ორგანოს ჩვენი გადაწყვეტილების კიდევ უფრო დამძიმება შეუძლია...


ჯიმშერ ტყებუჩავა

საგანგებოდ შეკრებილმა სტკ-მ კი დაადგინა, რომ „ტორპედომ", უფრო სწორად - მისმა ქომაგებმა, სადისციპლინო კოდექსის ერთბაშად 5 მუხლის პირობა დაარღვიეს, რის გამოც კლუბს 18 300 ლარი ჯარიმად გამოუწერეს. პლუს ამას, „ტორპედოს" სტადიონს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, ხოლო „დინამოსთან" შეხვედრაში მასპინძლებს 0:3 ტექნიკური ნაგება ჩაეთვალათ. მომდევნო 5 მატჩის „ტორპედოს" ნეიტრალურ მოედანზე გამართვა მოუწევს და, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ აღმასკომმა ქუთაისური კლუბის ქომაგები არც იმ 5 თამაშს დაასწროს.

„ტორპედოსთან" ერთად, დაჯარიმდა „დინამოც", თუმცა მხოლოდ - 800 ლარით და ისიც იმიტომ, რომ თბილისური კლუბის ქომაგებმა, თავდასხმის მოგერიებისას, ტრიბუნებიდან სკამები მოგლიჯეს და მომხვდურთა მისამართით ისროლეს.

მე-2 გვერდზე »


11

## დავით ქირია კინგბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონია


2

● სკანდალის კვალდაკვალ




# ტორპედო აცხადებს:

თბილისის დინამოს მწვრთნელი მალხაზ ჟვანია (მარჯვნივ) ფორვარდ ჩისკოს დაცვას ცდილობს

# მოსალოდნელი პროვოკაციის შესახებ ფედერაცია გაფრთხილებული იყო

ეგრეთ წოდებული, ქართული „კლასიკოს" დროს ქუთაისში მომხდარი ფაქტის გამო ისედაც ფინანსური პრობლემის წინაშე მყოფ „ტორპედოს" სერიოზული სანქციები დაეკისრა. აგრესიულ გულშემატკივართა უმართავმა ტალღამ ყველაზე მეტად თავისი საყვარელი გუნდი აზარალა. ცხადია, რომ პროვოკაცია რამდენიმე დღით ადრე იგეგმებოდა. ზოგიერთმა ფანმა გუშინდელი მოვლენების შემდეგ „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე დაახლოებით ასეთი რამ დაწერა: **„დღეს სტადიონზე ფეხბურთის საყურებლად არ ვყოფილვართ, ჩვენ გვინდოდა, „დინამოსთვის" და მისი ფანებისთვის ჭკუა გვესწავლებინა და ეს გავაკეთეთ კიდეც".**

მატჩის წინ გარკვეული ექსცესები და გართულებები მოსალოდნელიც იყო. ამის წინაპირობას თბილისში, პირველი წრის მატჩისას მომხდარი ინციდენტიც (როცა გაურკვეველმა პირებმა „ტორპედოს" დროშა დაწვეს და ამას გულშემატკივართა შორის ჩხუბი მოჰყვა) იძლეოდა და წარსული მძიმე გამოცდილებაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სტადიონზე საკმაოდ ბევრი პოლიციელი იყო მობილიზებული. ისინი თითქმის ყველა შესასვლელს აკონტროლებდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, ეს საკმარისი არ ყოფილა - თუ ფანები ბოლომდე თავზე ხელს აიღებდნენ და 200-მდე კაცი სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან შეიჭრებოდა მოედანზე, ალბათ, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. როგორც ჩანს, „შეტევითი ოპერაცია" გაცილებით უკეთ იყო დაგეგმილი, ვიდრე პრევენციული თუ თავდაცვითი ზომები. სამომავლოდ, ეს კარგი გაკვეთილი უნდა იყოს მათთვის, ვისაც სტადიონებზე წესრიგის უზრუნველყოფა ევალება.

როგორც „ტორპედოს" პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძემ** გვითხრა, ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელობა ერთი კვირით ადრე აფრთხილებდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

*„კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი პაპიაშვილმა ოფიციალური წერილით მიმართა ფედერაციას, რომელშიც იყო გაფრთხილება „ტორპედოსა" და „დინამოს" ფანებს შორის შესაძლო დაპირისპირების თაობაზე. ამ წერილის მიზანი იყო ის, რომ ფედერაციის შუამავლობით „დინამოს" ფანკლუბს ქუთაისში ჩამოსვლისგან თავი შეეკავებინა. ასეთ შემთხვევაში, ამ უმსგავსობას თავიდან ავიცილებდით. პირადად ვესაუბრე „დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და ვთხოვე, რომ მოსალოდნელი პროვოკაციის გამო, გულშემატკივრები ქუთაისში არ წამოეყვანათ, მაგრამ მისი პასუხი ასეთი იყო - წამოყვანაზე უარი რომ ვუთხრათ, ცალკეულ ჯგუფებად ჩამოვლენ ქუთაისში და, შესაძლოა, ეს უარესიც იყოს, ამიტომ, აჯობებს, „დინამოს" ფანკლუბი ქუთაისში ორგანიზებულად ჩამოვიდესო",* - გვითხრა „ტორპედოს" პრესატაშემ.

**დავით კოხრეიძე**

# კომისიამ თავისი თქვა, რას იტყვის აღმასკომი?

« პირველი გვერდიდან

- ჩვენზე რაც იყო დამოკიდებული, პირნათლად შევასრულეთ, სადისციპლინო კოდექსი ბოლომდე დავიცავით და „ტორპედო" მთელი სიმკაცრით დაისაჯა, - გვითხრა სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე **ჯიმშერ ტყებუჩავამ**, - ქომაგთა მიზეზით მატჩის ჩაშლის გამო, კოდექსი სტადიონისთვის 5-მატჩიან დისკვალიფიკაციასა და 10-ათასლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, მაგრამ ქუთაისელთა მხრიდან გამოვლენილი კიდევ რამდენიმე უსაქციელობის გამო, კლუბს 8 300 ლარის ჯარიმაც დაემატა.

**- ქუთაისში მსგავსი რამ პირველად არ მომხდარა. 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციის გასვლის შემდეგ ანალოგიური ინციდენტი ისევ რომ მოხდეს, ამაზეც 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციაა გათვალისწინებული?**

- დიახ, რასაც კოდექსი გვეუბნება, იმას ვაკეთებთ, თუმცა აღმასკომს სადისციპლინო კოდექსის შეცვლაც შეუძლია და ჩვენ მიერ გამოტანილი ვერდიქტების გამკაცრებაც.

**- კი, მაგრამ, აღმასკომი ყოველი ინციდენტის გამო ხომ არ შეიკრიბება?**

- ყოველი ინციდენტის შემდეგ არა, მაგრამ როცა ხალხის დაშავებასთან გვექნება საქმე, შეიძლება, რომ შეიკრიბოს.

**- კომისიის სხდომაზე კლუბების წარმომადგენლებს პროსტესტი ხომ არ გამოუთქვამთ?**

- არანაირი პროტესტი არ ყოფილა. „ტორპედოს" წარმომადგენლები ფედერაციაში იყვნენ, მაგრამ სხდომას არ დასწრებიან, ხოლო „დინამოს" მხარე მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით დაკმაყოფილდა.

საკვირაო ტურში კიდევ ერთი მატჩი იყო ჩაშლის პირას, მაგრამ იქ უკვე მასპინძელი კლუბის თანამშრომლებმა იყოჩაღეს და რამდენიმე გავეშებული ქომაგი დროულად დააშოშმინეს. გორში, „დილა" „ვიტ ჯორჯიას" ეთამაშებოდა და მასპინძელთა გამარჯვების წინაპირობა რომ არ ჩანდა, ადგილობრივი ქომაგიც სწორედ ამან გაამწარა. იცოცხლეთ, ამრევებმა გული ჯერ გინებით იჯერეს, ხოლო შემდეგ რამდენიმემ იერიში მსაჯებზეც მიიტანეს. შედეგად, მატჩი 15 წუთით შეწყდა, ხოლო დისციპლინარებმა თქვეს - ვინაიდან, მსგავსი არეულობა გორში პირველი არ ყოფილა, კლუბს ოთხი ათასი ლარის ჯარიმა დაეკისრა.

ჯიმშერ ტყებუჩავამ განგვიმარტა, რომ მატჩის შეწყვეტის პირველ შემთხვევაში სადისციპლინო კოდექსი ჯარიმად 2 ათას ლარს ითვალისწინებს, გამეორებისას კი - 4 ათასს. „დილას" ფეხბურთელი **ლექსო კვახაძე** კი ამავე შეხვედრაში მსაჯის შეურაცხყოფისთვის 600 ლარით დაისაჯა.

**... ინასარიძე**

● XXI ტურის მიმოხილვა

# სად იყო პრევენცია?

პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურს მართლაც დიდი ინტერესით ველოდით: იმის გარდა, რომ ზედა ექვსეულის დაკომპლექტების საკითხი უნდა გარკვეულიყო (თანაც, ერთ-ერთ მატჩში სულაც უშუალო კონკურენტები ხვდებოდნენ ერთმანეთს), არანაკლებ ინტრიგას იწვევდა რიგით 57-ე „ქართული კლასიკოც"; თანაც, უკვე წლებია, „ტორპედოსა" და „დინამოს" დაპირისპირებებს გამორჩეულ-განსაკუთრებული ინტრიგა ახლავს ხოლმე და ეს იმის მიუხედავად, იმ კონკრეტული მომენტისათვის მეტოქეებს რა სატურნირო მიზნები ამოძრავებთ. მოკლედ, ინტერესიც დიდი იყო ამ ბოლოსწინა ტურის მიმართ და იმასაც ველოდებოდით, რომ ამა თუ იმ მატჩში, შესაძლოა, ემოციებს ემძლავრა...

...ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორი სკანდალური გამოდგა 9 მარტის „ტორპედოსა" და „დინამოს" დაპირისპირება - რაც იმ დღეს ქუთაისში მოხდა, ფეხბურთისგან ძალიან შორს იყო! სამწუხაროდ, მხოლოდ ქუთაისური შეხვედრა არ ყოფილა განსჯის საგანი: „დილასა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩი, დაახლოებით, ათი-თხუთმეტი წუთით იყო შეწყვეტილი და ადგილობრივი კლუბის წარმომადგენლებსა თუ წესრიგის დამცველებს რომ არ ეყოჩაღათ, არანაკლები სკანდალი გორშიც შეიძლება მომხდარიყო!

..."ტორპედო"-"დინამოს" მატჩის დროს მომხდარ ვანდალიზმს შეფასება უკვე მიეცა შესაბამისი უწყებების მხრიდან; ამ ჩაშლილ მატჩს „ლელო" დღესაც გამოეხმაურა და სხვა დროსაც დაგმობს იმ ვითომგულშემატკივართა ზღვარგადასულ ქმედებებს; იმასაც გეტყვით, რომ მსგავსი რამ (მატჩის ჩაშლას ვგულისხმობთ) ჩვენს ჩემპიონატში ადრეც მომხდარა, ოღონდ, ახლა „მასშტაბები" ბევრად მეტი იყო!

თანაც, ყველაზე ძალიან ის გვიკვირს და ვერაფრით აგვიხსნია, თუ როგორ ვერ მოხერხდა ამ ყველაფრის თავიდან აცილება?!. ჰო, "ტორპედო"-"დინამოს" ბოლოდროინდელ დაპირისპირებებს ხომ ემოციურის გარდა, უკვე სკანდალური ხასიათი ჰქონდა ხოლმე და ნუთუ, პრევენციული ზომების მიღება შესაძლებელი არ იყო? მით უფრო, თუ გავიხსენებთ, როგორი სკანდალური (რბილად ნათქვამია) გამოდგა ამ გუნდებს შორის ჩატარებული პირველი წრის მატჩიც; უფრო ზუსტად, შეხვედრის დასაწყისშივე მომხდარი ჩხუბი: „დინამო-არენის" სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნის სექტორებს შორის გამყოფ ტერიტორიაზე „დინამოსა" და „ტორპედოს" ფანებმა ხომ ერთმანეთი დაასისხლიანეს, რასაც მერე სკამების მტვრევაც მოჰყვა!

თუმცა, ფანებს შორის ფიზიკური დაპირისპირება (ასევე რომ დასაგმობია) არაფერია იმასთან შედარებით, რაც 9 მარტს ქუთაისში მოხდა: „ტორპედოს" რამდენიმე ასეულმა (!) გულშემატკივარმა უპრობლემოდ შეაღწია მოედანზე (მატჩის მსვლელობისას!) და ვიდრე სტუმართა ფანების სექტორთან მიაღწევდა, „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა! კიდევ კარგი, „ტორპედოს" ფეხბურთელებმა, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ დინამოელები როგორმე დაეხსნათ იმ ეგზალტირებული მასიდან, რომელთაც მთელი მოედანი უკვე „ოკუპირებული" ჰქონდათ!

კიდევ ვიმეორებთ, 9 მარტს დანიშნული შეხვედრა „დიდი რისკის შემცველ მატჩად" მიიჩნეოდა და მასპინძელი თუ სტუმართა გუნდის ხელმძღვანელებსაც ყველა შესაბამისი სტრუქტურა წინდაწინ უნდა გაეფრთხილებინა; ისიც ნამდვილად სასურველი იქნებოდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც წინასწარ დაეკავებინა თადარიგი და ასევე მაქსიმალურად უნდა ეცადა პრევენციული ზომების მიღება! ანუ, იმის მიუხედავად, რომ ასეთი „დიდი რისკის შემცველი მატჩი" გველოდა, „ტორპედოს" სტადიონზე რომ უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად გამკაცრებული ყოფილიყო, ვფიქრობთ, იმ ამაზრზენ „სანახაობას" თავიდან ავიცილებდით.

არადა, რაც მოხდა, მთლიანად ქართული ფეხბურთის იმიჯზეც უარყოფითად მოქმედებს; თუმცა, თვითონ „ტორპედოს" მწვრთნელ-ფეხბურთელებისათვის თუ საერთოდ, კლუბისთვისაც ხომ სერიოზული სასჯელია: ცალკე - ფულადი ჯარიმა, ცალკე - სტადიონის დისკვალიფიკაცია! თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ „ტორპედოს" ფაქტობრივად, ერთიორი თვის წინათ ჩამოყალიბებული გუნდი ჰყავს და მეორე ეტაპზე საშინაო შეხვედრებს რომ ნეიტრალურ მოედანზე გამართავს, როგორ ფიქრობთ, ქულათა საჭირო მარაგის შევსება ადვილი საქმე იქნება?..

## პირდაპირი ეთერი!

9 მარტს, „ტორპედოს" იმ ზოგიერთი ვითომ-გულშემატკივარის აგრესიას ვერც ჩვენი კოლეგები გადაურჩნენ: დაზიანებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ავტომანქანა, რომლითაც „პირველი არხის" გადამღები ჯგუფი იყო ქუთაისში ჩასული. სხვათა შორის, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ერთმა ფაქტმაც: ბევრს ეგონა, რომ, როგორც კი სტადიონზე უწესრიგობები დაიწყო, „ტორპედო"-"დინამოს" პირდაპირი ტელერეპორტაჟი შეწყდებოდა...

თუმცა, ასე არ მოხდა და ტელემაყურებელმაც საკუთარი თვალით იხილა, თუ რა ხდებოდა იმ დღეს ქუთაისში; სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენი აზრით, „პირველი არხის" სპორტულ გადაცემათა რედაქცია და კერძოდ, ამ შეხვედრის წამყვანი **დავით მინაშვილი** მხოლოდ და მხოლოდ მადლობას იმსახურებს იმისათვის, რომ ფართო აუდიტორიისათვის გაურკვეველი არაფერი დარჩენილიყო. ამას კი იმიტომ ვამბობთ, რომ ისეთი შემთხვევებიც გვახსოვს (ნაკლები მასშტაბით, მაგრამ მაინც...), როცა ამა თუ იმ მატჩში რაიმე ინციდენტი მომხდარა, მაგრამ... ვითომც არაფერიო - ყველაფერი რეაგირების გარეშე დარჩენილა!

ჰო, აქეთ შემოგვედავებიან კიდეც: არბიტრს მატჩის ოქმში არაფერი დაუფიქსირებია და რასაც გაზეთში წერთ, ეტყობა, თქვენი ჟურნალისტური ფანტაზიის ნაყოფიაო! აღარ გვინდა კონკრეტული შემთხვევების გახსენება. აი, თუნდაც იმის მსგავსი, როცა ამა თუ იმ გაძევებული ფეხბურთელის გვარი მერე, მატჩის ოქმში... აღარ აღმოჩენილა და ასე შემდეგ.

## ამათ რა დააშავეს?

ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, ღირდა თუ არა პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურის სხვა მატჩების პერიპეტიების განხილვა (გნებავთ, ტურის სიმბოლური ნაკრების შედგენა); თუმცა, სხვა გუნდებმა რა დააშავეს? აი, თუნდაც, ამ სეზონის უდავო აღმოჩენამ „გურიამ"? ჰო, ეს მართლაც მოულოდნელზე-მოულოდნელი სიურპრიზი კი არა, უკვე რეალობაა: **დავით მახარაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა პირველი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა ზედა ექვსეულში მოხვედრა! საერთოდ, „ზედა" და „ქვედა" ექვსეულებად დაყოფას, დადებითზე უფრო მეტი უარყოფითი მხარე აქვს და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

ანუ, ჩვენთან, ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე - როცა ესა თუ ის მატჩი მოულოდნელი შედეგით მთავრდება, მაშინვე იწყება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ყველაფერი „საქმეს სჭირდებოდა", რომ ახლო მომავალში „ვალი დაბრუნდება" და ასე შემდეგ; თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, ეს დღეს განსახილველი თემა არ არის და ისევ ბოლოსწინა ტურს დავუბრუნდეთ, სადაც კიდევ ერთი გუნდის წარმატებაა აღსანიშნავი: **ლადო ბურდულის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სიონმა" სტუმრად უშუალო კონკურენტს „მეტალურგს" აჯობა და სრულიად დამსახურებულადაც „შეაბიჯა" ზედა ექვსეულში!

...გასულ ტურს რამდენიმე გამორჩეული მოთამაშეც ჰყავდა და, უპირველესად, „სიონის" გამოცდილი მცველის, **ვალერი აბრამიძის** „დუბლია" აღსანიშნავი: 34 წლის მცველმა ორივე გოლი ზუსტი თავური დარტყმებით გაიტანა და ორჯერვე ასისტენტობა ბოლნისელთა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, 36 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** გასწია! ასევე ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა „ზესტაფონის" 22 წლის ნახევარმცველმა **გიორგი ჭანკოტაძემ**; აი, 23 წლის **გიორგი ნიქაბაძემ** („გურია") კი უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი სულაც გოლით აღნიშნა!

**გია ტუხაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | დინამო (თბ) | 21 | 14 | 3 | 3 | 48 | 16 | 48 |
| 2 | ჩიხურა | 21 | 11 | 5 | 5 | 39 | 31 | 38 |
| 3 | ზესტაფონი | 21 | 11 | 4 | 6 | 29 | 15 | 37 |
| 4 | სიონი | 21 | 9 | 6 | 6 | 27 | 22 | 33 |
| 5 | გურია | 21 | 11 | 0 | 10 | 25 | 27 | 33 |
| 6 | მეტალურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 25 | 25 | 30 |
| 7 | დილა | 21 | 7 | 8 | 6 | 26 | 21 | 29 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 21 | 7 | 5 | 9 | 26 | 28 | 26 |
| 9 | ტორპედო | 21 | 7 | 5 | 9 | 22 | 26 | 26 |
| 10 | სპარტაკი | 21 | 6 | 2 | 13 | 18 | 30 | 20 |
| 11 | ზუგდიდი | 21 | 4 | 5 | 12 | 10 | 30 | 17 |
| 12 | მერანი | 21 | 4 | 3 | 14 | 15 | 39 | 15 |

## XXI ტურის სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ


ზვიად სიჭინავა

## ზვიად სიჭინავა
# დარღვევა ვერ იპოვეს და ვერც იპოვიან
### გერმანიის გადასახდელს უეფა გადაგვიხდის

**ქართულ ფეხბურთში ის დროც ყოფილა, როცა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპის წილისყრის წინ ჯგუფში გერმანიის და იტალიის ნაკრებთან მოხვედრას ნატრობდნენ. ერთხელ აუხდათ კიდეც - წილისყრამ ჯგუფში იტალია და ინგლისი ერთად გვარგუნა. ამ გუნდების მასპინძლობა ფედერაციისთვის ხეირს ნიშნავდა - სატელევიზიო უფლებებისთვის ყველაზე დიდ ფულს ხომ სწორედ გერმანია, ინგლისი და იტალია იხდიდნენ... საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასთან სტუმრობის მთავარი მიზეზი სწორედ ნიცაში გამართული შესარჩევის წილისყრა იყო, თუმცა სასაუბრო თემას ისედაც რა გამოლევს... წილისყრა წილისყრად და, მის გარდა სხვა საინტერესო საკითხებსაც შევეხეთ და ზოგადად სპორტსაც გადავწვდით. რაგბისტებს სამი მუნდიალი აქვთ დაჭაშნიკებული, კალათბურთელებმა ორჯერ ითამაშეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ახლახან კი წყალბურთელებმაც „გაჭრეს ფანჯარა" ევროპაში, ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდისთვის კი ანალოგიური წარმატება ჯერჯერობით ოცნებად რჩება... ზვიად სიჭინავასთან საუბარი სწორედ წილისყრის თემით დავიწყეთ...**

- უეფამ ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება თავად გადაწყვიტა - შესარჩევი მატჩებით დაწყებული, ფინალური ეტაპით დამთავრებული, ყველაფერი ცენტრალიზებული იქნება. გათამაშება ჩემპიონთა ლიგის ანალოგიურად ჩატარდება. სატელევიზიო უფლებების, სარეკლამო ბანერებისა და სათამაშო ბურთების საკითხსაც კი უეფა მოაგვარებს. სარეკლამო ბანერის ტექსტს, ზომასა და განთავსების ადგილსაც უეფა მიგვითითებს. ყველა იმ სტადიონზე, სადაც შესარჩევი მატჩები ჩატარდება, ერთი და იგივე რეკლამა იქნება და ტელეაუდიტორიასაც მისთვის სასურველი მატჩის ნახვა შეეძლება... მოკლედ, სექტემბრიდან შესარჩევი მატჩებიც ზუსტად იმ ფორმატით ჩატარდება, როგორც ჩემპიონთა ლიგა. როგორც ნახეთ, შესარჩევი ეტაპის წილისყრის შემდეგ კალენდარიც მაშინვე შეადგინეს. აქამდე ხომ კალენდარზე ცალკე მოლაპარაკება იმართებოდა და ზოგჯერ ფედერაციები თარიღებზე შეთანხმებას ვერ ახერხებდნენ... ფინანსური თვალსაზრისითაც ჩვენთვის მნიშვნელობა აღარ აქვს, გერმანია გვექნება ჯგუფში თუ ლიხტენშტაინი. მომავალ შესარჩევში გერმანელებთან საქმე მხოლოდ წმინდა სპორტულ საკითხებთან დაკავშირებით თუ გვექნება. 5 წელიწადია ფედერაციის სათავეში ვარ და გერმანულ მხარესთან სატელევიზიო უფლებებზე ურთიერთობა არ გვქონია, თუმცა კი გადმოცემით ვიცი, რომ ადრე ფედერაციას გერმანელებმა ტელერეპორტაჟისთვის 1.9 მილიონი დოლარი გადაუხადეს, რაც მაშინაც კი სასაცილო თანხად ითვლებოდა... ახალი ფორმატით უეფამ ფინანსური საკითხები დააბალანსა. ჯერ ზუსტად არ ვიცით, ამ გადაწყვეტილების შედეგად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რამდენს მიიღებს, თუმცა კი დარწმუნებული ვარ, ფინანსურად ჩვენთვის ასე უკეთესი იქნება. სხვათა შორის, უკეთესი იქნება პოპულარობის თვალსაზრისითაც - საქართველოს ნაკრების თამაშების ნახვა ხომ ყველა მსურველს შეეძლება. უეფას გადაწყვეტილებით, ფეხბურთის უფრო მეტად პოპულარიზაციისთვის მომავალი შესარჩევი ეტაპი „ფეხბურთის კვირეულის" სახელწოდებით ჩატარდება და როცა ევროპაში სანაკრებო პაუზა იქნება, ზედიზედ სამი დღე ყველგან ფეხბურთს ითამაშებენ.

**- მოკლედ, სატელევიზიო უფლებისთვის გერმანია ფულს აღარ გადაიხდის, თუმცა წილისყრით მაინც კმაყოფილი ხართ...**

- უკმაყოფილონი არ ვართ. ფინანსური თვალსაზრისით, გასვლით თამაშებზე გამგზავრება ჩვენთვის ცოტა ძვირი სიამოვნება იქნება - უნდა ვესტუმროთ შოტლანდიას, ირლანდიასა და პორტუგალიას, სადაც საშინაო მატჩებს გიბრალტარის ნაკრები ჩაატარებს. სხვათა შორის, მეორე ტურში, ევროპის თითქმის უკიდურეს ჩრდილოეთში - შოტლანდიაში თამაში რომ მოგვიწევს,

მე-4 გვერდზე »

● I ლიგა

# ჟორჟიკაშვილი სამტრედიას გადაჰყვა
### ბათუმის დინამოს ისევ ჭეიშვილი ჩაიბარებს?

პირველი ლიგის B ჯგუფში ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „სამტრედიამ" ქობულეთში ბათუმის „დინამოს" მოუგო (2:0), უპირატესობა 6 ქულამდე გაზარდა და უშუალო კონკურენტი მესამე ადგილზე დააქვეითა. ამას კი მოჰყვა ის, რომ ბათუმელთა ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი **კობა ჟორჟიკაშვილი** თანამდებობიდან გაათავისუფლა. ინფორმაცია თავად კლუბის პრეზიდენტმა **ოთარ ფედირკინმა** დაგვიდასტურა.

ჩვენი ინფორმაციით, ბათუმელთა თავკაცებს ახალი მთავარი მწვრთნელიც შერჩეული ჰყავთ - **შოთა ჭეიშვილი**. მის სახელს გუნდის ყველაზე დიდი წარმატებები უკავშირდება. ჭეიშვილის ხელმძღვანელობით, ბათუმის „დინამოს" საქართველოს თასისა (1998) და სუპერთასის (1998) გამარჯვებული გახდა, ხოლო 2-ჯერ იყო თასის ფინალისტი (1996, 1997). შეგახსენებთ, რომ ის გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველი მწვრთნელი.

როგორც გვითხრეს, ჭეიშვილის დანიშვნას ბათუმელები ითხოვენ. თუმცა მისი დათანხმება ძალიან გაჭირდა. შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინ გამოცდილმა სპეციალისტმა რუსთავის „მეტალურგის" გაწვრთნაზეც უარი თქვა. მაგრამ ახლა საკითხი თითქმის შეთანხმებულია. ჭეიშვილის საბოლოო პასუხს ბათუმელები ხვალ შეიტყობენ.

თუ შეთანხმება შედგა, ფორმალურად „დინამოს" მთავარ მწვრთნელად **ლევან ხომერიკი** დაინიშნება, რომელსაც, ჭეიშვილისგან განსხვავებით, სამწვრთნელო სერთიფიკატი აქვს. ახალ მწვრთნელთან დაკავშირებით, ბათუმის „დინამოს" პრეზიდენტმა ჩვენი ინფორმაციის კომენტარი არ ისურვა.

**მერაბ მამულაშვილი**


კობა ჟორჟიკაშვილი

● ლეგიონერი

# ოქრიაშვილი ჩერნომორეცს არ დატოვებს


თორნიკე ოქრიაშვილი (თეთრ მაისურაში) ოდესაში დაბრუნდა

უკრაინული კრიზისის გამო, ამ ქვეყნის კლუბებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ, მათ შორის, „ჩერნომორეცსაც", სადაც **თორნიკე ოქრიაშვილი** თამაშობს.

ცნობილი გახდა, რომ ოდესური გუნდის ხუთმა ლეგიონერმა კონტრაქტის განყვეტა ითხოვა, რასაც „ჩერნომორეცის" ხელმძღვანელობა დათანხმდა. უკრაინაში დაბრუნებაზე ოქრიაშვილიც ფეხს ითრევდა. ლიხტენშტაინთან თამაშის შემდეგ მას ჰკითხეს კიდეც - ხუთი ლეგიონერის წასვლის შემდეგ, „ჩერნომორეცის" დატოვებას თქვენც ხომ არ აპირებთო.

„რა დასამალია და, უკრაინაში დარჩენაზე გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. მეუღლე, მშობლები და ნათესავები ოდესაში ჩემი დაბრუნების წინააღმდეგნი იყვნენ... საქართველოში ამბობენ, რომ უკრაინაში ომია. ამიტომაც გამიჭირდა მშობლების დარწმუნება იმაში, რომ „ჩერნომორეცთან" ერთად ყოფნა სწორი იქნებოდა. საბოლოოდ, მივედი დასკვნამდე, რომ ოდესაში თამაშის გაგრძელება მსურდა. იმედია, უკრაინაში შექმნილი პრობლემები მშვიდობიანად მოგვარდება და უკეთესი დროება დადგება. მოკლედ, „ჩერნომორეცში" ვბრუნდები და კონტრაქტის ბოლომდე ვითამაშებ. ოჯახი ამჟამად ოდესაში არ არის. მეუღლესთან და შვილთან ერთად საქართველოში სანაკრებო მატჩის დროს გავფრინდი და როცა უკრაინაში ვითარება დალაგდება, მათაც ჩამოვიყვან... რაც შეეხება გუნდში ფინანსურ დავალიანებაზე გავრცელებულ ხმებს, ეს მხოლოდ ლაპარაკია. ხელფასს რეგულარულად გვიხდიან. სეზონის განახლებამდე კი ჩვეულ რეჟიმში ვვარჯიშობთ, გუნდში პანიკა არ არის", - თქვა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ინტერნეტ-გამოცემა „ფუტბოლთან" ინტერვიუში.

ოქრიაშვილმა ლიხტენშტაინთან მატჩზეც ილაპარაკა: „ვფიქრობ, თამაში გამოგვივიდა. ნაკრებში ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, ტურნირისთვის სრულფასოვნად ვემზადებით და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და ჯგუფში, მინიმუმ, მესამე ადგილს დავიკავებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

● ქართველები უცხოეთში

## გოლიათი ქართველი ფინეთში

**სანდრო ხაბაძე** ფინური „კაიაანის" ფეხბურთელი გახდა. მანამდე, ფინელები 20 წლის ქართველ ცენტრფორვარდს „პკ 37-თან" საკონტროლო შეხვედრაში დააკვირდნენ. ტანმაღალი (201 სმ) ხაბაძე მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და საგოლე გადაცემა გააკეთა, „კაიაანმა" კი ამ ერთადერთი გოლით მოიგო. ამ გუნდში ხაბაძეს ქართველი მოთამაშე დახვდა - **კახა სამსონია**. ხაბაძესთან კონტრაქტის გაფორმება ფინური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა.

„მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ 1994 წელს დაბადებული თავდამსხმელი გუნდს გააძლიერებს. მას აქვს არა მხოლოდ თავდამსხმელისთვის უჩვეულო სიმაღლე, არამედ - მშვენიერი სასტარტო სისწრაფეც. სანდრო გუნდური მოთამაშეა. ის ამბობს, რომ მოუთმენლად ელის ოფიციალურ დებიუტს".

ჩვენი ინფორმაციით, კონტრაქტი მაისის ბოლომდე გაფორმდა. 13 წლის ასაკში სანდრო თბილისის „დინამოს" აკადემიაში აიყვანეს, სადაც ითამაშა ყველა ასაკობრივ გუნდში და ბოლოს „დინამოს" დუბლმემკვიდრეობის ფეხბურთელი გახდა, შემდეგ თამარაშვილის „ლოკომოტივში" გადავიდა, იყო საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრობის კანდიდატიც.

17 წლისა ის კლაიპედის (ლიტვა) „ატლანტასში" ჩაირიცხა, სადაც 9 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა. თებერვლის დასაწყისში კი მოლდოვის მეორე ლიგის ერთ-ერთი ლიდერის, მოლდოვის „სპარტაკში" ისინჯებოდა. საბოლოოდ, ხაბაძეს ფინეთში წასვლა მოუხდა, სადაც მისი ოფიციალური დებიუტი 15 მარტს, ფინეთის თასზეა მოსალოდნელი. ამ დღეს „კაიაანი" სტუმრად „კუპსს" დაუპირისპირდება.

## ქართველი უკრაინისთვის

დონეცკის „შახტარის" შემტევი ნახევარმცველი **ბექა ვაჩიბერაძე** (ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი თავდამსხმელის **ზაზა ვაჩიბერაძის** ვაჟი) ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის თასის გამარჯვებული გახდა. 17 წლის ქუთაისელი ფეხბურთელი უკრაინაში 5 წლის წინ წავიდა და ოდესის „ჩერნომორეცში" ვარჯიშობდა. იქ კი, შედეგიანობით დონეცკის „შახტარის" ყურადღება მიიპყრო და ახლა დონბასური გუნდის 19-წლამდელთა შორისაა.

„შახტარის" ფორმით, ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში, „ბორუსია დორტმუნდის", „ლევერკუზენის", „მანჩესტერისა" და „არსენალის" წინააღმდეგ, მან 5 მატჩი ჩაატარა და დიდი გამოცდილებაც შეიძინა. ძირითადში ითამაშა ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ მატჩშიც - „მანჩესტერთან", რომელიც 1:1 დასრულდა და ინგლისელები ჯგუფში ბოლო ადგილზე დარჩნენ, უკრაინელები კი შემდეგომ ეტაპზე გავიდნენ. თუმცა, ინგლისელების წაგების გამო „შახტარზე" მეორე მეორე ინგლისურმა კლუბმა - „არსენალმა" იძია, 1/8 ფინალში დონეცკელებს 3:1 სძლია (ახალგაზრდულ ჩემპიონთა ლიგაში ერთმატჩიანი პლეიოფებია) და გათამაშებას გამოთიშა.

რაც შეეხება ლატვიის ფედერაციის თასს, ვაჩიბერაძე მისი მფლობელი უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში გახდა. ხორვატებმა ფინალში მასპინძლები 3:1 დაამარცხეს. ქართველი ფეხბურთელი უკრაინელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეუცვლელადაც ითამაშა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

მე-3 გვერდიდან

ნამატჩევს უკვე ევროპის უკიდურეს სამხრეთში - პორტუგალიაში უნდა გადავფრინდეთ. მოკლედ, მგზავრობის მხრივ ცოტა ძვირი ჯგუფი კი გამოვიდა, მაგრამ მთავარია, თემურ ქეცბაია კმაყოფილია. აკი თქვა კიდეც - ჩვენთვის თითქმის იდეალური კალენდარიაო.

**- ქეცბაია ახსენეთ და, ბარემ ახლავე გვითხარით - როგორ მიიღო მან ხელფასის 30 პროცენტით შემცირების ფაქტი?**

- ჯერ ერთი, ქეცბაიას ნაკრებში მუშაობისთვის ხელფასი სიტუაციიდან გამომდინარე შეუმცირდა და არა იმიტომ, რომ ფედერაციამ ფულის დაზოგვა მოისურვა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მიიღო ეს ფაქტი, მიიღო ჩვეულებრივად, არანაირი პროტესტი არ გამოუხატავს, პირიქით - რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მისი მიზანი საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე

> ...მაშინ ჩვენ პროფლიგის მუშაობა მხოლოდ შევაჩერეთ, თორემ ამ ორგანიზაციას ლიკვიდაცია არ გამოუცხადებია. ასე რომ, ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები და თავიდან შეიქმნას პროფესიული ფეხბურთის ლიგა. ამას მხოლოდ მივესალმები...

გაყვანაა. ფულზე მას არც თავის დროზე უვაჭრია და იმდენს დათანხმდა, რამდენიც შესთავაზეს. ის პატრიოტი კაცია, სამწვრთნელო კარიერას ახლა იწყებს და ამ ეტაპზე მისთვის უფრო მნიშვნელოვანი წარმატებებია და არა - ხელფასი.

**- აქამდე, ქეცბაიას ხელფასს სახელმწიფო უხდიდა. იმ ფულიდან კი რაღაც ნაწილს ფედერაცია კლუბებსაც შეჰპირდა...**

- დიახ, შევპირდით და მივეცით კიდეც - უმაღლესი ლიგის 12 კლუბს 2 მილიონ 400 ათასი უკვე გადავეცით.

**- ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო კომისია უკვე შექმნილია. საქმე რეალურად როდის დაიწყება?**

- ფეხბურთის განვითარების პროგრამა სპორტის სამინისტროსაც აქვს შემუშავებული, რაც ძალიან კარგია. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, კომისია რომელ პროგრამას მოიწონებს - ჩვენსას თუ სამინისტროსას. მთავარია, ამ პროგრამის ამოქმედებით ქართული ფეხბურთი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს. მივესალმები პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბებას.

> ...ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, კომისია რომელ პროგრამას მოიწონებს, ჩვენსას თუ სამინისტროსას. მთავარია, ამ პროგრამის ამოქმედებით ქართული ფეხბურთი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს...

მსურს, ფედერაციამ მხოლოდ მართვითი ფუნქციები შეასრულოს და ნაკრებ გუნდებს მიხედოს, ყველაფერი დანარჩენი კი პროფლიგის განკარგულებაში გადავიდეს.

**- კი მაგრამ, პროფლიგა შექმნილი იყო და პრეზიდენტიც ჰყავდა, მაგრამ ფუნქციონირება ფედერაციის სათავეში თქვენი მოსვლის შემდეგ შეწყვიტა...**

- ასე იმიტომ მოხდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტად ჩემი არჩევის დროს, პროფლიგაში პრობლემები, ვალები და ზოგადად ცუდი სიტუაცია იყო. მაშინ ჩვენ პროფლიგის მუშაობა მხოლოდ შევაჩერეთ, თორემ ამ ორგანიზაციას ლიკვიდაცია არ გამოუცხადებია. ასე რომ, ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები და თავიდან შეიქმნას პროფესიული ფეხბურთის ლიგა. კიდევ გეუბნებით - ამას მხოლოდ მივესალმები.

**- ვალებზე ახსენეთ. ამას წინათ თქვით, ფეხბურთის ფედერაციას ვალები აღარ აქვსო...**

- არ გვაქვს და არც ვილებთ ვალებს, ძველის გასტუმრების შემდეგ კი სადღეისოდ ფეხბურთის ფედერაციის აქტივები 107 მილიონს შეადგენს. ორი წელიწადია, ჩვენი საქმე პროკურატურაშია, მაგრამ დარღვევა ჯერ ვერ იპოვეს და ვერც იპოვიან, რადგან ფეხბურთის ფედერაცია კანონს არ არღვევს.

**- კანონმორჩილება კარგია, მაგრამ კარგი შედეგიც ხომ აუცილებელია? მორაგბეთა ნაკრებმა მეოთხედ მოიპოვა მსოფლიოს თასზე მონაწილეობის უფლება; კალათბურთელებმა უკვე ორჯერ ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზე; აგერ, დიდ წარმატებას მიაღწიეს წყალბურთელებმაც... ფეხბურთელების დრო როდის დადგება?**

- იცით, ფეხბურთს რამდენ ქვეყანაში თამაშობენ? 209 ქვეყანაში! შესაბამისად, კონტინენტისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოხვედრაც გაცილებით რთული საქმეა. მიხარია, რომ წყალბურთელებმა ასეთ წარმატებას მიაღწიეს, მახარებს ასევე მორაგბეთა ყოველი გამარჯვება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი რუსებს ამარცხებენ ხოლმე. ძალიან მსიამოვნებს კალათბურთელთა პროგრესი და იმედია, მალე ფეხბურთელების წარმატებითაც გავიხარებთ.

**- წყალბურთი, კალათბურთი, რაგბი... შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სპორტი ისეთი ალმავლობის გზაზეა, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის მსგავსი ზოგადად ქართულ სპორტს არ სჭირდება?**

- ჩემი აზრით, სახელმწიფო ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას როგორც განიხილავს ქვეყნის აღმშენებლობის ერთ-ერთ მიმართულებად, ასევე უნდა იყოს სპორტი და ხელოვნება. ქვეყანა, რომლის შვილებსაც შეუძლიათ, სპექტაკლებით მთელი ბრიტანეთი აალაპარაკონ, გადაიღონ გენიალური ფილმები და ცეკვით მოაჯადოვონ მსოფლიოს ნებისმიერი კუთხე და ქვეყანა, სადაც სპორტის ბევრ სახეობაში გაზრდილან მსოფლიოს დონის ვარსკვლავები, არ შეიძლება, ასეთი ქვეყანა უზომოდ ნიჭიერ ახალგაზრდებს კარგავდეს. არ შეიძლება ისიც, რომ ქართული ბრენდი მსოფლიოს ბაზარზე ვინმე ფრანგს გაჰქონდეს. არის ერი, რომელსაც წარჩინებული ხალხი თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავს, მაგრამ ამით ამაყობენ, ჩვენ კი უამრავი ლეგენდა გვყავს და, მით უმეტეს, საამაყოდ უნდა გვქონდეს საქმე. გმირებს თუ არ იცნობ, ბუნებრივია, მათი სახელებით ვერც იამაყებ. მიმაჩნია, ქვეყანაში როგორც სავალდებულო არის სამხედრო სამსახური, ასევე სავალდებულო უნდა იყოს სპორტის განვითარება. ახლა კი, რატომღაც, ახალგაზრდობის სპორტული ჟინი იკარგება. ჩვენი დიდი სპორტსმენების დაუფასებლობის ერთ თვალსაჩინო მაგალითს გეტყვით - სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონი სოჭში არის, საქართველოში კი - არა. არადა, ვისზე ნაკლები ქართველი იყო სლავა?! ქვეყანაში, სადაც იმდენი ნიჭიერი ადამიანის რესურსია, ეს ნიჭიერი ადამიანები ყოველდღე შენ გვერდით მიდი-მოდიან, აუცილებლად უნდა გამოიყენო. ამდენი რესურსი სხვაგან არ მინახავს. კიდევ ერთ მარტივ მაგალითს გეტყვით - ვისზე დგას დღეს რუსული ესტრადა, სადაც მილიარდები ტრიალებს?! ქართველებზე და უკრაინელებზე! აბა, დათვალეთ, რამდენი ქართველია რუსეთის სცენაზე და რა როლს ასრულებენ იქ ისინი? სწორედ ნიჭიერი ხალხია ერის სახეც, ფულიც და იმიჯიც. შეიძლება, ვცდებოდე, მაგრამ დღეს საქართველოში სპორტიც ასე წარმომიდგენია. ახლა ქართველი სპორტსმენი სხვა ქვეყნის დროშის ქვეშ რომ ასპარეზობს, დავიჯერო მას საქართველო სხვაზე ნაკლებად უყვარს? ისე გამოდის, რომ აქ ვზრდით, ვამზადებთ, მერე კი მისგან შედეგს სხვა იმკის.

**კობა ინასარიძე**

გამორჩეული

# დაკარგული პასის დაბრუნება

## ანუ ერთადერთი ზესტაფონელი ზესტაფონში



გიორგი ჭანკოტაძე (N 8)

**ანდრო ჟორდანიას** ნათქვამია - პასის მომგონს ძეგლი უნდა დავუდგათო. ზუსტი და უდავო შეფასებაა. ფეხბურთი კარგი პასითა და მისი წყალობით გატანილი გოლით ფასდება.

იყო დრო, ქართული ფეხბურთი სავსე იყო მოთამაშეებით, რომელთაც ჩინებული პასები ეხერხებოდათ. აღარაფერს ვამბობთ **დავით ყიფიანზე**, ახლო წარსულშიც - **გიორგი ქინქლაძისა** და **გოჩა ჯამარაულის** ჩრდილში ხშირად ძალიან კარგი მოთამაშეები „იჩაგრებოდნენ", მაგალითად - **გიორგი დარასელია, გიორგი ანჩაბაძე**... ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს ნაკრების ლამის ყველა ნახევარმცველს შეეძლო ერთი მოხდენილი პასით თავდამსხმელის მეკარესთან პირისპირ დატოვება...

საქართველოში ჩამოსულმა „ლოკერენის" სკაუტმა გვითხრა კიდეც - ყველა ქვეყანა საფეხბურთო ბაზარზე რაღაც გამორჩეულით უნდა დამკვიდრდეს, ქართველებს კი შეგიძლიათ, ევროპა ხარისხიანი ცენტრალური ნახევარმცველებით მოამარაგოთო.

მაგრამ ბოლო წლებში უცნაური ამბები ხდება. არათუ ეროვნულ ჩემპიონატში, საქართველოს ნაკრებშიც თითქმის ვერ ნახავთ მოთამაშეს, რომელსაც ხარისხიანი გადაცემის გაკეთება შეუძლია...

„ზესტაფონის" ნახევარმცველი **გიორგი ჭანკოტაძე** ამიტომაც გამოვარჩიეთ. **გია გეგუჩაძის** გუნდმა მარტვილის „მერანს" უმასპინძლა და უპირატესობის მიუხედავად, გოლი ვერა და ვერ გაჰქონდა. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მოედანზე ჭანკოტაძე გამოჩნდა. 22 წლის ნახევარმცველი მწვრთნელმა 67-ე წუთზე შეუშვა. დარჩენილ დროში ჭანკოტაძემ მატჩის მსვლელობა შეცვალა - იყო ძალიან აქტიური და გუნდი აზრიანადაც აათამაშა. სწორედ მისი ჩინებული გადაცემებით მოახერხეს **ნიკა საბანაძემ** და **ირაკლი დოლიძემ** მარტვილელთა კარის აღება - ახალგაზრდა ნახევარმცველმა ორივე მათგანი რამდენიმე მცველს შორის მოძებნა. ჭანკოტაძემ კიდევ ერთი ეფექტური გადაცემა გააკეთა, თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ მისმა თანაგუნდელმა ამ ძღვენით ვერ ისარგებლა.

ჭანკოტაძემ „ზესტაფონში" წლეულს 9 მატჩი ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. ის ამბობს, რომ მთავარ მწვრთნელად გეგუჩაძის დაბრუნებამ იმედი გაუჩინა.

„მარტვილელებთან ძალიან მძიმე შეხვედრა იყო. მოედანზე იმ დროს შევედი, როცა მდგომარეობა დაიძაბა, მოგება კი ჰაერივით გვჭირდებოდა. ჩვენი გულშემატკივარი დამეხმარა. მოედანზე უნდა იყო, რომ ეს ყველაფერი განიცადო. მათ ძლიერი თანადგომა იციან. გეგუჩაძის ხელში „ზესტაფონი" ყოველთვის ცდილობს, „პირველ ნომრად" ითამაშოს. მეტოქეები ჩვენს სტადიონზე „ჩაკეტილი" თამაშით გვიპირისპირდებიან. ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა ზურაბ იონანიძემ კი „მერანი" აშკარად შეცვალა და, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ასეთ წინააღმდეგობას გაგვიწევდნენ. შესაძლოა, მწვრთნელის ჩანაფიქრი სრულად ვერ გადავიტანეთ მოედანზე და გულშემატკივარი მატჩის ბოლომდე ვანერვიულეთ, მაგრამ მეტოქეს მაინც ვაჯობეთ და 3 ქულა მოვიპოვეთ. მიხარია, რომ ამ მოგებაში ჩემი პატარა წვლილიცაა", - ამბობს ჭანკოტაძე.

რაც უნდა უცნაურად გეჩვენოთ, მთავარ გუნდში ჭანკოტაძე ერთადერთი ზესტაფონელია: „საკუთარი ქალაქის გუნდში თამაში სულ სხვა სიამოვნებაა. მით უფრო, თუ შენს ქალაქელებს ახარებ. მე „ზესტაფონის" გაზრდილი ვარ, 16 წლისა მთავარ გუნდში სწორედ გია გეგუჩაძემ ამიყვანა და ძალიან დიდი როლიც ითამაშა იმაში, რომ დღეს ფეხბურთს ვთამაშობ. მისგან ბევრი ისეთი რამ ვისწავლე, რაც კარიერაში წამადგება. გეგუჩაძის წასვლის შემდეგ გუნდს ველარ შევეწყვე, განათხოვრებით ბოლნისის „სიონშიც" წავედი, მაგრამ ვერ გავჩერდი. მისმა დაბრუნებამ გამახარა, გუნდსაც კვლავ გაუჩნდა ამბიცია და გულწრფელად ვამბობ - აქ მე ყველაფერი მაკმაყოფილებს. იმედია, ქომაგებისა და მწვრთნელის ნდობას გავამართლებ".

22 წლის ნიჭიერ მოთამაშეს არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია: „დიახ, ასეა, არც ერთ ნაკრებში არ მითამაშია. მიზეზად სხვადასხვა რამ მესმოდა. ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ბევრი გაუგებარი რაღაც ხდება, მაგრამ არა უშავს. გული მწყდებოდა, მაგრამ იმედები არ გადამწურავს, პირიქით, მეტი ჟინი და სტიმული გამიჩნდა. ასეთი გზა ბევრ ცნობილ და წარმატებულ ფეხბურთელს გაუვლია და მათი ისტორიები მაიმედებს, რომ წინსვლა შესაძლებელია".

ჭანკოტაძე საჩემპიონო ბრძოლაში „ზესტაფონის" შანსებზეც გველაპარაკა: „ექვსეულში უკვე მოვხვდით და ახლა ჩვენი მიზანი, მინიმუმ, სამეულში შესვლაა. მიმაჩნია, რომ მეორე ადგილზე გასვლაც რეალურია. ისე, ჩემპიონობისთვისაც გავიბრძოლებთ, მაგრამ სამწუხაროა, რომ პირველ ეტაპზე თბილისის „დინამოს" ძალიან ბევრით ჩამოვრჩით. ამ სხვაობის შემცირება ძალიან ძნელი იქნება. ახლა ყველაფერი „დინამოს" ხელშია და ძნელი წარმოსადგენია, უპირატესობა გაანიავოს. ჯერ ჩვენც არ გვაქვს თამაშის ისეთი ხარისხი, რასაც გეგუჩაძე გვთხოვს. ამის მიუხედავად, ყველა ვხედავთ, რომ მის ხელში გუნდი ძალიან სწრაფად იზრდება. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში გაცილებით ძლიერი გუნდი გვეყოლება".

**მერაბ მამულაშვილი**

ინფრასტრუქტურა

# გეგმა არის, რეკონსტრუქციაც იწყება

იყო დრო, ვანის „სულორი" საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. მაშინ გუნდს ბანკის მმართველი, **ალექსანდრე გოგორიშვილი** პატრონობდა და შეძლების ფარგლებში, პირობებითაც უზრუნველყოფდა. მაგრამ 1992 წელს გოგორიშვილი ტრაგიკულად დაიღუპა და „სულორის" საქმეებიც უკან-უკან წავიდა...

ახლახან კლუბის განვითარების გეგმა დაიწერა, რაზეც „ლელოს" გუნდის მწვრთნელი, 28 წლის **გიგა კუტივაძე** გველაპარაკა. ახლო წარსულში ის ფეხბურთელი გახლდათ - **კობა ჟორჟიკაშვილის** 17-წლამდელთა ნაკრების წევრს პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევდნენ, მაგრამ კარიერა ნაადრევად დაასრულა და მწვრთნელობა დაიწყო - ჯერ „ზოოვეტში" **ელგუჯა გუგუშვილს** ეხმარებოდა, მერე ბოლნისის „სიონსა" და „სამტრედიაში" ანალიტიკოსად მუშაობდა, წლეულს კი, ზაფხულში, პირველი ლიგის B ზონის აუტსაიდერის, ვანის „სულორის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

„პირველ წრეში გუნდმა მხოლოდ 5 ქულა დააგროვა და უნდა ვაღიაროთ, რომ ლიგაში ადგილის შენარჩუნება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, კლუბის პრეზიდენტმა დავით პაიკიძემ საინტერესო გამოსავალი ნახა, რაშიც ვანის გამგებლის, მურად ახვლედიანისა და საკრებულოს თავმჯდომარის, კობა ძაგნიძის მხარდაჭერა მოიპოვა. მათ გადაწყვიტეს, რომ გუნდის მომავლისთვის აჯობებდა ამ კრიზისის გამოყენება და ინფრასტრუქტურის მოხედვა. კლუბის ბიუჯეტი 240 ათასი ლარია, I ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც გვქონდა, მაგრამ ამჟამად შეგნებულად ავიყვანეთ 16-17 წლის ბავშვები,



გიგა კუტივაძე

მომავალი თაობა რომ გავზარდოთ, შემდეგ სეზონში კი ახალი ინფრასტრუქტურითა და გაზრდილი გუნდით პირველ ლიგას დავუბრუნდეთ - დღეისათვის სხვა გამოსავალი არც ჩანდა. ვანის „სულორის" სტადიონზე კეთილმოეწყობა კლუბის ოფისი და ბაზა, 22 ადამიანის მისაღები ოთახები, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები, აშენდება 3,5 ათას ადამიანზე გათვლილი ტრიბუნები, მინდვრის ხარისხი გაუმჯობესდება და დაიგება სარბენი ბილიკები, გუნდისთვის კი მიკროავტობუსის შეძენას აპირებენ. სხვათა შორის, ძალიან იშვიათი შემთხვევაა, რაიონი საკუთარ ინფრასტრუქტურას თავად რომ უვლის - ძირითადად, ეს საკითხი ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე წყდება. საერთოდ, ვანის რაიონში ფეხბურთს სერიოზული ყურადღება ესაჭიროება, რადგან ბავშვთა სკოლებში სერიოზული კრიზისია. თავად განსაჯეთ - მართალია, ჯგუფში ვარჯიში უფასოა, მაგრამ სულ 50 ბავშვი დადის და თუ ამ საკითხს არ მიეხედა, ხვალ არც გუნდი დასჭირდება ვინმეს და არც სტადიონი. არადა, საცოდაობაა - ვანში ფეხბურთი უყვართ და მოთამაშეებიც სულ იზრდებოდნენ. მაგრამ, როცა ინფრასტრუქტურა პრობლემაა, ცხადია, ბავშვები ვერ ივარჯიშებენ", - ამბობს კუტივაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ჰალილ ალთინთოფი

# აუგსბურგის (ალთინ)თოფი

მიმდინარე ბუნდესლიგის ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი „აუგსბურგია". გუნდი, რომელსაც წლებია ყველა აუტსაიდერად განიხილავს, ჩემპიონთა ლიგის ზონასთან ახლოს იმყოფება და სასწაულებს ახდენს. ამის წარმატების უპირველესი შემოქმედი ახალგაზრდა სპეციალისტი **მარკუს ვაინცირლია**, რომლის მთავარი იარაღი და დასაყრდენიც გამოცდილი შემტევი **ჰალილ ანლთინთოფი** გახლავთ. გელზენკირხენში დაბადებული ტყუპისცალის კარიერა „ვატენშაიდში" იწყებოდა. შემდეგ იყო „კაიზერსლაუტერნი", „შალკე", ფრანკფურტის „აინტრახტი"... ორი წელი ისტორიულ სამშობლოში, კერძოდ, „ტრაბზონსპორში" და ახლა ისევ ბუნდესლიგა. 31 წლის ჰალილი, რომელიც 8 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირია, თავის მოსაზრებებს გვიზიარებს

**- თქვენ ორი წელი გაატარეთ ბუნდესლიგის მიღმა, რამდენად რთული იყო ეს? გიხარიათ დაბრუნება?**

- ძალიან მიხარია. ბუნდესლიგაში სტადიონებზე საოცარი ატმოსფეროა და კმაყოფილი ვარ. თუმცა თურქეთში გატარებული 2 წელიც კარგი იყო, განსხვავებული და მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღე.

**- როგორ შეაფასებდით თურქეთის ჩემპიონატს ბუნდესლიგასთან შედარებით? და აიწია თუ არა გერმანიის ჩემპიონატის დონემ იმ ორი წლის მანძილზე, როდესაც თქვენ არ იყავით?**

- გერმანიის ჩემპიონატი აშკარად გაცილებით ძლიერია თურქეთისაზე. დისციპლინა და სტილი აქ განსხვავებული და უკეთესია. მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. ერთი რამ ფაქტია - ბუნდესლიგაში გუნდები ბევრად უფრო შემტევები გახდნენ.

**- 2011 წელს წარმოიდგენდით, რომ დღესდღეობით „ბაიერნი" ასეთი ძლიერი იქნებოდა?**

- არა, ვერ წარმოვიდგენდი. თუმცა იმის პროგნოზირება, რომ ადრე თუ გვიან „ბარსელონას" „ბაიერნი" ჩაანაცვლებდა, შეიძლებოდა.

**- ბრწყინვალე სეზონს ატარებთ, ისევე როგორც თქვენი თანაკლუბელები. რა არის იმის მიზეზი, რომ „აუგსბურგი" ასე კარგად გამოიყურება?**

- ვფიქრობ, მთავარი მიზეზი გუნდურობა და ის სიახლოვეა, რომელიც ერთმანეთთან გვაქვს. „აუგსბურგში" ოჯახური გარემოა.

**- „აუგსბურგის" ერთი ფეხბურთელის გამორჩევა რომ გთხოვოთ, რომელთან ერთადაც ყველაზე მეტად გსიამოვნებთ თამაში, ვის გამოარჩევთ?**

- არ მინდა კონკრეტულად ვინმე დავასახელო, როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი წარმატების მთავარი მიზეზი გუნდურობაა.

**- როგორია მარკუს ვაინცირლთან ერთად მუშაობა? როგორია მისი მეთოდები და რითი განსხვავდება იგი სხვა მწვრთნელებისგან?**

- მთავარი განსხვავება ის არის, რომ ვაინცირლი პირდაპირი ადამიანია. იგი ბევრს არ ლაპარაკობს, მაგრამ რასაც ამბობს, მნიშვნელოვანია. მასთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა.

**- თქვენ საკმაოდ ხშირად იცვლით გუნდებს და როგორც წესი, თავისუფალი აგენტის სტატუსით. რატომ ხდება ასე?**

- ვფიქრობ ის, რომ მე დიდი ხნის მანძილზე ვარჩევ გუნდს და მაქსიმალურად ყურადღებით ვარჩევ გუნდს და სანამ ბოლომდე დარწმუნებული არ ვიქნები, გადაწყვეტილებას არ ვიღებ.

**- არის შანსი, რომ თქვენ და თქვენმა ძმამ ჰამითმა ისევ ერთად ითამაშოთ?**

- შანსი რასაკვირველია არის, რადგან ჩვენ ორივენი ჯერ კიდევ აქტიური ფეხბურთელები ვართ და კარიერის დასრულებაზე არ ვფიქრობთ, მაგრამ კონკრეტულად რამის თქმა ძნელია, რადგან ფეხბურთში სიტუაცია ძალიან სწრაფად იცვლება.

**- თქვენთან და თქვენს ძმასთან დაკავშირებულ რაიმე კურიოზს ხომ ვერ გაიხსენებთ?**

- ბევრი კურიოზი ყოფილა (იცინის), მაგრამ სახალისო ისტორიის ნაცვლად გავიხსენებ ჩვენს პირველ შეხვედრას, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ ჩავატარეთ, მე „კაიზერსლაუტერნში" ვიყავი, იგი „შალკეში" - ეს ორივესთვის გამორჩევი მოგონებაა. ერთად ვთამაშობდით თურქეთის ნაკრებში და ეს ჩვენთვის დაუვიწყარი შეხვედრებია, რომლებსაც ყოველთვის დიდი სიამოვნებით გავიხსენებთ.

**გიორგი პაპაბაძე**



ჰალილ ალთინთოფი

პსჟ

# მიიღებს პსჟ ოსკარს?

პსჟ-ს ინტერესის ახალი ობიექტი ბრაზილიელი **ოსკარია**. როგორც ამბობენ, პარიზელები მზად არიან ახალგაზრდა შემტევში 41,5 მილიონი ფუნტი გადაიხადონ. გარდა ამისა, 22 წლის ფეხბურთელით „მონაკო" და „ბარსელონაც" ყოფილან დაინტერესებულნი. „პარი სენ-ჟერმენთან" დაკავშირებულ სხვა ამბებს რაც შეეხება, გუნდი ამაოდ ცდილობს **ადრიენ რაბიოსთან** და **ჟერემი მენეზთან** კონტრაქტის გახანგრძლივებას. პირველს გუნდის მიერ შეთავაზებული ხელფასი არ მოსწონს, მეორეს კი მთლიანად პირობები. სხვაობა ისაა, რომ რაბიოს შენარჩუნება პსჟ-ს ძალიან უნდა, მენეზის - არც ისე. დედაქალაქელები რაბიოს თვეში 20 ათასის ნაცვლად 120 ათასს სთავაზობენ, მაგრამ 18 წლის ფეხბურთელი თავის გარემოცვასთან ერთად 250 ათასს ითხოვს, აქაოდა, **ლუკას დინსაც** ამდენი აქვსო. გაიგო თუ არა ეს ამბავი „რომამ", იმ წუთას რაბიოს შეძენა მოინდომა, მაგრამ იტალიელებს ამის გაკეთება გაუჭირდებათ, რადგან პსჟ ახალგაზრდა ტალანტს სოლიდურ ფასს დაადებს. პარალელურად, **კარლეს პუიოლის** გადაწყვეტილების გამო ცენტრალური მცველის ძიებაში მყოფი „ბარსელონა" **ტიაგო სილვას** ვარიანტს დაუბრუნდა, მაგრამ...

*„ასეთი კლუბის ინტერესი მსიამოვნებს. თუმცა მსურს „პარი სენ-ჟერმენში" დავრჩე, მინიმუმ მოქმედი კონტრაქტის ბოლომდე. ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ და შევეცდებით კიდეც ამის გაკეთებას"* - თქვა ბრაზილიელმა.

**გიორგი პაპაბაძე**

სამწვრთნელო ცვლილება



ლუის გარსია უმუშევარი დარჩა

# კონტრა ლუის გარსიას ნაცვლად

„ბეტისთან" განცდილი მარცხის შემდეგ (0:2), „ხეტაფე" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა - **ლუის გარსია პლასას** კარზე მიუთითეს. 41 წლის სპეციალისტი, რომელმაც სახელი „ლევანტეში" მუშაობით გაითქვა (2008-11 წლებში), მადრიდულ გუნდს 2011 წლიდან ავარჯიშებდა და არაერთი წარმატების შემოქმედიც გახდა, მაგრამ 2014 წელი მისთვის და მისი კლუბისთვის კოშმარული გამოდგა - „ხეტაფე" პრიმერას ერთადერთი გუნდია, რომელსაც წელს თამაში არ მოუგია. ამ მომენტისთვის „კოლიზეუმ ალფონსო პერესის" ბინადრებს 12-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ, რომლის დროსაც გუნდმა სულ 4 ქულა აიღო და შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთი (!) გოლი გაიტანა. ასეთი შედეგების გამო, „ხეტაფე" მე-15 პოზიციამდე დაქვეითდა და გასავარდნ ზონაში მყოფ „ალმერიას" გუნდი მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს.

დედაქალაქური კლუბი მწვრთნელის გარეშე დიდხანს არ დარჩენილა - ლუის გარსიას ადგილს „პეტროლულის" უკვე ყოფილი თავკაცი **კოზმინ კონტრა** დაიკავებს, რომელმაც კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა. 38 წლის რუმინელი, ვინც ფეხბურთელობისას „მილანში" და მადრიდის „ატლეტიკოში" ირიცხებოდა, „ხეტაფეში" 5 წლის განმავლობაში (2005-10) თამაშობდა, სამწვრთნელო კარიერა კი კონტრამ 2010 წელს, „ტიმიშოარაში" დაიწყო. ბოლოს ყოფილი მარჯვენა მცველი, როგორც უკვე მოგახსენეთ, „პეტროლულს" ხელმძღვანელობდა, რომელსაც 2013 წელს რუმინეთის თასი მოაგებინა.

მადრიდულ გუნდში კიდევ ერთი სიახლეა: „ესპანიოლთან" 26-ე ტურის შეხვედრაში დაშავებული ძირითადი მეკარის, **მიგელ მოიას** ნაცვლად, გუნდმა ბრაზილიელი **ჟულიო სეზარი** გაიფორმა, რომელიც ბოლოს „ბენფიკაში" თამაშობდა, 2011/12 წლების სეზონში კი „გრანადას" ღირსებას იცავდა. 27 წლის მეკარე ზაფხულის შემდეგ უკლუბოდ იყო და „ხეტაფეში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

**ტატო ბაციკაძე**

ტრავმა

# სტროტმანი მუნდიალს მიღმა

ცუდი ამბავი გვაქვს „რომას" და განსაკუთრებით, ჰოლანდიის ნაკრების გულშემატკივრებისთვის: „ნაპოლი"-"რომას" პაექრობის მეცამეტე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **კევინ სტროტმანმა ბლერიმ ჯემაილთან** და **მარეკ ჰამშიკთან** ბრძოლისას მძიმე ტრავმა მიიღო. როგორც გამოკვლევამ ცხადჰყო, 24 წლის ჰოლანდიელ ნახევარმცველს დაახლოებით 6 თვის გამოტოვება მოუწევს. შედეგად, სტროტმანი არა მარტო სეზონის დარჩენილ ნაწილს, მსოფლიოს ჩემპიონატსაც დააკლდება. რთულ მომენტში კევინი არაერთმა მწვრთნელ-ფეხბურთელმა გაამხნევა. ჰოლანდიის ნაკრების მესაჭე **ლუის ვან გაალმა** შემდეგი განაცხადა:

*„ვიცი, რა მდგომარეობაშია კევინი და მინდა მას გამძლეობა, სიმტკიცე ვუსურვო. ასეთ რთულ მომენტში გეჩვენება, რომ ცხოვრება დასრულდა, მაგრამ გადის დრო და ბედს ურიგდები. სტროტმანმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ნაკრების მუნდიალზე გასვლაში და რაოდენ დასანანია, რომ მისი გამოტოვება მოუწევს. კევინ, სწრაფად გამოჯანმრთელდი და დაბრუნდი კიდევ უფრო ძლიერი".*

**ლაშა წიკლაური**

ამბები

## ლივერპული ფრანგულ ბაზარზე

**ალექსანდრ ლაკასეტი**, რომელიც მშვენიერ სეზონს ატარებს და „ლიონის" მთავარი მეგოლეა, შესაძლოა „ლივერპულში" აღმოჩნდეს. „ენფილდის" ბინადრები სერიოზულად დაინტერესებულან 22 წლის ფორვარდით და მზად არიან მასში 12 მილიონი ევრო გადაიხადონ. გარდა ამისა, „ლივერპულს" „მარსელის" საკუთრებაში მყოფი 16 წლის ტალანტი **მაქსიმ ლოპესი** მოუნდა. საფრანგეთის იუნიორთა ნაკრების ფეხბურთელით „არსენალიც" ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ პრესაში როგორც ამბობენ, ფავორიტი „ლივერპულია". მეტიც, მერსისაიდელთა მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** უკვე შეხვდა ლოპესს და ტრანსფერი ნესით ზაფხულში უნდა განხორციელდეს. ლივერპულელები ასევე უტრიალებენ „ზალცბურგის" **მარტინ ჰინტერეგერსა** და „ვალენსიას" **დანი პარეხოს**.

## ნანტს ტრანსფერები აეკრძალა

ფრანგული „ნანტი" მომავალ ზაფხულს და 2015 წლის იანვარში ტრანსფერებს ვერ განახორციელებს. „იადონები" ორი უახლოესი სატრანსფერო ფანჯრისას დისკვალიფიცირებულნი არიან, მათ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, მაგრამ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ფიფას განაჩენი ძალაში დატოვა. საქმე ისაა, რომ 2012 წელს „ნანტმა" დუბაის კლუბ „ალ ნასრიდან" გვინეელი ფორვარდი **ისმაელ ბანგურა** დაიმატა, რაც წესების დარღვევით გააკეთა. ბანგურას კონტრაქტი „ალ ნასრისთან" ჯერ კიდევ ძალაში იყო, როდესაც „იადონებმა" იგი გაიფორმეს. „ნანტს" და თავდამსხმელს „ალ ნასრისთვის" 4,5 მილიონი ევროს გადახდა დაეკისრათ. ფრანგულ კლუბს კი ძალიან გაუჭირდება, მომავალ სეზონში მას ახალი მოთამაშეები არ ეყოლება. შეგახსენებთ იმასაც, რომ ზაფხულში კლუბს დატოვებს საუკეთესო ბომბარდირი **ფილიპ ჟორჟევიჩიც**.

**გიორგი პაპაბაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVII ტური

### ოსასუნა-მალაგა 0:2

**გოლები:** 0:1 სამუ (14), 0:2 ამრაბატი (66)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ანდრეს ფერნანდესი - ოიერი (65. ხ. აკუნია), ლოტიე, არიბასი, დამია - ფ. სილვა, ლოლო (77. ნინო) - სეხუდო, რობერტო ტორესი, ე. არმენტეროსი - ორიოლ რიერა

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, ანხელერი, ფლავიო, ანტუნეში - ი. კამაჩო, სერხი დარდერი (70. ტისონე) - სამუ (55. სერხიო სანჩესი), დუდა, ამრაბატი (83. ხუანმი) - სანტა კრუსი

**გაფრთხილება:** ფ. სილვა - ხესუს გამესი, სერხი დარდერი, ვ. კაბალიერო, ი. კამაჩო

**გაძევება:** ხესუს გამესი (52. მალაგა)

**კუთხური:** 10-10; **ჯარიმა:** 5-19; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 19-11 (7-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 15 342

### სოსიედადი-ვალეკანო 2:3

**გოლები:** 1:0 ი. მარტინესი (2), 1:1 ლარივეი (4-პენ), 2:1 რუბენ პარდო (45), 2:2 ბუენო (47), 2:3 რუბენ როჩინა (67)

**სოსიედადი (4-2-3-1):** სუბიკარაი - სალდუა, მ. გონსალესი (69. კანალესი), ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ელუსტონდო, რუბენ პარდო - ველა, ჩაბი პრიეტო, გ. კასტრო (63. გრიზმანი) - აგირეჩე

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - არბილია, ზე კასტრო, გალვესი, რაცი - საულ ნიგესი, ადრიანი - რუბენ როჩინა (81. ხ. ვიერა), ბუენო (90. ნაჩო მარტინესი), იაგო ფალკე (73. ბანგურა) - ლარივეი

**გაფრთხილება:** - გალვესი, საულ ნიგესი, არბილია

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 15-15 (6-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 18 534

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 27 | 21 | 4 | 2 | 76-26 | 67 |
| 2. ატლეტიკო | 27 | 20 | 4 | 3 | 63-21 | 64 |
| 3. ბარსელონა | 27 | 20 | 3 | 4 | 74-22 | 63 |
| 4. ბილბაო | 27 | 15 | 6 | 6 | 50-31 | 51 |
| 5. ვილიარეალი | 27 | 13 | 5 | 9 | 47-33 | 44 |
| 6. სოსიედადი | 27 | 12 | 7 | 8 | 48-39 | 43 |
| 7. სევილია | 27 | 11 | 8 | 8 | 47-42 | 41 |
| 8. ვალენსია | 27 | 10 | 6 | 11 | 39-38 | 36 |
| 9. ესპანიოლი | 27 | 10 | 6 | 11 | 32-33 | 36 |
| 10. ლევანტე | 27 | 9 | 9 | 9 | 26-34 | 36 |
| 11. სელტა | 27 | 8 | 6 | 13 | 32-39 | 30 |
| 12. გრანადა | 27 | 9 | 3 | 15 | 24-36 | 30 |
| 13. მალაგა | 27 | 7 | 8 | 12 | 26-35 | 29 |
| 14. ოსასუნა | 27 | 8 | 5 | 14 | 24-41 | 29 |
| 15. ელჩე | 27 | 7 | 8 | 12 | 24-40 | 29 |
| 16. ხეტაფე | 27 | 7 | 6 | 14 | 23-42 | 27 |
| 17. ვალიადოლიდი | 27 | 5 | 11 | 11 | 29-44 | 26 |
| 18. ალმერია | 27 | 7 | 5 | 15 | 26-49 | 26 |
| 19. ვალეკანო | 27 | 8 | 2 | 17 | 29-61 | 26 |
| 20. ბეტისი | 27 | 4 | 6 | 17 | 23-56 | 18 |

**ბომბარდირები:** 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 16 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 13 - პედრო (ბარსელონა), დავიდ ვილია (ატლეტიკო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XXVII ტურის შეჯამება

# სკუდეტოსთვის დაბადებული

## ძალიან ლოგიკური კალჩო

სიმბოლური ნაკრები




**როგორც წესი, ანტონიო კონტე მოზომილად პასუხობდა, როდესაც სკუდეტოზე ეკითხებოდნენ. ერთი და იგივეს იმეორებდა: ბრძოლა გრძელდება იქამდე, სანამ „იუვენტუსი" მიუწვდომელი არ გახდება. „ფიორენტინას" ძლევის შემდეგ კი ტურინელთა თავკაცმა ყველა გააკვირვა, როდესაც თქვა, რომ მისი გუნდი ცალი ფეხით ჩემპიონია.**

### მონათლული მარჯვენა

„იუვენტუსი" დაბადებულია იმისთვის, რომ სკუდეტო მოიგოს და როგორც ჩანს, ეს მეტად პრესტიჟული ტროფეი 2013/2014 წლების სეზონშიც ტურინულ გრანდს დარჩება. „ფიორენტინას" ძლევის შემდეგ, **ანტონიო კონტემ** ემოციები ველარ მოთოკა და განაცხადა, რომ მისი გუნდი ცალი ფეხით ჩემპიონია; მაშინ, „ვეკია სენიორას" თავკაცმა ჯერ კიდევ არ იცოდა „ნაპოლი"-"რომას" ანგარიში და ის, რომ მთავარი კონკურენტი სამივე ქულას ნეაპოლში დატოვებდა. „ბიანკონერი" „ჯალოროსის" მთელი 14 ქულით უსწრებს და რომც მოიგოს „პარმასთან" გადადებული მატჩი რომაულმა გუნდმა, სხვაობა მაინც სოლიდური იქნება. ჩემპიონატის დასრულებამდე თერთმეტი ტურია დარჩენილი და თავად განსაჯეთ, რამდენად დიდია ამ ფორის ალმოფხვრის შანსი.

„იებთან" დიდებული შეხვედრა ჩაატარა **კვადვო ასამოამ**, რომელმაც გაიტანა კიდეც გამარჯვების გოლი. როგორც იტალიელი სპორტული ჟურნალისტები წერენ, განელმა მარჯვენა ფეხი „მონათლა", რადგან აქამდე მხოლოდ „მუშა" ცაციით გაჰქონდა. გოლი მართლაც ბრწყინვალე გამოვიდა, კვადვომ ერთი მოძრაობით ორი მეურვე ჩამოიცილა და უძლიერესი დარტყმით ბურთი „ცხრიანში" ჩაჭედა.

კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ** მწვრთნელ-ფეხბურთელებს ფხიზლად ყოფნისკენ მოუწოდა: *„ეს იყო მორიგი ნაბიჯი სკუდეტოსკენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობა ნაადრევად უნდა ვიზეიმოთ. საქმე ბოლომდეა მისაყვანი და ყურადღების მოდუნება არაფრით არ შეიძლება. თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე დახარჯვაა საჭირო და პირველობა ჩვენ დაგვრჩება".*

### მეორე ადგილისთვის

მეორე ადგილი ჩემპიონთა ლიგაზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე მოხვედრის უფლებას იძლევა. ეს საკმარისი მოტივაციაა იმისთვის, რომ გუნდებმა დარჩენილ ტურებში დიდი ბრძოლა გამართონ, რადგან საკვალიფიკაციო ეტაპი საზაფხულო შევბულების შემცირებას და ბევრ სხვა არასასიამოვნო ამბავთანაა დაკავშირებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არავინაა დაზღვეული, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ციკლის მეოთხე ეტაპზე ძლიერ გუნდს გადაეყაროს და ევროპალიგაზე გადაინაცვლოს. მოკლედ, „ნაპოლის" და „რომას" მძაფრი კონკურენცია ექნებათ, ამ დუელის ნახვა კი გაცილებით უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე ამ გუნდთა ურთიერთდაპირისპირება იყო „სტადიო სან პაოლოზე"...

სტუმრები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, რომელიც შედეგში ვერ ასახეს, ნეაპოლოელთა რამდენიმე მწვავე იერიშიდან კი ერთი გოლით დასრულდა. თავი **ხოსე კალეხონმა** გამოიჩინა, რომელიც თამამად შეგვიძლია შევრაცხოთ მატჩის გმირად. თამაშის შემდეგ, **რაფა ბენიტესმა** შემდეგი განაცხადა:

*„სწორი გზით მივდივართ და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მიმდინარე სეზონში, „რომას" ორი მატჩი მოვუგეთ, რაც სხვა არც ერთ გუნდს არ გაუკეთებია. წინა ტურებში, იყო შემთხვევები, როდესაც კარგად ვთამაშობდით და ქულებს ვკარგავდით, ამჯერად კი შეცდომები ბლომად დავუშვით, მაგრამ მოვიგეთ. ამასთან, კარი მშრალად შევინახეთ, რაც ძალიან სასიამოვნოა".*

### ფავორიტები: ინტერი და პარმა

ხშირად ამბობენ, რომ იტალიური გუნდები ევროპალიგის გათამაშებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ ტურნირის საგზურებისთვის დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. „ინტერმა" „ტორინო" დაამარცხა და გაიუმჯობესა პოზიცია, „პარმამ" „ვერონა" გააკრა ბეჭებზე, „მილანმა" და „ლაციომ" კი ისევ წააგეს...

რადგან „ფიორენტინას" იტალიის თასის ფინალში გასვლით, პრაქტიკულად დაბევებული აქვს ევროპალიგის საგზური, ამ ტურნირზე სერია A-ს მეხუთე და მეექვსე ადგილზე გასული გუნდებიც გავლენ. გასულ უქმეებზე, ორი ფავორიტი გამოიკვეთა: „ინტერი" და „პარმა", რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული; ამავე პოზიციაზეა „ნერაძურის" ექსპრეზიდენტი **მასიმო მორატი**:

*„რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ „ინტერი" ჩემპიონთა ლიგის საგზურს ველარ შესწვდება. სამაგიეროდ, ჩვენი გუნდი ფავორიტია ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაში. ჩემი აზრით, „ფიორენტინასთან" ერთად, ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე სწორედ „ინტერი" და „პარმა" გავლენ. თუმცა, ჩემპიონატის დასრულებამდე არაერთი ტურია დარჩენილი და მოდუნების უფლება არ გვაქვს".*

### გასავარდნი ზონა

რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, უფრო საინტერესო ხდება სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ჯერჯერობით, ყველაზე სუსტ გუნდად „სასუოლო" მოსჩანს, მაგრამ შესაძლოა, უახლოეს მომავალში ვითარება შეიცვალოს. **ალბერტო მალეზანის** ხელში „ნერივერდე" მუდმივად აგებდა, **ეუსებიო დი ფრანჩესკომ** კი დაბრუნება ქულის მოპოვებით აღნიშნა. თითქოს არაფერი, მაგრამ სასუოლოში იმედი გაუჩნდათ და იქადნებიან, ელიტაში აუცილებლად დავრჩებითო.

მას შემდეგ, რაც „კატანია" სერია A-ში ალზევდა, ასეთი სუსტი არასდროს ყოფილა. სიცილიელები აქა-იქ ქულას იღებენ, შეხვედრათა უმეტესობას კი უშანსოდ აგებენ. ყველა პროგნოზით, „კატანიას" დაქვეითებას უწინასწარმეტყველებენ. სიცილიური გუნდი უკვე დიდი ხანია, ერთი შემადგენლობით ასპარეზობს და როგორც ჩანს, ამ ფეხბურთელებმა რესურსი ამოწურეს - კლუბის მესვეურებს კი გამორჩათ, რომ გუნდს პერიოდულად სისხლის გადასხმა სჭირდება.

### ბონუსი

„ლაციომ" საკუთარ კედლებში „ატალანტასთან" წააგო, რამაც გუნდის მთავარი მწვრთნელი **ედუარდო რეია** ალაშფოთა - თუმცა, გამოცდილი სპეციალისტი არა შეგირდებზე, არამედ ულტრასებზე გაბრაზდა, რომლებმაც საყვარელ გუნდს ბოიკოტი გამოუცხადეს და თამაშს არ ესწრებოდნენ. ტრადიციულად, ულტრასები კარს უკანა სექტორზე არიან, თუმცა ამჯერად, ტრიბუნაზე მათ ნაცვლად დიდი ბანერი იყო გამოფენილი წარწერით: „ან ის, ან ჩვენ". მოკლედ, „ლაციოს" პრეზიდენტის, **კლაუდიო ლოტიტოზე** ზეწოლა ძლიერდება.

**ლაშა წიკლაური**


ალარც ანტონიო კონტე მალავს, რომ „იუვენტუსი" მორიგ ტიტულთან ახლოსაა

● არგენტინა. ტორნეო ფინალი. VII ტური


მაურო სარატე შესანიშნავ ფორმაშია

# კოლონი ისევ პირველზეა

**არ. ხუნიორსი-ლანუსი 0:2**

გოლები: 0:1 დ. გონსალესი (45), 0:2 ხ. ორტისი (84)
გაძევება: კანო (90. არგენტინოს ხუნიორსი), ფ. კორია (90. არგენტინოს ხუნიორსი, სათადარიგოთა სკამიდან)

**ველესი-ბელგრანო 3:1**

გოლები: 0:1 ფარე (13), 1:1 მ. სარატე (48), 2:1 ალიონე (61), 3:1 პრატო (89)
გაძევება: ს. კარერა (79. ბელგრანო)

**გოდოი კრუსი-სან ლორენსო 1:1**

გოლები: 0:1 ბლანდი (83), 1:1 კასტილიონი (90)

**ოლიმპო-ნიუელსი 1:0**

გოლი: 1:0 სერუტი (16)

**რივერი-არსენალი 1:0**

გოლი: 1:0 კავენაგი (61-პენ)

**რასინგი-ბოკა 1:2**

გოლები: 0:1 სანჩეს მინიო (25), 1:1 სახა (68-პენ), 1:2 ერბესი (76)

**კოლონი-ხიმნასია 0:0**

**ესტუდიანტესი-ატლ. რაფაელა 0:0**

კილმესი-ოლ ბოისი გვ. დასრულდა
როსარიო-ტიგრე გვ. დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლონი | 7 | 4 | 2 | 1 | 8-5 | 14 |
| 2. ველესი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-9 | 13 |
| 3. სან ლორენსო | 7 | 4 | 1 | 2 | 7-5 | 13 |
| 4. ესტუდიანტესი | 7 | 3 | 3 | 1 | 5-3 | 12 |
| 5. გოდოი კრუსი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-7 | 11 |
| 6. რივერი | 7 | 3 | 2 | 2 | 6-6 | 11 |
| 7. ბოკა | 7 | 3 | 1 | 3 | 7-6 | 10 |
| 8. ბელგრანო | 7 | 2 | 4 | 1 | 12-12 | 10 |
| 9. ოლიმპო | 7 | 3 | 1 | 3 | 5-5 | 10 |
| 10. ლანუსი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-11 | 10 |
| 11. ხიმნასია | 7 | 2 | 3 | 2 | 9-7 | 9 |
| 12. ნიუელსი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-7 | 9 |
| 13. ატლ. რაფაელა | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 9 |
| 14. არ. ხუნიორსი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-6 | 8 |
| 15. ტიგრე | 6 | 1 | 4 | 1 | 1-1 | 7 |
| 16. როსარიო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| 17. კილმესი | 6 | 2 | 0 | 4 | 3-6 | 6 |
| 18. ოლ ბოისი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-6 | 6 |
| 19. არსენალი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-10 | 6 |
| 20. რასინგი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-9 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 4 - ბლანდი (სან ლორენსო), კასტელანი (გოდოი კრუსი), გრაციანი (კოლონი); 3 - კარილიო (ესტუდიანტესი), ლოლო (ბელგრანო), კავენაგი (რივერ პლეიტი), პისკულიჩი (არგენტინოს ხუნიორსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)

**გასავარდნი ცხრილი**

| | თ | ქ. | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ოლიმპო | 26 | 33 | 1.269 |
| 16. კოლონი | 102 | 126 | 1.235 |
| 17. კილმესი | 63 | 77 | 1.222 |
| 18. ოლ ბოისი | 101 | 123 | 1.218 |
| 19. გოდოი კრუსი | 102 | 122 | 1.196 |
| 20. არ. ხუნიორსი | 102 | 119 | 1.167 |

ტორნეო ფინალის მეშვიდე ტურის შემდეგ პირველ პოზიციაზე ისევ „კოლონი" იმყოფება, რომელმაც ზედიზედ მეორე საშინაო შეხვედრა ვერ მოიგო, მაგრამ ვერც მისმა კონკურენტებმა იმარჯვეს და ამის გამო, **დიეგო ოსელიას** გუნდმა ლიდერობა შეინარჩუნა. სანტა ფეს წარმომადგენლის ასეთი წარმატებული ასპარეზობა მართლაც გასაოცარია იმის ფონზე, რომ რამდენიმე თვის წინ „კოლონი" ჩემპიონატში ბოლო, მე-20 ადგილზე გავიდა, თანაც სულ 12 ქულა მოაგროვა, რომელთაგანაც 6 კლუბს დარღვევებისთვის დააკლეს.

მეორე ადგილზე გადავიდა „ველეს სარსფილდი", რომელმაც „ბელგრანოს" 3:1 მოუგო. კორდობული კლუბი ჩემპიონატის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი გახლდათ და „ხოსე ამალფიტანიზე" პირველი ტაიმის შემდეგ იგებდა კიდეც, თუმცა შესანიშნავ ფორმაში მყოფმა **მაურო სარატემ** მეორე ნახევრის სტარტზე ანგარიში გაათანაბრა, რამდენიმე წუთში კი თავი საგოლე გადაცემით გამოიჩინა და გოლი **აგუსტინ ალიონეს** გაატანინა. მატჩის ბოლოსწინა წუთზე კი ტორნეო ფინალში თავისი პირველი ბურთი **ლუკას პრატომ** შეაგდო და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 3:1.

წყვილად იმარჯვეს „ბოკა ხუნიორსმა" და „რივერ პლეიტმა", რაც ბოლო დროს ძალიან იშვიათად ხდება. „რივერს" სარანდის „არსენალთან" ძალიან გაუჭირდა და ერთადერთი გოლის გატანაც მხოლოდ არბიტრის დახმარებით შეძლო, რომელმაც 11-მეტრიანი გამოიგონა - **ლეონელ ვანხიონის** წინააღმდეგ თამაშის წესები აშკარად საჯარიმოს გარეთ დაირღვა, მაგრამ **პაბლო ლუნატი** შეცდა და ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. სტანდარტი „მილიონარიოსის" კაპიტანმა **ფერნანდო კავენაგიმ** შეასრულა და **რამონ დიასის** გუნდს გამარჯვება მოუტანა.

„ბოკამ" კი მორიგ კლასიკოში „რასინგი" დაამარცხა და მეშვიდე პოზიციაზე გადავიდა. „აკადემიამ" ტორნეო ფინალი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო (3:0, ლიდერ „კოლონთან"), მაგრამ მას შემდეგ გამართულ 6 ტურში გუნდმა მხოლოდ ერთი ქულა აილო. წინა ჩემპიონატში „რასინგი" მე-19 ადგილზე გავიდა, ამჯერად კი ბოლო პოზიციაზე იმყოფება. თუ ასე გაგრძელდა, დიდი ალბათობით, „რასინგი" მოსისხლე მტრის „ინდეპენდიენტეს" გზას გაიმეორებს და სეზონის ბოლოს მეორე დივიზიონში ალმოჩნდება.

სტუმართა მხრიდან ზედიზედ მეორე შეხვედრაში გაიტანა **ხუან სანჩეს მინიომ**, რომელმაც მარჯვენა ფეხით ძალიან ლამაზი დარტყმით იხეირა. მასპინძელთაგან კი თავის გამორჩენა **სებასტიან სახამ** შეძლო, ვინც ამ ჩემპიონატში უკვე მეორე გოლი გაიტანა და გუნდის ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად დაწინაურდა. თუ არ იცით, გეტყვით, რომ სახა „რასინგის" მეკარეა...

საინტერესო და დრამატული ფინალის მქონე მატჩი გაიმართა მენდოსაში - „გოდოი კრუსმა" „სან ლორენსოს" უმასპინძლა და უკანასკნელ წამებზე გატანილის წყალობით ქულას გამორჩა. ანგარიში **ფაკუნდო კასტილიონმა** გაათანაბრა, ვინც 27-მატჩიანი მშრალი სერია შეწყვიტა და 2013 წლის ივნისის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. მანამდე კი სტუმრები დაწინაურდნენ - შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე თავი **ნიკოლას ბლანდიმ** გამოიჩინა, მაგრმა „სან ლორენსომ" დარჩენილ წუთებში ბოლომდე ვერ გაძლო და ორ ქულასთან ერთად გალიდერების შანსიც დაკარგა.

რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშა როგორც „ლანუსმა", ასევე „ნიუელსმა". **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდმა, მიუხედავად როტაციისა, „არგენტინოს ხუნიორსს" განსაკუთრებული პრობლემის გარეშე მოუგო, აი, **ხერარდო მარტინოს** ყოფილმა გუნდმა 0:1 წააგო. „ოლიმპოსთან" გამართული შეხვედრის ანტიგმირი **მაქსი როდრიგესი** გახდა, რომელმაც 66-ე წუთზე 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. საინტერესოა, რომ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში „ოლიმპო" უპირატესობას ფლობს - ბაია ბლანკელებს 7 გამარჯვება აქვთ მოპოვებული, „ნიუელსმა" კი მეტოქის დამარცხება მხოლოდ 5-ჯერ შეძლო; კიდევ 4 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის შეჯამება

სიმბოლური ნაკრები




# ბაიერნის მიზანი 100 გოლია!

## დორტმუნდში იჩხუბეს და შერიგდნენ, ბრემენელი ჰანტი კი სამაგალითოდ მოიქცა

**მიუნხენის „ბაიერნი“ სხვა განზომილებაში რომ გადავიდა, ამის შესახებ ბევრი ითქვა და კიდევ უფრო მეტი დაიწერა. მიუნხენელები იმ დონეზეც კი მივიდნენ, რომ მეტოქეები უკვე ეცოდებათ კიდეც.**

„ვოლფსბურგის“ 6:1-ზე განადგურების შემდეგ, **არიენ რობენსა** და კომპანიას „მგლები“ ცოტათი შეეცოდათ კიდეც. *„შეიძლება ითქვას, რომ ბოლოს 6:1 უკვე ნამეტანიც კი იყო. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთი მატჩი მოვიგეთ ამხელა სხვაობით, მაგრამ 6:1 ზუსტად არ ასახავს განსხვავებას „ბაიერნსა“ და „ვოლფსბურგს“ შორის. „ვოლფსბურგი“ ასეთი სუსტი ნამდვილად არ არის,“* - განაცხადა რობენმა საფინალო სასტვენის შემდეგ და იქვე დასძინა: „ჩვენ, უბრალოდ, ძალიან ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გვყავს, რომლებსაც გოლების მომზადება და გატანა შეუძლიათ.“

მოდით, გადავხედოთ „ბაიერნის“ შემადგენლობას და გავიგოთ, რამდენმა ბაიერნელმა შეძლო ამ სეზონში გოლის გატანა: ასეთი 15 მოთამაშეა! „ბაიერნში“ სწორედ 15-მა სხვადასხვა ფეხბურთელმა მოახერხა ბუნდესლიგის ამ სეზონში გოლის გატანა და რაკი რეკორდმაისტერისთვის გერმანიის მორიგი ჩემპიონობა უკვე გარდაუვალია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდს ახალი მიზანი აქვს: მიუნხენელებს უნდათ, რომ სეზონის ბოლოს ბუნდესლიგაში მინიმუმ 100 გოლი ჰქონდეთ გატანილი.


მიუნხენელებს ახალი მიზანი აქვთ: მინიმუმ 100 გოლი სეზონის ბოლოს

2014 წელს ბავარიელებმა 10 ოფიციალურ შეხვედრაში 37 გოლი გაიტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ერთ მატჩში 3,7 გოლი გაჰქონდათ. იმისათვის, რომ ბავარიულმა გრანდმა სეზონი მინიმუმ 100 გოლით დაასრულოს, ბუნდესლიგის დარჩენილ 10 მატჩში მინიმუმ 28 გოლი უნდა გაიტანოს - ანუ, საშუალოდ „მხოლოდ“ 2,8 გოლი ერთ მატჩში. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პეპ გვარდიოლას გუნდი გერმანიის ჩემპიონატში არ დუნდება, ბრწყინვალე ფორმაშია და თამაშებს უმეტესად დიდი ანგარიშებით იგებს, ეს მართლაც რეალურია.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც 100-გოლიანი ბარიერის გადალახვის რეალურობაზე მეტყველებს ისაა, რომ პირველ წრეში „ბაიერნმა“ დარჩენილ მეტოქეებთან ჯამში 30 გოლი გაიტანა და თუ ამ მონაცემს არ გააუარესებენ, 34-ე, ანუ ბოლო ტურის შემდეგ „ბაიერნს“ სულაც 102 გოლი ექნება გატანილი და ამით იმ ისტორიულ მიღწევასაც გააუმჯობესებენ, რომელიც 1971/72 წლების სეზონში ჰქონდათ - მაშინ რეკორდმაისტერმა ასევე 34-ტურიანი სეზონი 101 გოლით დაასრულა. ცნობისათვის, სწორედ იმ სეზონში გაიტანა **გერდ მიულერმა** 40 გოლი...

### შაჰინმა და კლოპმა იჩხუბეს და შერიგდნენ

მეორე ადგილზე ალბათ მაინც დორტმუნდის „ბორუსია“ გავა, რომელიც მესამეადგილოსან „ლევერკუზენს“ უკვე 4 ქულით უსწრებს. კვირას დორტმუნდელებმა ფრაიბურგში 1:0 გაიმარჯვეს, მაგრამ ამ შეხვედრის საფინალო სასტვენის შემდეგ უსიამოვნო ფაქტიც მოხდა. იმის გამო, რომ **ნური შაჰინი** ძალიან სუსტად თამაშობდა, „ბორუსიას“ მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** თურქი საყრდენი ნახევარმცველი 63-ე წუთზე შეცვალა და მის ნაცვლად მოედანზე გამოუცდელი **ოლივერ კირხი** შეუშვა. მატჩის დასრულების შემდეგ შაჰინმა პირდაპირ გასახდელისკენ აიღო გეზი, რა დროსაც კლოპი მაისურზე სწვდა და სახალხოდ უსაყვედურა.

სალამოს შაჰინმა ფეისბუქის გვერდზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა: *„მწვრთნელთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ის, რაც დღეს მოხდა, ნორმალური მოვლენაა და ასეთი რამ ნებისმიერ გუნდში, ზოგადად ნებისმიერ ოჯახში ხდება. უკვე შევრიგდით და ყველაფერი დავივიწყეთ,“* - აღნიშნა შაჰინმა.

მომხდარის შესახებ კლოპმაც ისაუბრა: *„ამისგან დრამას ნუ შექმნით. ასეთ სცენებს ჩვენს გასახდელში თითქმის ყოველი თამაშის შემდეგ ნახავთ. უბრალოდ, ახლა ამის გაკეთება იქვე, სახალხოდ მივიჩნიე საჭიროდ. ამიტომაც იყო ნური ასეთი გაკვირვებული,“* - განაცხადა კლოპმა „სქაის“ მიკროფონთან.

### ბრემენში ჰანტი გააღმერთეს

ბუნდესლიგის 24-ე ტურის შემდეგ საფეხბურთო გერმანიაში ერთ-ერთი უმთავრესი სალაპარაკო თემა „ვერდერის“ შემტევი ნახევარმცველის, **აარონ ჰანტის** საქციელი გახლდათ. როგორც იცით, ბრემენულმა კლუბმა ნიურნბერგში 2:0 გაიმარჯვა, 27 წლის ჰანტი კი სამაგალითოდ მოიქცა და დიდი შანსია, „ფეარ პლეის“ პრიზი დაიმსახუროს.

მაინც, რა გააკეთა ჰანტმა? მატჩის 76-ე წუთზე, აარონი ნიურნბერგელ **ხავიერ პინოლასთან** ორთაბრძოლის შემდეგ მეტოქის საჯარიმოში წაიქცა, მატჩის მთავარმა არბიტრმა **მანუელ გრეფემ** კი ჩასტვინა და ხელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა. მაგრამ ჰანტი მაშინვე წამოდგა, მსაჯთან მივიდა და უთხრა, პენალტი არ იყო, პინოლა დამნაშავე არ არისო, რის შემდეგაც გრეფემ გადაწყვეტილება შეცვალა. საკითხავია, მოიქცეოდა თუ არა ბრემენელი ასე იმ შემთხვევაშიც, ანგარიში მისი გუნდის სასარგებლოდ 2:0 რომ არ ყოფილიყო, ფაქტია, ახლა მთელი გერმანია ჰანტის ქებაშია, ბრემენში კი მას უკვე აღმერთებენ.

*„აარონის საქციელი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. ხანდახან შენს კარში დაუმსახურებელ პენალტს ნიშნავენ ხოლმე და თერთმეტმეტრიანზე უარის თქმას მართლაც დიდსულოვნება სჭირდება,“* - აცხადებს „ვერდერის“ მენეჯერი **თომას აიხინი**.

*„როგორც კი მსაჯის სასტვენის ხმა გავიგე, მაშინვე გადავწყვიტე, რომ სიმართლე მეთქვა. მიუხედავად იმისა, რომ გადარჩენისთვის გაჩაღებულ უმძიმეს ბრძოლაში ვართ ჩაბმულები და ჩვენთვის არა მარტო თითოეულ ქულას, არამედ თითოეულ გოლსაც მნიშვნელობა აქვს, უსამართლო მოგება არაფერში გვჭირდება. სამართლიანობა ყველამ უნდა შეინარჩუნოს,“* - ეს თავად ჰანტის სიტყვებია.

### ტურის გმირი

**თომას მიულერი** (ბაიერნი)

მსაჯმა **ტობიას ველცმა** შესვენებაზე **თომას მიულერს** ცუდი ამბავი ამცნო: უთხრა, რომ გოლი, რომლითაც „ბაიერნმა“ „ვოლფსბურგთან“ ანგარიში გაათანაბრა, არა მას, არამედ **ჯერდან შაჩირის** ჩაეთვალა, რადგან ბურთმა კარის ხაზი პირველად სწორედ მისი დარტყმის შემდეგ გადაკვეთა. დიდი მადლობა, ახლა გაცილებით უკეთეს ხასიათზე ვარო, - უთქვამს 24 წლის მიულერს არბიტრისთვის. თომასმა „ვოლფსბურგთან“ 60 წუთის განმავლობაში ცენტრფორვარდის პოზიციაზე ითამაშა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მე-60 წუთიდან კი გვარდიოლამ ოდნავ უკან დახია და მიულერის ეფექტიანობა ერთიორად გაიზარდა: დარჩენილ დროში მიუნხენელებმა 5 გოლი გაიტანეს, რომელთაგან ოთხში მიულერმა უშუალო მონაწილეობა მიიღო: ორი თვითონ გაიტანა (2:1, 5:1), ერთი საგოლე პასი გააკეთა (6:1) და ერთხელ საგოლე შეტევის ორგანიზატორი (4:1) იყო. შესაბამისად, თომასს გული აღარ დასწყდა იმაზე, რომ პირველი გოლი არა მას, არამედ შაჩირის ჩაუთვალეს.



### საუკეთესო ფეხბურთელები

„კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 15 | 2.15 |
| 2. არიენ რობენი | ბაიერნი | 19 | 2.17 |
| 3. რალფ ფერმანი | შალკე | 12 | 2.54 |
| 4. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 24 | 2.60 |
| 5. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 21 | 2.63 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 22 | 2.68 |
| 7. მარკო როისი | დორტმუნდი | 21 | 2.70 |
| 8. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 24 | 2.73 |
| 9. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 22 | 2.77 |
| 10. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 23 | 2.80 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 23 | 15 | 10 | 25 |
| 2. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 22 | 16 | 6 | 22 |
| 3. ადრიან რამოსი | ჰერტა | 24 | 15 | 6 | 21 |
| 4. თომას მიულერი | ბაიერნი | 22 | 12 | 8 | 20 |
| 5. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 23 | 12 | 8 | 20 |
| 6. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 15 | 8 | 10 | 18 |
| 7. ანდრე ჰანი | აუგსბურგი | 23 | 10 | 7 | 17 |
| 8. რაფაელი | გლადბახი | 24 | 11 | 6 | 17 |
| 9. მარკო როისი | დორტმუნდი | 21 | 8 | 9 | 17 |
| 10. ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | 18 | 8 | 8 | 16 |

გლადბახი


იან ზომერი კარიერას გლადბახში გააგრძელებს

## ტერ შტეგენის შემცვლელი ნაპოვნია

### გლადბახმა ზომერი დაიბევა

ნიჭიერი მეკარე **მარკ ანდრე ტერ შტეგენი** ზაფხულში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ რომ დატოვებს, ეს უკვე ყველამ იცის. სიახლე ისაა, რომ „გლადბახმა“ მის შემცვლელს მიაგნო. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ მიონხენგლადბახელები ახალი სეზონისთვის „ბაზელის“ გოლკიპერ **იან ზომერს** გადაიბირებენ. 25 წლის ზომერი გერმანულ კლუბთან კონტრაქტს 2019 წლამდე გააფორმებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ტრანსფერის ღირებულება 6 მილიონი ევროა.

*„გლდბახი“ უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია და როცა ასეთ კლუბში თამაშის შანსი მოგეცემა, ის აუცილებლად უნდა გამოიყენო. ხელმძღვანელებთან საუბრისას საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა,“* - უთხრა შვეიცარიულ მედიას ზომერმა, რომელიც 21 წლის ტერ შტეგენს შეცვლის. როგორც იცით, ეს უკანასკნელი „ბარსელონაში“ გადადის. კატალონიელებს ტრანსფერი 12 მილიონი ევრო უჯდებათ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ამბები

## დომენეკმა იბრაჰიმოვიჩი გაკიცხა

გახსოვთ **რაიმონ დომენეკი?** საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რომელსაც ძალიან ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. დომენეკი ერთ-ერთ გადაცემაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩს**, კერძოდ კი იბრას, მორიგ ექსცენტრიკულ განცხადებას გამოეხმაურა. შვედმა „მარსელთან" „კლასიკის" მერე მეტოქის ფორვარდ **ანდრე-პიერ ჟინიაკზე** ირონიულად ისაუბრა - მისგან დიდი პრობლემები არ გვქონია, პრინციპში ვერც გვექნებოდა, მცველად თამაშობდაო.

*„ზლატან იბრაჰიმოვიჩის განცხადებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. სიმართლე ითქვას, მისი თამაში უფრო მომწონს, ვიდრე ლაპარაკი. ჩემი აზრით, პარიზელებს სხვებზე სალაპარაკო არაფერი აქვთ. სათამაშო კლასით ისინი სხვებზე მაღლა არიან, დანარჩენები რესურსიდან გამომდინარე თამაშობენ და რა საჭიროა მსგავსი საუბარი? ზლატანს შეეძლო ეთქვა, რომ მისი გუნდი ღირსეულად გამოიყურებოდა, ტიაგო სილვამ და ალექსმა კარგი მატჩი ჩაატარეს, მაგრამ რა საჭირო იყო ეს თავდასხმა ჟინიაკზე? არ მიყვარს ასეთი კომენტარები. როდესაც ვინმეზე მაღლა ხარ, აქამდე არ უნდა დაეშვა. იმედია, იბრაჰიმოვიჩს მსგავსი განცხადებების გაკეთების საფუძველი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის მერეც ექნება"* - აღნიშნა დომენეკმა.

## გურკუფი: ბლანი მწვრთნელი არ არის

„ლორიანის" მთავარი მწვრთელი **კრისტიან გურკუფი** მოულოდნელად თავს დაესხა პსჟ-ს მთავარ მწვრთნელ **ლორან ბლანს**. მისი აზრით, ბლანს სიტყვა „მწვრთნელი" არ შეესაბამება, რადგან ის ვარჯიშებს არ ატარებს.

*„ჩემს წარმოდგენაში მწვრთნელი არის ის, ვინც სავარჯიშო მინდორზეა და ამ პროცესს განაგებს. თუმცა არსებობენ სპეციალისტები, რომლებიც ამას არ აკეთებენ. მაგალითად, ლორან ბლანი - პსჟ-ში ვარჯიშებით მისი ასისტენტი ჟან-ლუი გასეტია დაკავებული. თუმცა მე ეს მოდელი არ მომწონს. ჟოზე მოურინიო იღებს მონაწილეობას ვარჯიშებში, არსენ ვენგერიც, მაგრამ ადამიანს, რომელიც ამ პროცესს არ აკონტროლებს, ჩემი აზრით, მწვრთნელი არ უნდა ერქვას"* - აღნიშნა **იოან გურკუფის** მამამ.

## ლუჩესკუ მარსელში?

„მარსელი" ყოფილ სპორტულ დირექტორს **ჟოზე ანიგოს** ალბათ, სეზონის ბოლომდე თუ გააჩერებს მთავარი მწვრთნელის პოსტზე და მერე მას შემცვლელი დასჭირდება. ისეთი შემცვლელი, რომელიც „ველოდრომის" ბინადრების ამბიციებს და მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. კანდიდატი უამრავია: პირველი და ყველასთვის ცნობილი **ანდრე ვილაშ ბოაში** გახლავთ. პორტუგალიელი ზაფხულამდე ისვენებს და კულუარებში ისიც ითქვა, იგი ერთ-ერთი ფრანგული კლუბის ჩაბარებას გეგმავსო და დიდი ალბათობით, ეს კლუბი „მარსელია". თუმცა ახლა ახალმა და ასევე ძალიან საინტერესო ვარიანტმა გაიჟღერა - **მირჩა ლუჩესკუ**. რუმინელი, რომელიც 2003 წლიდან დონეცკის „შახტარში" მუშაობს, შესაძლოა, დათანხმდეს კიდეც ატმოსფეროს შეცვლას და საფრანგეთში გადაბარგებას. მისი კანდიდატურა წესით, მარსელელი ქომაგებისთვისაც მოსაწონი უნდა იყოს.

**გიორგი პაპაბაძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# ზეედორფის რუბიკონი თუ ვატერლოო

## მილანს ფარ-ხმალი ჯერ არ დაუყრია

11.03. მადრიდი
ვისენტე კალდერონი 23:45

**ატლეტიკო**

| | | |
|---|---|---|
| | I მატჩი: 1:0 | |
| +5=1-0 | ბოლო 6 მატჩი ლიგაზე | +1=3-2 |
| | არბიტრი | |
| | მარკ კლატენბურგი (ინგ) | |

**მილანი**

საავარაუდო შემადგენლობები

ატლეტიკო: კურტუა; გოდინი, მირანდა, ხუანფრანი, ფ. ლუიში; სუარესი, გაბი, კოკე, რ. გარსია; დ. კოშტა, ვილია

მილანი: ბალოტელი, კაკა, პაცინი, ტაარაბტი; ესიენი, დე იონგი; დე შილიო, საპატა, მექსე, რამი; აბიატი

დისკვალიფიკაცია: - მონტოლივო
ტრავმა: მანკილიო, ტიაგო (?) - ელ შაარავი, სილვესტრი, კრისტანტე, პოლი (?)

**„მილანს" რომ ფარ-ხმალი ჯერ არ დაუყრია, თავისთავად ცხადია, თუმცა ისიც ფაქტია, მადრიდული კლუბი საკუთარ „ვისენტე კალდერონზე" 1:0 უპირატესობით გადის. დიეგო სიმეონეს შეგირდებს კი არ სჩვევიათ მეტოქეთათვის საჩუქრების კეთება.**

კლარენს ზეედორფს გამოუცდელი მწვრთნელის კვალობაზე მეტისმეტად რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი - თუკი „მილანს" სეზონის გადარჩენა სურს, „ატლეტიკოს" ორმატჩიან რაუნდში სიტუაცია უნდა შეუტრიალოს. შიდა პირველობა უკვე წაგებულია, ზეედორფს ერთადერთი ასპარეზი რჩება - ჩემპიონთა ლიგა და ისიც ხელიდან გამოეცლება, თუ „რაღაცას" არ მოიფიქრებს. სიმართლე ითქვას, ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ნაწილს ჯერ არც დაუჯერებია, რომ ზეედორფისგან კარგი მწვრთნელი დადგება და მათ შორის ჩვენც ვართ. ასე რომ, „მილანის" ლეგენდარულ ფეხბურთელს კარგი საშუალება ეძლევა დაამტკიცოს, რომ მწვრთნელის რანგშიც ლეგენდა გახდება.

„ვისენტე კალდერონამდე" გუნდები ესპანური კლუბის ერთგოლიანი უპირატესობით მივიდნენ, „სან სიროზე" თამაშის დასრულებამდე 7 წუთი რჩებოდა, როცა **დიეგო კოშტამ** თავური დაჰკრა.

„მილანი" ესპანეთის დედაქალაქში დამწუხრებული გაემგზავრა, რადგან „უდინეზესთან" სტუმრობა უქულო გამოუვიდა, თუმცა ამას ზეედორფი, რომელმაც იანვარში შეცვალა **მასიმილიანო ალეგრი** „მილანის" მესაჭის როლში, შეგუებულიც იყო, უდინეში შერეული შემადგენლობა ჩაიყვანა. კლარენსმა, რაც „მილანი" ჩაიბარა 24 შესაძლებელიდან მხოლოდ 13 ქულა მოაგროვა, ამიტომაც მისი გუნდი ჩემპიონატის ცხრილის შუაშია გაჩხერილი.

*„ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მძიმე შრომა, უნდა გვჯეროდეს, რომ სწორ გზას ვადგავართ. ბევრ კითხვას კი პასუხს სამშაბათს უშუალოდ მოედანზე გავცემთ. ყველაფერი კარგადაა, სანერვიული არაფერია. ჩვენ უნდა ვიყოთ ოპტიმისტები, რომ წყვილში სიტუაცია შემოვატრიალოთ"*, - განუცხადა „მილანის" ოფიციალურ საიტს კლარენს ზეედორფმა.



წამიც და დიეგო კოშტა „სან სიროს" დაამწუხრებს, რა მოხდება „კალდერონზე"?

თუკი „მილანისთვის" სკუდეტოსთვის ბრძოლა დიდი ხანია დამთავრდა, „ატლეტიკო" ჯერაც იბრძვის ესპანეთის ჩემპიონობისთვის და არცთუ ურიგო შანსებიც გააჩნია. **დიეგო სიმეონეს** გუნდმა ვიგოში „სელტა" 2:0 დაამარცხა, „ბარსელონას" გადაუსწრო და წინ მხოლოდ „რეალი" დაიტოვა. ვიგოში დისკვალიფიცირებული დიეგო კოშტა არ ყოფილა და **დავიდ ვილიამ** გაიბრწყინა, სამშაბათს გაესპანელებული ბრაზილიელი ბრუნდება და „მილანის" დაცვის უმთავრესი საფრთხეც იქნება.

კოშტას ჩემპიონთა ლიგაზე 4 მატჩში 5 გოლი აქვს, მისი წყალობით კი „ატლეტიკო" 1997 წლის მერე პირველად აპირებს ლიგის მეოთხედფინალში გასვლას.

„ატლეტიკოს" თავკაც დიეგო სიმეონეს აქვს მიზეზი „მილანთან" მატჩის წინ ოპტიმისტურად იყოს განწყობილი - ჯგუფურ ეტაპზე „როხიბლანკომ" შინ მხოლოდ 1 ბურთი გაუშვა და 9 გაიტანა.

*„უნდა დავივიწყოთ შაბათს მოგებული თამაში, მიუხედავად იმისა, რომ ის სასიამოვნოდ გასახსენებელია და ვიფიქროთ და ვემზადოთ „მილანთან" მატჩისთვის. შემდეგ ეტაპზე გასვლა ჩვენ უდიდეს ძალებს შეგვმატებს, რომლებიც შესაძლოა, სეზონის ბოლომდეც მიგვყვეს"*, - განაცხადა „ათლეტების" არგენტინელმა დამრიგებელმა.

კლარენს ზეედორფს ტრავმამოშუშებული **მარიო ბალოტელი** და მცველი **კრისტიან საპატა** დაუბრუნდნენ, მაგრამ გუნდს მადრიდში არ ეყოლება კაპიტანი **რიკარდო მონტოლივო**, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

სიმეონესაც აქვს დანაკლისი - მთავარი კი **ტიაგოსა და ხავიერ მანკილიოს** არყოფნაა ტრავმების გამო, თუმცა ნახევარმცველმა ტიაგომ გუშინ დილით პირველად ივარჯიშა და არ არის გამორიცხული, თამაში მაინც შეძლოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მაშ, ვიბრძოლოთ ულისათვის!

## ბაიერნი მოტივაციას იგონებს, არსენალი იმედს



მესუთ იოზილი, მატიო ფლამინი და ლუკას პოდოლსკი მიუნხენში დიდ გულზე არიან

**პეპ გვარდიოლას „ბაიერნთან" გუნდებს თანაბარ პირობებში არ აქვთ შანსი და რა უნდა გააკეთოს ლონდონის „არსენალმა" „ალიანს არენაზე"? მით უმეტეს, რომ „მეთოფეები" მატჩს 0:2-ით და მთავარი გოლკიპერის გარეშე იწყებენ, თუმცა ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო...**

მხოლოდ „არსენალის" თავგადაკლულ ფანებსღა ეიმედებათ სასწაულის, რომელიც „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის მილმა დატოვებს, ფეხბურთის დანარჩენი სამყარო კი დარწმუნებულია, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი ლონდონში დაწყებულ საქმეს მიუნხენში ლოგიკურ დასასრულამდე... მეოთხედფინალის საგზურამდე მიიყვანს.

მაგრამ არის ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალი, რომელიც ინგლისელებს ოპტიმიზმის საფუძველს უტოვებს, შარშან ჩემპიონთა ლიგაზე „არსენალმა" მიუნხენში 2:0 მოიგო და მხოლოდ იმიტომ გავარდა, რომ „ბაიერნს" მეტოქის მოედანზე მეტი გოლი ჰქონდა გატანილი. ახლა 2:0 **არსენ ვენგერის** გუნდს დამატებით ტაიმებს აჩუქებს.

ორი კვირის წინ, „ემირეიტსზე" დრამატული მატჩი გაიმართა, პირველ ტაიმში ორივე გუნდმა პენალტი გააფუჭა, „ბაიერნმა" კი **ტონი კროოსისა** და **თომას მიულერის** გოლებით იხეირა, ხოლო „არსენალს" მსაჯმა პოლონელი გოლკიპერი **ვოიცეხ შჩესნი** გაუძევა.

პრემიერშიპში ჩრდილოლონდონურმა კლუბმა ცოტა აურია, თუმცა გერმანიაში ვენგერის გუნდი კარგ ხასიათზე ჩავიდა - ასოციაციის თასზე „არსენალმა" არცთუ სუსტი „ევერტონი" 4:1 გაანადგურა და ნახევარფინალში გავიდა.

*„ამ მატჩის მოგება ძალზე მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ახლა „ბაიერნთან" საბრძოლველად დამუხტულები გავალთ მოედანზე. სტატისტიკა ჩვენ წინააღმდეგ არის, თუმცა თუ კარგად ვითამაშეთ, შანსი ნამდვილად გვექნება"*, - განაცხადა არსენ ვენგერმა.

მიუნხენში გამარჯვება მართლაც ძალიან ძნელია, რადგან შინაურ პირველობაზე „ბაიერნს" შინ 2012 წლის ოქტომბრის მერე არ წაუგია. თუმცა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „მანჩესტერ სიტისთან" მარცხმა გვიჩვენა, რომ „ბაიერნის" დამარცხება მიუნხენში შესაძლებელია და ეს განსაკუთრებით ინგლისურ კლუბებს გამოსდით.

„ბაიერნს" „ვოლფსბურგთან" ტრავმამოშუშებული **ჯერდან შაჩირი**, თომას მიულერი და **ფრანკ რიბერი** დაუბრუნდნენ და „მგლებს" შავი დღეც აყარეს - 6-დან 4 გოლი გამოჯანმრთელებულ ტრიოზე მოდის.

აი, „არსენალის" ბანაკში კი პრობლემები არ ილევა. პირველ რიგში, გუნდი ლონდონური გაძევების გამო ძირითადი გოლკიპერის, შჩესნის გარეშე უნდა გავიდეს ფონს, ახლახან სანაკრებო თამაშში **ჯეკ უილშირმა** 6 კვირით ჩაიმუხლა, **აარონ რემსი** კი ჯერ არ გამოჯანმრთელებულა, **თეო უოლკოტს** კი კიდევ კარგა ხანს ვერ ვნახავთ.

11.03. მიუნხენი
ალიანს არენა 23:45

**ბაიერნი**

| | | |
|---|---|---|
| | I მატჩი: 2:0 | |
| +5=0-1 | ბოლო 6 მატჩი ლიგაზე | +3=0-3 |
| | არბიტრი | |
| | სვეინ მოენი (ნორ) | |

**არსენალი**

საავარაუდო შემადგენლობები

ბაიერნი: ნოიერი; ხ. მარტინესი, დანტე, რაფინია, ალაბა; ლამი, კროოსი; რობენი, ტ. ალკანტარა, რიბერი; გიოტცე

არსენალი: ჟირუ; კასორლა, იოზილი, ოქსლეიდ-ჩემბ.; ფლამინი, არტეტა; გიბსი, სანია, კოშელნი, მერტეზაკერი; ფაბიანსკი

დისკვალიფიკაცია: - შჩესნი
ტრავმა: ბადშტუბერი - უოლკოტი, უილშირი, დიაბი, რემსი, კალსტრიომი, კოშელნი (?), მონრეალი (?)

სხვათა შორის, გუშინ მიუნხენში „ბაიერნის" პრეზიდენტის, **ული ჰიონესის** წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო. ამიტომაც ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ დღეს გუნდი კლუბის პრეზიდენტისთვისაც იბრძოლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ასოციაციის თასი. 1/4-ფინალი. გამოხმაურება

# რა გახდა ეს უიგანი?

„უიგან ატლეტიკი" „მანჩესტერ სიტის" უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში ასოციაციის თასზე მეორედ შეხვდა და მეორედ დაამარცხა. პირველად ეს შარშან მაისში „უემბლიზე" ფინალში მოხდა, მეორედ კი - ამ უქმეებზე „ეტიჰადზე". მიმდინარე სეზონში გუნდები ერთმანეთს ლიგის თასზეც გადაეყარნენ, სადაც მანჩესტერელებმა მეტოქე 5:0 გაანადგურეს. ამჯერად კი ყველაფერი სხვანაირად მოხდა. პირველი ტაიმი მასპინძელმა ულიმლამოდ ჩაატარა და **სკოტ კარსონის** კართან თითებზე ჩამოსათვლელი საგოლე მომენტები შექმნა. სამაგიეროდ, „ათლეტებმა" ისარგებლეს ერთადერთი რეალური შანსით და პირველი ნახევარი **მარტინ დემიჩელსის** ლად არ ჩამოუვარდება. **მანუელ პელეგრინის** გუნდი დაიქოქა და მეთოდურად დაიწყო მეტოქის შევიწროება. „სიტიმ" კოლოსალური უპირატესობა იგდო ხელთ. „უიგანი" დაცვაში კლდესავით კი იდგა, მაგრამ რამდენჯერმე ის უბრალოდ გადარჩა. რად ღირს თუნდაც **ედინ ჯეკოს** მიერ გაფუჭებული მომენტების მთელი თაიგული. კარსონის კარი მხოლოდ ერთხელ დაეცა და ისიც **სამირ ნასრის** შორეული დარტყმის შემდეგ. მეკარეს დროული რეაქცია ჰქონდა, მაგრამ ბურთი გზად მიწას 2-3-ჯერ შეეხო და ამოუცნობი ტრაექტორია შეიძინა. საბოლოოდ „უიგანმა" თავდადებული თამაშისთვის 1/2-ფინალის საგზური მოიპოვა, სადაც ის „არსენალს" დაუპირისპირდება.


„უიგანმა" „მანჩესტერ სიტი" ერთი ტიტულისთვის ბრძოლას ჩამოაშორა

შეცდომის გამო დანიშნული პენალტით მოიგეს. შესვენების შემდეგ „სიტი" ჯერ გონს არ იყო მოსული, რომ ანგარიში კიდევ ერთხელ გაიზარდა. დაცვაში ამჯერად **გაელ კლიში** შეცდა. ფრანგ მარცხენა მცველს ფლანგური გამჭოლი გადაცემის შემდეგ ზურგს უკან ექსნიუკასლელი **ჯეიმს პერჩი** გამოუხტა. 0:2 „ქალაქელებისთვის" ჯერაც არ ნიშნავდა განგაშის ზარებს, რადგან ასოციაციის თასზე გუნდმა ასეთივე უპირატესობა ამოუქაჩა „უოტფორდს", ვინც ძალითა და გაქანებით „უიგანს" ბევრით ნამდვი-

**უვე რიოსლერისთვის** „სიტის" დამარცხება განსაკუთრებული მოვლენა რომ იყო, 45 წლის გერმანელმა გულწრფელად აღიარა. 1994/98 წლებში ხომ ის (მათ შორის 3 სეზონი **გიორგი ქინქლაძესთან** ერთად) „სიტის" ღირსებას იცავდა.

მანუელ პელეგრინი (მანჩესტერ სიტი): *„მეჩვენება, რომ დღეს შეხვედრა ორ არათანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი. ეს იყო სასტარტო სასტვენიდან 0:2-მდე და მერე უკვე მატჩის ბოლომდე. აშკარაა, რომ თამაშში ძალიან გვიან ჩავერთეთ. მეტოქეს 45 წუთზე მეტი სუფთა დრო ვაჩუქეთ, რადგან ძალიან ნელა ვმოძრაობდით. ლიგის თასზე გამარჯვების შემდეგ წარმატებული კვირა გვქონდა და ამ მარცხში დამნაშავეები მთლიანად ჩვენ ვართ. რას ვიზამთ? ახლა ჩვენ პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში უნდა განვაგრძოთ ბრძოლა".*

**უვე რიოსლერი** (უიგანი): *„ჩემი გუნდის შემხედვარე ბედნიერი ვარ. ასეთი ძლიერი ემოციები შარშან თასზე გამარჯვების შემდეგ არ განგვიცდია. ამ ორ შეხვედრას ერთმანეთს არ ვადარებ. უბრალოდ ხაზს ვუსვამ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს თამაში ჩვენთვის. მიუხედავად ამისა, გამარჯვება არ მიზეიმია, რადგან „სიტის" გულშემატკივრის მხრიდან ყოველთვის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ვგრძნობდი. ეს დღესაც გამოჩნდა, როცა ხალხი ძალიან თბილად შემხვდა. მიმაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი მეტოქე იმდენად ძლიერია, რომ ნებისმიერის პატივისცემას იმსახურებს. დღეს ჩვენი მაქსიმუმი რომ არ გვეჩვენებინა, ვფიქრობ, რომ შანსი არ გვექნებოდა. ერთადერთი, რაც შეგვეძლო, თავდასხმაში მაქსიმალურად ყურადღებით ყოფნა და ბურთის ეფექტური კონტროლი იყო და ჩვენ ეს შევძელით".*

ინტერვიუ. ხუან მატა

# მანჩესტერს უკვე დე ხეაზე უკეთ ვიცნობ


ხუან მატასთვის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი უცხო არ არის

**ხუან მატა „მანჩესტერ იუნაიტედში" 24 იანვარს გადავიდა. თვე-ნახევრის განმავლობაში 25 წლის ესპანელმა იმდენი მოახერხა, რომ კლუბის გულშემატკივარმა ის თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ახალ გარემოსა და განსხვავებულ შეგრძნებებზე მან ჩვენს ინგლისელ კოლეგებთან ინტერვიუში ილაპარაკა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

**- ხუან, გილოცავთ, მიუხედავად „იუნაიტედში" გატარებული მცირე პერიოდისა, თვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდით.**

- უბრალოდ დაუჯერებელია. პირველი აღიარება ახალ გუნდში ერთი თვის თავზე მოვიპოვე. მიხარია, რომ გულშემატკივრებმა ხმა სწორედ მე მომცეს.

**- რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს ახალ გარემოში?**

- მანჩესტერში ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. უკვე ვნახე ახალი სახლი და გარემოსაც ნელ-ნელა ვეგუები. მანჩესტერი ლონდონთან შედარებით, პატარა და მშვიდი ქალაქია, სადაც ფეხბურთზე კონცენტრაციაში ხელს არაფერი გიშლის.

**- როგორც ჩანს, დავიდ დე ხეამ უკვე მოგატარათ მთელი ქალაქი.**

- სიმართლე რომ გითხრათ, მეჩვენება, რომ მე უკვე მეტი ვიცი მანჩესტერზე, ვიდრე დავიდმა, თუმცა თავიდან სწორედ მან გამაცნო ადგილები, სადაც საღამოს დასასვენებლად წასვლა შემიძლია.

**- თანაგუნდელებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

- „იუნაიტედში" კარგი ბიჭები არიან თავმოყრილნი. პირველივე დღიდან მოყოლებული ყველასთან შესანიშნავი დამოკიდებულება მაქვს. ახალ გუნდში კი ეს ფაქტორი ყოველთვის ბევრს ნიშნავს.

**- მარტის ბოლომდე „ოლდ ტრეფორდზე" ორი პრინციპული დაპირისპირება გიწევთ, „ლივერპულთან" და „სიტისთან".**

- „იუნაიტედის" მატჩებს „სიტისთან" და „ლივერპულთან" მთელი ქვეყანა ელოდება. ამ თამაშებს მონაწილე გუნდებისთვის, პრინციპულთან ერთად, წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. „იუნაიტედი" წარმატებისთვის ყველაფერს გააკეთებს. მჯერა, რომ შეგვიძლია 3-3 ქულის აღება.

ამბები


ტომას ვერმალენი

## არსენალიდან კაპიტანი მიდის

**ტომას ვერმალენს** ფორმალურად კი ჰქვია „არსენალის" კაპიტანი, თუმცა 28 წლის ბელგიელს პრემიერლიგაში ძირითადში შარშანდელი 26 დეკემბრის შემდეგ აღარ უთამაშია. „ევერტონთან" ასოციაციის თასის 1/4-ფინალშიც მან მხოლოდ იმიტომ ითამაშა, რომ **ლორან კოშელნი** სანაკრებო პაუზის შემდეგ ლონდონს ტრავმირებული დაუბრუნდა. ასე რომ, გასაკვირი ნამდვილად არ არის, როცა ფეხბურთელი კლუბს 2015 წლის ივლისამდე გათვლილი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარს ეუბნება. *„არსენალში" ჩემს მომავალზე ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან ცხოვრებამ მასწავლა, რომ მომავლის დაგეგმვას დიდი ხნით ადრე აზრი არ აქვს,"* - ამბობს ვერმალენი. ინგლისური პრესა წერს, რომ „მეთოფეთა" უკანახაზელის შეძენას „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბარსელონა" და „ნაპოლი" გეგმავენ. კიდევ ერთი უარის შემთხვევაში **არსენ ვენგერი** იძულებული გახდება, ამ ზაფხულს შეგირდი ტრანსფერზე დააყენოს.

## ტორესი ისევ დაიმტვრა


ფერნანდო ტორესი

**ფერნანდო ტორესმა** საზარდულის ტრავმა შაბათს „ჩელსი"-„ტოტენჰემის" დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღო. **ჟოზე მოურინიო** იძულებული გახდა, ესპანელის გვარი განაცხადიდან საერთოდ ამოეღო. წინასწარი ინფორმაციით, „ელ ნინიოს" ლაზარეთში ორი კვირის გატარება მოუწევს. *„საზარდულის ტრავმაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ცუდია, რომ ფეხბურთელს რეაბილიტაციისთვის დიდი დრო სჭირდება. რამდენი გაუცდება ტორესს, ზუსტად ამის თქმა გამიჭირდება, საბოლოო პასუხი ექიმებისგან ჯერაც არ მიგვიღია,"* - განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა. ტორესი „ასტონ ვილასთან" (15 მარტი, ბირმინგემი) პრემიერლიგაში და „გალათასარაისთან" (18 მარტი, ლონდონი) ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ნამდვილად ვერ ითამაშებს. რა იქნება ამის მერე, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია.

## ჰამერი დარჩენას არ აპირებს

ჩემპიონშიპის ერთ-ერთი გამოკვეთილი აუტსაიდერის „ჩარლტონ ატლეტიკის" 26 წლის კარის დარაჯი **ბენ ჰამერი** კლუბში დარჩენას არ აპირებს, მით უფრო, რომ მას ლონდონელებთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს ეწურება. ჰამერის სამსახურით პრემიერლიგური კლუბები „ვესტ ბრომვიჩი", „ფულჰემი" არიან დაინტერესებულები. ამას გარდა მას თანამშრომლობას სთავაზობენ „ლესტერი" და „ბარნლი", ვისაც რანგით მაღალ ლიგაში დაწინაურების შესანიშნავი შანსი აქვთ.

## მილნერის ახალი შანსი

„მანჩესტერ სიტიმ" რამდენიმე ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელის კარიერა სერიოზულად შეაფერხა. მაგალითად **სკოტ სინკლერის** (ახლა „ვესტ ბრომვიჩის" ძირითადშიც კი ველარ ხვდება), **ადამ ჯონსონის** (დროულად გაიქცა „სანდერლენდში"), **ჯეკ როდუელის** (მხოლოდ 3 თამაში მიმდინარე სეზონში). „დაზარალებულთა" შორის შეიძლება დავასახელოთ **ჯეიმს მილნერიც**, რადგან ფეხბურთელმა ინგლისის ნაკრებში ადგილი დაკარგა. „დეილი მეილის" ცნობით, უკანასკნელს მომდევნო სეზონში „ტოტენჰემში" გადასვლის კარგი შანსი აქვს, რადგან „სიტისთან" კონტრაქტში 1.5 წელი რჩება, თანამშრომლობის გაგრძელებაზე კი უარს აცხადებს. გამოცემის ინფორმაციით, „ქალაქელები" ფეხბურთელს 13 მილიონ ფუნტად აფასებენ. „ტოტენჰემს" 28 წლის შუახაზელი, წესით, ამდენად უნდა ულირდეს კიდეც.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ჯეიმს მილნერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი


გაიოზ ნიგალიძე

# ლიდერები ფრთხილობენ

ერევანში მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე ექვსი ტურის შემდეგ ალექსანდრ მოტილევს (რუსეთი) 5,5 ქულა, სამ მოჭადრაკეს — 5-5, ხოლო 14 მონაწილეს 4,5-4,5 ქულა ჰქონდა. გუშინ მე-7 ტურში მათი ცხრა პარტიიდან მხოლოდ სამი დამთავრდა შედეგიანად (უკრაინელმა პაველ ულიანოვმა რუს სანან სიუგიროვს აჯობა, მასპინძელმა ვლადიმირ აკოფიანმა თანამემამულე ტიგრან კოტანჯიანი დაჯაბნა, თურქმა დრაგან სოლაკმა კი პოლონელ მათეუშ ბართელს სძლია), დანარჩენ ექვს ორთაბრძოლაში მეტოქეები დაზავდნენ. ყაიმზე შეთანხმდნენ **ბაადურ ჯობავა** და რუსი პაველ ტრეგუბოვიც.

ჩვენებურთა დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: **გაიოზ ნიგალიძე**-იური კუზუბოვი (უკრაინა) 1:0, **ლუკა პაიჭაძე**-ბორის გრაჩევი (რუსეთი) 0,5:0,5, ვლადიმირ პოტკინი (რუსეთი)- **სალომე მელია** 0,5:0,5, **გიგა ყუფარაძე**-დანიილ დუბოვი (რუსეთი) 1:0, **ალექსანდრე ყაშაშვილი**-დმიტრი სვეტუშკინი (მოლდოვა) 1:0, **ლევან ფანცულაია**-არტურ ჩიბუხჩიანი სომხეთი) 0,5:0,5, ვლადიმირ კოვალიოვი (ბელარუსი)-**გიორგი ბალათუროვი** 1:0, **ნანა ძაგნიძე**-მარიო შაჩინგერი (ავსტრია) 1:0, **მერი არაბიძე**-ჰოვანე გაბუზიანი (სომხეთი) 1:0, დან ზოლერი (ისრაელი)-**ივერი ჭილლაძე** 0,5:0,5, ჰოვიკ ჰაირაპეტიანი (სომხეთი)-**ბაჩანა მორჩიაშვილი** 0:1, იდო ბენი (ისრაელი)-**ნიკა ლვამბერია** 1:0, მარინა გევორქიანი (სომხეთი)-**ირაკლი ბერაძე** 0:1, ბოგდან-დანიელ დიასი (რუმინეთი)-**ნოე თუთისანი** 1:0, ლილით გალოიანი (სომხეთი)-**ნატო იმნაძე** 1:0, **გიორგი სიბაშვილი**-ჰრანტ ალექსანიანი (სომხეთი) 1:0.

შვიდი ტურის შემდეგ ქართველთა მონაგარი: ჯობავა, ნიგალიძე-5-5, ყაშაშვილი, ყუფარაძე - 4,5-4,5, პაიჭაძე, ძაგნიძე, მელია - 4-4, არაბიძე, ჭილლაძე, ფანცულაია, მორჩიაშვილი, ბერაძე- 3,5-3,5, ბალათუროვი, სიბაშვილი-3-3, ლვამბერია-2,5, თუთისანი, იმნაძე-2-2 ქულა.

ევროპის ჩემპიონატს 6 ქულით ისევ ალექსანდრ მოტილევი მეწინავეობს. ექვს მოჭადრაკეს 5,5-5,5 ქულა აქვს. 22-მა მონაწილემ კი 5-5 ქულას მოუყარა თავი. მათ შორის არიან ბაადურ ჯობავა და საქართველოს ორგზის ჩემპიონი გაიოზ ნიგალიძე. დღეს მე-8 ტურში ისინი შესაბამისად, ილია სმირინსა (ისრაელი) და ლორან ფრესინეს (საფრანგეთი) შეხვდებიან.

ვაჟა **დანელია**

# ვეტერანები პორტოში

პორტუგალიაში დაიწყო ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელიც მონაწილეობს. უკვე გათამაშდა ორი ტური. 65 წელს გადაცილებულ ქალთა შორის ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა **ნონა გაფრინდაშვილმა** საწყისი ორივე პარტია მოიგო და ვალენტინა კოზლოვსკაიასთან (რუსეთი) ერთად ლიდერობს. მსგავსი შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებულსა და პრიზიორ **თამარ ხმიადაშვილს** 0.5 ქულა აქვს.

50 წელს გადაცილებულ მანდილოსანთა პაექრობაში **ნინო გურიელმა** და **ციალა ქასოშვილმა** 2-2 შესაძლებლიდან თითო ქულას მოუყარეს თავი. უდანაკარგოდ ტატიანა ბოგუმილი (რუსეთი) და ტატიანა ფომინა (ესტონეთი) მეწინავეობენ. ამ ასაკის მამაკაცებში ქართველთაგან ძალებს ცდის **ზურაბ სტურუა**. პირველ ტურში მან სტეინ სოლიდი (ნორვეგია) დაამარცხა, ხოლო ბორის მარიასინს (ისრაელი) დაუზავდა. აქ შვიდ მოჭადრაკეს 2-2 ქულა აქვს.

ვაჟა **დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს თასი

# ამერიკამ მიგვიღო

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს ამერიკის საელჩომ ვიზები მისცა და ჩვენები მონაწილეობას მიიღებენ 15-16 მარტს ლოს ანჟელესში გასამართ მსოფლიოს თასზე. საკონსულომ მხოლოდ ერთ მონაწილეს - **ბექა ჭელიძეს** (97) უთხრა უარი. არსებითად, ამავე დღეში აღმოჩნდა გუნდის მთავარი მწვრთნელი **რევაზ მინდორაშვილი** - მისთვის უარი არ უთქვამთ, მაგრამ საკითხი ჯერ ისევ განხილვის პროცესშია, ამას კი, როგორც თურმე დიპლომატები აცხადებენ, შესაძლოა, ორი თვეც კი დასჭირდესო. გასაგებია, ორი თვის შემდეგ მათი ვიზა არავის სჭირდება და ღმერთმა ჰქნას, ამ ორ დღეში ვითარება შეიცვალოს, მაგრამ გუშინდელი მონაცემით, მინდორაშვილი გუნდს ვერ მიჰყვებოდა. მის ნაცვლად ნაკრებს ამჯერად **დავით პოღოსიანი** და **ალექსანდრე კახნიაშვილი** უხელმძღვანელებენ.

ვერ გეტყვით, რატომ ხდება ეს სავიზო აბრაკადაბრა, მაგრამ ამერიკული მხარე ანალოგიურ პრობლემას მხოლოდ ჩვენებს არ უქმნის - გუშინდლამდე გაურკვეველი იყო რუსეთის ნაკრების წევრების, **მურშიდ მუტალიმოვისა** (61) და **ჰაჯიმურატ გაცალოვის** საკითხიც (97) - მინდორაშვილის მსგავსად, მათი საქმეც განხილვის პროცესშია. შეგახსენებთ, რომ ამერიკულმა მხარემ თავდაპირველად ჩვენებს ვიზებზე საერთოდ უარი უთხრა. ქართული მხარე არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ეს ირანული ვიზების გამო გააკეთეს, რადგან წამსვლელთაგან ბევრმა ჩვენებურმა თებერვალში ირანში იჭიდავა. თუმცა საკითხავია - თუ მართლაც ესაა მიზეზი, მაშინ თვით ირანელებს როგორ მისცეს? ოღონდ კიდევ ვიმეორებთ, რომ ანალოგიური პრობლემა სხვებსაც შეექმნათ და არა მხოლოდ ჩვენ.


რევაზ მინდორაშვილი

ამდენად, ლოს ანჟელესში ის შემადგენლობა იჭიდავებს, რომელიც ადრევე გაგაცანით, მხოლოდ ჭელიძის გამოკლებით: **ოთარ გოგავა, ბექა ბუჯიაშვილი** (ორივე - 57), **ბექა ლომთაძე** (61), **ზურაბ იაკობაშვილი** (65), **ლევან ქელეხსაშვილი, გიორგი ცუცქირიძე** (ორივე - 70), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **ნოდარ ეგაძე, ლევან გოგრიჭიანი** (ორივე - 86), **ლუკა კურტანიძე** (97), **გენო პეტრიაშვილი, გიორგი საკანდელიძე** (ორივე - 125).

როგორც ვხედავთ, ესაა სათადარიგო შემადგენლობა, რადგან მინდორაშვილი ლიდერებს ევროპის ჩემპიონატისთვის ინახავს. სადღეისოდ გუნდი სწორედ ამ ტურნირისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე იმყოფება ბორჯომში, სპორტკომპლექს „ოლიმპში", თუმცა ამერიკაში წამსვლელები დღეს უკვე დაბრუნდებიან თბილისში და 13-ში, გამთენიისას ლოს ანჟელესისკენ აიღებენ გეზს. ძირითადი შემადგენლობა 14 მარტს დაასრულებს ბორჯომულ შეკრებას, მაგრამ 19 მარტს ისევ უკან დაბრუნდება და დასკვნით ეტაპსაც „ოლიმპში" ჩაატარებს.

მსოფლიოს თასზე ჩვენი მეტოქეები იქნებიან რუსეთი, უკრაინა, მონღოლეთი და იაპონია, მეორე ჯგუფში კი აშშ, ირანი, თურქეთი, ინდოეთი და სომხეთი მოხვდნენ. ჩვენები პირველად იაპონელებს დაეჭიდებიან, ჯგუფის მთავარი პაექრობა კი ტურნირის ბოლო დღეს, 16 მარტს ექნებათ რუსებთან.

როგორც ვხედავთ, წილისყრამ მსოფლიოს თასზე ცხელი „პოლიტიკური ბატალიები" შემოგვთავაზა - აქეთ ირანი და აშშ ერთად, იქით კი საქართველო, უკრაინა და რუსეთი დღევანდელი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით! თუმცა, შესაძლოა, ლოს ანჟელესში დიდი სპორტული მეტოქეობის მომსწრეც გავხდეთ - ისევ განმეორდეს კურტანიძისა და გაცალოვის დაპირისპირება. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ამ ტურნირზე გამოსვლას რომ გეგმავდა, ადრევე დაანონსა, ხოლო ყურადღება თუ მიაქციეთ, ზემოთ გაცალოვი 97 კილოგრამში დავასახელეთ. არადა, შარშან ის მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში გახდა, მაგრამ **მაგომედ ჰუსეინოვი** ახლა 97-ში უპირებს დაყენებას. ვნახოთ, შედგება თუ არა ძველი დაპირისპირება, რაც არც ისე შორეულ წარსულში ჭიდაობის კლასიკა იყო - საამისოდ საჭიროა, გაცალოვს ვიზა მისცენ, მაშინ კი ეს პაექრობა სავსებით რეალურია.

ბარემ რუსთა შემადგენლობასაც გაგაცნობთ, სადაც ჰუსეინოვმა ასევე ექსპერიმენტებს მიმართა და რამდენიმე ლიდერს ასვენებს. **ვიქტორ ლებედევი, ვლადიმერ ფლეგონტოვი** (ორივე - 57), **მურად ნუხკადიევი, მურშიდ მუტალიმოვი** (61), **ალიბეგაჯი ემეევი, სოსლან რამონოვი** (65), **რამაზან შამსუდინოვი, ხეტაგ ცაბოლოვი** (70), **ახმედ გაჯიმაგომედოვი, აცამაზ სანაკოევი** (74), **შამილ კუდიამაგომედოვი, ანზორ ურიშევი** (86), **ჰაჯიმურატ გაცალოვი, იური ბელონოვსკი, ვლადისლავ ბაიცაევი** (სამივე - 97, ოღონდ ბაიცაევი სარეზერვოა), **ანზორ ხიზრიევი, არსლანბეკ ალიევი** (ორივე - 125) -აი, ამ შემადგენლობით იჭიდავებენ რუსები ჰოლივუდის ქალაქში.

თუმცა რუსთა ბანაკიდან ბევრად უფრო საინტერესო სიახლე ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით გავრცელდა - კონტინენტის პირველობაზე გამოსვლა იუარა ჩეჩენმა ოლიმპიურმა და ევროპის ჩემპიონმა **ჯამალ ოთარსულთანოვმა** (61), მის ნაცვლად კი მეორე ჩეჩენი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ბეკხან გოიგერეევი** იჭიდავებს. ოთარსულთანოვს ან მის მწვრთნელ **ანატოლი მარგიევს** უარის მიზეზი ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ, თუმცა რა ძნელი მისახვედრია, რომ ჩეჩენი მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება - მის კარიერას ხომ მხოლოდ ეს ტიტული აკლია. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ამხელა შედეგების მქონე კაცი პირველად ჭიდაობს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რადგან ვიქტორ ლებედევთან შიდა კონკურენციაში დაჩაგრული აქამდე ვერ ხვდებოდა ამ შეჯიბრებაზე. სხვათა შორის, მსოფლიოს პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად ევროპირველობაზე გამოსვლა ადრევე იუარა გაცალოვმა, ვინც სექტემბერში ტაშკენტში მეექვსედ შეეცდება მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებას.

რუსულ-დაღესტნური წყაროების ცნობით, გოიგერეევის გარდა, 1-6 აპრილს ფინურ ვანტააში, ევროპის ჩემპიონატში გამოსვლა რუსთაგან უკვე გაინაღდეს **მაგომედ კურბანალიევმა** (65), **ანიუარ გედუევმა** (65), **აბდულრაშიდ სადულაევმა** (86) და **აბდუსალამ გადისოვმა** (97). თუმცა მონაწილეთა ვინაობა ძნელი გამოსაცნობი არც დარჩენილ სამ წონაშია. მით უფრო - მსოფლიოს თასზე მოასპარეზეთა სიის გამოქვეყნების შემდეგ. რაკიღა ლოს ანჟელესში იარიგინის ტურნირის ვიცე-ჩემპიონები - ფლეგონტოვი, შამსუდინოვი და ხიზრიევი მიდიან, ლამისდ გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ ვანტააში იარიგინის მემორიალის გამარჯვებულები - **რუსტამ ამპარი** (57), **ისრაილ კასუმოვი** (70) და **ალან ხუგაევი** (125) იჭიდავებენ.

კულუარული ხმებით, საევროპოდ ფრიად მოულოდნელ და საყურადღებო საკადრო გადაადგილებას ჩვენი მწვრთნელებიც აპირებენ ერთ-ერთ მჩატე წონაში, თუმცა დაველოდოთ ბოლო შეკრებას, სადაც მინდორაშვილი შემადგენლობას ოფიციალურად გამოაცხადებს.

ირაკლი **თავაძე**

წყალბურთი

# საქართველო რუმინეთით დაიწყებს

უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტში 14-27 ივლისს წყალბურთელ ვაჟთა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. როგორც გაუწყეთ, წილისყრამ ელიტის 12 გუნდი ორ ჯგუფში გადაანაწილა: **A ჯგუფი:** ჩერნოგორია, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო. **B ჯგუფი:** სერბეთი, უნგრეთი, გერმანია, ხორვატია, საფრანგეთი, ესპანეთი. მართალია, თორმეტეულში სუსტი გუნდები არ არიან, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ B ჯგუფში უფრო ძლიერები მოხვდნენ. ჩემპიონატის დებულებით, ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ ნახევარფინალში იასპარეზებენ, ხოლო მეორე-მესამეადგილოსნები ნახევარფინალის კიდევ ორი საგზურისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. უკვე ცნობილია ბუდაპეშტში გუნდების შეხვედრათა კალენდარი.

**A ჯგუფი**

**14 ივლისი.** რუმინეთი – **საქართველო**, ჩერნოგორია – საბერძნეთი, იტალია – რუსეთი.

**15 ივლისი. საქართველო** – საბერძნეთი, რუსეთი – ჩერნოგორია, რუმინეთი – იტალია.

**17 ივლისი.** საბერძნეთი – რუსეთი, იტალია – **საქართველო**, ჩერნოგორია – რუმინეთი.

**19 ივლისი. საქართველო** – რუსეთი, რუმინეთი – საბერძნეთი,იტალია – ჩერნოგორია.

**21 ივლისი.** რუსეთი – რუმინეთი, საბერძნეთი – იტალია, ჩერნოგორია – **საქართველო.**

ვაჟა **დანელია**

კრივი



# აბრეშუმის გზა და შვიდი მედალი

ბაქოში დამთავრდა მოკრივეთა A კლასის საერთაშორისო ტურნირი — „აბრეშუმის გზა", რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის საქართველოდან ძალებს ცდიდა 7 სპორტსმენი. ყველა მათგანი კვარცხლბეკზე ავიდა, რამაც ჩვენს ნაკრებს (მთავარი მწვრთნელი **დავით წიკლაური**) გუნდური მეორე ადგილი მოუტანა მასპინძლების შემდეგ. ქართველებმა გაუსწრეს რუსებს, უკრაინელებსა და ყაზახებს. სხვებზე უკეთ იასპარეზა მძიმე წონაში (+91 კგ) ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა **მიხეილ ბახტიძემ**, რომელსაც ფინალში აზერბაიჯანის პირველი ნომერი არ გამოუცხადდა.

მეორე ადგილებზე გავიდნენ: **ირაკლი მელიქიშვილი** (64 კგ) და **გელა აბაშიძე** (69 კგ). ბრინჯაოს მედლები ხვდათ: **გოგა გელაშვილს** (60 კგ), **გოჩა ბადურაშვილს** (75), **რომან თავაძეს** (81 კგ) და **ირაკლი გვენეტაძეს** (91 კგ).

საგულისხმოა, რომ ეს სპორტსმენები 21 თებერვლიდან ბაქოში მასპინძელთა მიწვევით ერთობლივ ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა.

ვაჟა **დანელია**

რეგიონი. ჭიდაობა

# უკვე მეხუთედ!

ქ. თერჯოლამ ბ/რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონის, დიდებში ევროპის მესამე პრიზიორის, მსოფლიოს თასის მფლობელის (პირადსა და გუნდურში), სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილის **მირიან გიორგაძის** მეხუთე რესპუბლიკური ტურნირს უმასპინძლა ორ ასაკობრივ წონაში 20 ქალაქისა და რაიონის 300 მოჭიდავის მონაწილეობით (მთავარი მსაჯი **დიმიტრი გურგენიძე**).

**გაგაცნობთ გამარჯვებულებსა პრიზიორებს. 2000-2002 წლებში დაბადებულები. 23 კგ.** 1. ირაკლი ჩიქობავა (სენაკი), 2. მალხაზ ხელაია (ფოთი), 3. ბაჩო გვაძაბია (სენაკი), ლუკა მაჭარაშვილი (თერჯოლა). **26 კგ.** 1. ნიკა სირაძე 2. გიორგი სირაძე (ორივე — ამბროლაური), 3. გიორგი რაზმაძე (ქუთაისი), ლექსო მამადაშვილი (ნორიო). **29 კგ.** 1. გიორგი თოხაძე (ოზურგეთი), 2. დიმიტრი ხაჩიძე (ბორჯომი), 3. მირზა ზანდარაძე (ხულო), რომეო ბერიძე (ბათუმი). **32 კგ.** 1. ნიკოლოზ კირეულიშვილი (ნორიო), 2. ლევან ცირკვაავა (რუსთავი), 3. გაგა სხირტლაძე (ონი), ვალერი კობახიძე (ზესტაფონი). **35 კგ.** 1. გიორგი ჩხიკვაძე, 2. ლუკა ოჩიგავა (ორივე — სენაკი), 3. ლერი დარჩიძე (ბათუმი), ლაშა ბოლქვაძე (ხულო). **38 კგ.** 1. მამუკა დემეტრაძე (ქუთაისი), 2. კოტე სოფრომაძე (თერჯოლა), 3. რატი კანდელაკი (ნორიო), ბესო ცნობილაძე (ქუთაისი). **+38 კგ.** 1. გიორგი ცოფურაშვილი (ნორიო), 2. ვახო ჩიხლაძე (ქუთაისი), 3. გიორგი შპეტიშვილი (მარტყოფი), შოთა გავაშელაშვილი (თერჯოლა).

**19981999 წლებში დაბადებულები. 42 კგ.** 1. ხვიჩა ანანიძე (ხულო), 2. ბექა ადიკაშვილი (მარტყოფი), 3. ბექა გურული (რუსთავი), როდამ მამულაძე (ხელვაჩაური). **47 კგ.** 1. გიორგი ჩხაიძე, 2. ვანო თოხაძე (ორივე — ოზურგეთი), 3. მამუკა გურული (რუსთავი), თემურ გოგია (სენაკი). **53 კგ.** 1. ჯონი ხეცურიანი (ხობი), 2. ავთო ჯოჯუა, 3. ალეკო ქაქუთია (ორივე — სენაკი), დავით სოლოლაშვილი (მარტყოფი). **59 კგ.** 1. ოთო მამნიაშვილი, 2. ირაკლი ტაკაშვილი (ორივე — ნორიო), 3. დავით ფუტკარაძე (ხელვაჩაური), გიგა ბუცხრიკიძე (თერჯოლა). **66 კგ.** 1. დავით ბაკურაძე (ოზურგეთი), 2. გოგა ცუცქირიძე (ჭიათურა), 3. რეზო ჩხაიძე (ხელვაჩაური), გიორგი კეზევაძე (ქუთაისი). **73 კგ.** 1. გიორგი ორბელაძე (თერჯოლა), 2. გიორგი ურუშაძე (ოზურგეთი), 3. ლაშა ბერიძე (ხელვაჩაური), ვანო დვალი (ჭიათურა). **+73 კგ.** 1. ბექა მაკარიძე (თერჯოლა), 2. რეზო ჯაფარიძე (ჭიათურა), 3. ნიკა ლომაძე (ხაშური), პაპუნა გოგოლაშვილი (ქუთაისი).

ტურნირის მთავარი პრიზი მირიან გიორგაძემ მძიმე წონაში გამარჯვებულ თერჯოლელ **ბექა მაკარიძეს** გადასცა.

ტატო **ჩარექიშვილი**
თერჯოლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკბოქსინგი

# ოქროს ქამარი სურინამელს აართვა



მარჯვნივ დავით ქირია

26 წლის ქართველმა სპორტსმენმა დავით ქირიამ (70 კგ) პროფესიულ რინგზე კიკბოქსინგში 30 ბრძოლიდან 22 მოიგო (8 ნოკაუტით), 31-ე პაექრობამ კი მას ოქროს ქამარი მოუტანა: ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ქირიამ საპრომოუტერო კომპანია GLORY-ს მიერ ორგანიზებულ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში სურინამელი ენდი რისტი მე-5 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა, არადა, რისტი მსოფლიო რეიტინგში 44 გამარჯვებითა და 3 წაგებით პირველ ადგილზე იყო. ქართველი სპორტსმენი კლასიფიკაციაში მესამე პოზიციაზეა.

ვაჟა დანელია

ბატუტზე ხტომა

# გორით გასამდა

თბილისის, ქუთაისისა და გორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ბატუტზე მხტომელთა თბილისის ღია პირველობაში, რომელსაც დედაქალაქის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის დარბაზმა უმასპინძლა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქართული სპორტის ისტორიაში გორელები პირველად მონაწილეობდნენ მსგავს შეჯიბრებაში. მართალია, ქართლელები ასაკით საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ მოასპარეზეებს და სპორტის ეს სახეობაც მათთან ახლა იდგამს ფეხს, მაგრამ მათმა გამოსვლამ სპეციალისტებსა და გულშემატკივრებზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრების წევრები პირველობაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ. 17-19 მარტს ქუთაისი ბატუტზე მხტომელთა ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს და ეს ტურნირი მათთვის ერთგვარი მოთელვა იყო. ორივე შეჯიბრება კი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების შემადგენელი ნაწილია. ამ ასპარეზობას კი 7-13 აპრილს პორტუგალიური გიმარაეში უმასპინძლებს.

რაც შეეხება თბილისის პირველობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ანა ოდიშვილმა** იყოჩაღა — იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა: ჯერ ინდივიდუალური პაექრობა მოიგო, მერე **თეონა ჯანჯღავასთან** ერთად სინქრონულ ხტომებში 72,5 ქულით მოიპოვა ოქროს მედალი. საგულისხმოა, რომ მათ შარშან 16-წლიანებში დაიმსახურეს მსოფლიოს ჩემპიონობა. ვაჟებში **გიორგი ავლოხაშვილისა და ლაშა გაბაშვილის** დუეტი (76,3) იყო პირველი.

ახლა კი გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

**სპორტის ოსტატის პროგრამით:**

**გოგონები.** 1. ანა ოდიშვილი (94,52), 2. ქრისტინე სორდია (90,29), 3. თეონა ჯანჯღავა (73,89). **ბიჭები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი (89,4), 2. ლაშა გაბაშვილი (87,5), 3. ირაკლი ბეიტრიშვილი (77,0).

საგულისხმოა, რომ ავლოხაშვილი 13 წლისაა და ის ორი პროგრამით გამოდიოდა. როგორც ოსტატებში, ისე ოსტატობის კანდიდატებშიც პირველი ადგილი დაიკავა.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:

**გოგონები.** 1. ნუცა ჭკუასელი (74,37), 2. მარიამ გუთნიაშვილი (70,04), 3. მარიამ ეგაძე (64,88). **ბიჭები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი (88,2), 2. ონისე თვალავაძე (67,25), 3. გიორგი ნაცვლიშვილი (46,25).



მარცხნიდან: ანა ოდიშვილი, თეონა ჯანჯღავა, გიორგი ავლოხაშვილი, ლაშა გაბაშვილი

**პირველი თანრიგის პროგრამით:**

**გოგონები.** 1. სოფიო დაშნიანი (75,84), 2. ანა ქეშელაშვილი (63,45), 3. მართა თურმანიძე (62,58). **ბიჭები.** 1. თორნიკე ბარბაქაძე (67,4), 2. გიორგი ნაცვლიშვილი (45,20), 3. სტეფანე ელჩიანი (44,34).

პრიზიორთაგან თვალავაძე და ბარბაქაძე ქუთაისელები, დანარჩენები კი თბილისელები არიან.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# ჩემპიონატი განახლდა

გუშინ სენაკის სპორტის სასახლეში დაიწყო საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური. ასპარეზობის პირველ დღეს ორი დაძაბული მატჩი გაიმართა.

**ბათუმი – სამტრედია 30:28**

**ბათუმი:** სამყურაშვილი, გამზარდია (9), ჯორბენაძე (5), ქარდავა (4), უ. მაისურაძე (4), ნივნივაძე (3), ნარსია (2), ხუნჯუა (2), ვინოგრადსკი (1), ყაველაშვილი, ჭელიძე, ჭანტურია, გოგიჩაიშვილი, ქავთარაძე, ნიტაიშვილი.

სამტრედია: ჯანელიძე, გოგუა, ნითელიშვილი (9), გ. ნიკურაძე (9), თევზაძე (6), ჟვანია (2), ხვიჩია (1), ლალანიძე (1), გაგლოშვილი, ავალიანი, ხაჟომია, ელგანდაშვილი, ზურაბიანი, ბოცვაძე, ცხვარაძე.

მეორე და მესამე ადგილებზე მყოფი „ბათუმისა" და „სამტრედიის" მატჩში ზღვისპირელებმა პირველი ტაიმი 20:14 მოიგეს. მართალია, შესვენების შემდეგ სამტრედიელები გააქტიურდნენ და ანგარიშში სხვაობა საგრძნობლად შეამცირეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი - 28:30.

**ქუთაისი – ჭაბუკთა ნაკრები 27:35**

**ქუთაისი:** გულეიშვილი, შეყრილაძე, ჯულელი (8), მათნაძე (7), უ. კობახიძე (3), ჩიხლაძე (2), ახალბედაშვილი (2), ტარუაშვილი (2), ძნელაძე (2), ახალაძე (1), ლომიძე, ბახტურიძე, მერკვილაძე, ტუღუში.

**ნაკრები:** ხანდოლიშვილი, ხარაიშვილი, ბულბულაშვილი (12), გაწერელია (6), კბილაშვილი (4), ნაზლაიძე (4), დოლმაზაშვილი (3), ნ. მაისურაძე (2), გოგავა (2), ზაალიშვილი (2), ბაინაზაშვილი, მამულაშვილი, არსენაშვილი, იობაშვილი.

**მსაჯები:** ინა ჭკუასელი, ამირან კომახიძე.

**დელეგატი:** ვახტანგ ბერიაშვილი.

1998-199 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა ნაკრები აქედანვე ემზადება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, ამიტომ თავიანთი პირველობის გარდა, ამ ასაკის ბიჭებს საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ მეტი სათამაშო პრაქტიკისა და გამოცდილების შესაძენად ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება დართო. ჭაბუკებიც ცდილობენ, იმედები გაამართლონ და ეს გუშინ სენაკშიც დაამტკიცეს - „ქუთაისს" 35:27 აჯობეს, რითაც გათამაშების ცხრილის მე-6 საფეხურზე აინაცვლეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 11 | 11 | 0 | 0 | 383-254 | 22 |
| ბათუმი | 12 | 10 | 0 | 2 | 487-372 | 20 |
| სამტრედია | 12 | 6 | 0 | 6 | 432-417 | 12 |
| იმედი | 11 | 6 | 0 | 5 | 335-364 | 12 |
| პეგასი | 11 | 4 | 2 | 5 | 357-380 | 10 |
| ჭაბუკები | 12 | 2 | 2 | 8 | 340-399 | 6 |
| თელავი | 11 | 2 | 1 | 8 | 289-329 | 5 |
| ქუთაისი | 12 | 2 | 1 | 9 | 338-446 | 5 |

**11 მარტი.** ბათუმი - ჭაბუკთა ნაკრები, ქუთაისი - სამტრედია.

**12 მარტი.** ქუთაისი - ბათუმი, ჭაბუკთა ნაკრები - სამტრედია.

ვაჟა დანელია

80

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

**პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს**

დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21-23, 38-39, 41-42-43

### ის, რაც საზოგადოებამ ვერ იხილა

„ლელოს" ისტორიაში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი და ზოგიერთ მათგანზე აუცილებლად უნდა ითქვას. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვმა კონტროლის გამკაცრება გადაწყვიტა ეროვნულ ენაზე გამომავალ დარგობრივ რესპუბლიკურ გაზეთებზე.

საქართველოში, ცენტრის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, რუსულ ენაზე დუბლირებული გამოდიოდა „სოფლის ცხოვრება," „სახალხო განათლება", „ნორჩი ლენინელი"... რედაქციებს ემატებოდა მთარგმნელთა შტატი, რედაქტორს - 10 მანეთი.

გრიფით „საიდუმლო" შეტყობინება სპეცფოსტით, ცხადია, ჩვენც მივიღეთ. ამოიწურა ვადები, მაგრამ „ლელო" რუსულად დუბლირებული არ გამოსულა. ვიცოდი, ასე იოლად არ დასრულდებოდა საქმე. ერთ დღესაც მთავრობის ტელეფონმა დარეკა — ცეკაში დამიბარეს. ჯერ სექტორის გამგეს, **რევაზ აიწურაძეს** შევხვდი. ავუხსენი მიზეზი. მიმიყვანა **ნუგზარ ენდელაძესთან,** ის პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო. ახლო ურთიერთობა ამ ბრწყინვალე ადამიანთან მანამდე არასდროს მქონია, მაგრამ ვიცოდი, რომ ვეტერანი მორაგბე იყო და რაინდული თვისებებით გამორჩეული კაცის სახელი ჰქონდა საზოგადოებაში. „ლელო" ძალიან უყვარდა. რეზოს გადახედა. რეზომ კი... თავად გეტყვითო.

გულდასმით მომისმინა, მერე წამოდგა, მომიახლოვდა, მხრებზე ღონიერი მკლავები მომხვია და მითხრა: კარგი, ყველაფერი გასაგებია, **ენუქიძეს** თავად დაველაპარაკებიო – ერთად აღარ შევსულვართ ცეკას იდეოლოგიის მდივანთან.

ვიმეორებ, ხალხს იმიტომაც უყვარდა „ლელო", რომ სპორტის მეშვეობით შეფარულად, მაგრამ გონივრულად ეხმიანებოდა პატრიოტულ გრძნობებს. პირდაპირ თუ ქვეტექსტით, საგაზეთო პუბლიკაციებში, შეძლებისდაგვარად, არც მსაჯებისა და მათი დამკვეთ-მფარველების აშკარა ძალმომრეობის მხილებას ვერიდებოდით.

*„როგორც კი ყველაფერ ამას რუსულად წაიკითხავენ (თანაც არანაირი გარანტია არ იყო, რომ თარგმანში მინიშნებებს ვინმე გვერდს აუვლიდა და თავისი სახელი არ დაერქმეოდა ქვეტექსტს), გაზეთ „პრავდის" მოწინავეში ხშირად ვიქნებით კრიტიკის ობიექტი და არ აგვცდება უსიამოვნებები, ხოლო თუ გარდავიქმნებით, დავკარგავთ ხალხის სიყვარულს"*- აი, ეს იყო ჩემი არგუმენტი. ყველაფერი ამით დამთავრდა. ჩემთვის უცნობი დარჩა, რა არგუმენტი ჰქონდა მოსკოვთან საქართველოს ცეკას.

### ტირაჟი და შემოსავალი

სპორტზე ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად პრესის ჯიხურებთან რიგში დგომით იწყებოდა ყოველი დღე ჩვეულებრივი მკითხველისთვის. ამ ჯიხურებთან ბოლო ეგზემპლარის გაყიდვამდე ტრადიციული ფრაზა გაისმოდა: „ლელო", „თბილისი, „კომუნისტი"! ბევრი რჩებოდა უგაზეთოდ. გადაწოდება და '„მეც ამიღე"' გამორიცხული იყო, ამას რიგში მდგომნი არ დაანებებდნენ. თუ შეგაგვიანდებოდა, პრესის ჯიხურებში ჩვენი გაზეთი ისევ ნაცნობობით ან რომელიმე პარტიულ გამოცემასთან დამატებით უნდა აგელო. მერე ასეთი ტენდენციაც დამკვიდრდა — დახლქვეშ გადამალული იყიდებოდა „ლელო" ორ და სამმაგ ფასში. სხვათა შორის, „დინამოს" სტადიონზე, სპორტულ ბაზებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებშიც, მსხვილ საწარმოებში, სხვაგან და სხვაგან სპეციალურ შემინულ სტენდებზე გამოკრული იყო „ლელოს" ყოველი ახალი ნომერი და ნებისმიერს ეძლეოდა ამ გაზეთის წაკითხვის შესაძლებლობა. აღარაფერს ვამბობთ ბიბლიოთეკებზე, სადაც ახალი პრესის გასაცნობად მკითხველის აბსოლუტური უმრავლესობა „ლელოსთვის" შედიოდა. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ახსოვთ იმ თაობის ადამიანებს.

80-იანი წლების მეორე ნახევარი. „ლელო" პოპულარობის ზენიტშია. ყოველდღიურმა ტირაჟმა 365 ათასს მიაღწია. მაგრამ ეს ზღვარი არ იყო. იქნებოდა მეტიც, შეზღუდული რომ არ ყოფილიყო ხელმოწერა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გამომცემლობა „სამშობლო", რომელიც პარტიის ცეკას დაქვემდებარებაში იყო და ემსახურებოდა პარტიული ბიუჯეტის შევსებას, ფინანსურ ანგარიშს მხოლოდ წლის ბოლოს გვაწვდიდა რედაქციებს. საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში, „ლელოდან" მიღებული ყოველწლიური მოგების წილი საერთო ყულაბაში მილიონ 200 ათას მანეთს შეადგენდა. ეს შემოსავალი იყო გეგმური და, რატომღაც, გადაჭარბებით გეგმის შესრულება, ამ შემთხვევაში, სულაც არ მიიჩნეოდა სასურველად. ამას არც არავინ ითხოვდა რედაქციებისგან, ჩვენ მხოლოდ შემოქმედებით საქმიანობაზე ვიყავით პასუხისმგებლები. ერთი რამ რედაქტორებისთვის კი ცნობილი იყო — მაშინ არავინ დაუშვებდა სხვა გამოცემათა ტირაჟი რესპუბლიკის მთავარ პარტიულ გაზეთზე მეტი ყოფილიყო. თანაც „კომუნისტი" და ორჯერ დიდი ფორმატის სხვა გაზეთები — ორი კაპიკი, მათი ნახევარი ფორმატის „ლელო" კი... კაპიკით მეტი ღირდა. „ლელოს" მაღალი წლიური შემოსავლის გარანტი ესეც იყო.

### „ლელო" და საიუბილეო მოვლენები

ღირსსახსოვარ მოვლენებს შეეხებოდა თუ სპორტის ამაგდარ ადამიანებს, „ლელო" საერთოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სპორტთან დაკავშირებული საიუბილეო თარიღებისადმი. ცხადია, თავისთავად მნიშვნელოვანი იყო ლვაწლმოსილთა ამაგის დაფასება.




„ლელო" ვალდებულად მიიჩნევდა თავს, მომავალი თაობებისათვის შემოენახა ისტორიული ფაქტები და მოვლენები. ეს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო გაზეთის მუშაობაში. „ლელო" თავადაც გამხდარა არაერთი საიუბილეო ღონისძიების თაოსანი და შემოქმედიც კი. მდგარა მოვლენების ეპიცენტრშიც. ერთ მაგალითს გავიხსენებ.

ფაქტია, რომ საბჭოთა ალპინიზმს საფუძველი საქართველოში ჩაეყარა 1923 წელის 28 აგვისტოს, როცა „მყინვარწვერზე ავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 18 სტუდენტი და მასწავლებელი, მათ შორის — ხუთი ქალი; 3 სექტემბერს მწვერვალი დაიპყრო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიციამ. პირველ ასვლას მეთაურობდა ცნობილი მეცნიერი, გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, შესანიშნავი მათემატიკოსი და მრავალმხრივი სპორტსმენი, პროფესორი **ნიკოლაძე**" („ლელო, 16 ოქტომბერი, 1973 წ). 1973 წელს ამ ასვლიდან საიუბილეო 50 წელი შესრულდა, რასაც „ლელო" ფართოდ გამოეხმაურა. მეტიც, საიუბილეო ექსპედიციაში „ლელომ" თავისი ჟურნალისტიც მიავლინა — **ავთანდილ გურასაშვილი,** რომელიც თავადაც სერიოზულად იყო გატაცებული ალპინიზმით და ახალბედა ნამდვილად არ ეთქმოდა. იმავე წლის 4 ოქტომბერს ჩვენმა გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო ლაშქრობაში **ავთოს** სვანურ დღიურებს და შთაბეჭდილებებს. მისი ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ქუთაისელ, თბილისელ და მესტიელ მთამსვლელთა მიერ დალაშქრული ორი უსახელო მწვერვალიდან ერთს „გალაკტიონი" (პოეტის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად), მეორეს — „საბჭოთა ალპინიზმის 50-ე წლისთავი" ეწოდა.

თენგიზ გაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

● „ბაკურიანობა 2014“



კობა ნაქაძე

## კობა ნაქაძის საიუბილეო წლით აღინიშნა

ბაკურიანელებს გვეამაყება, რომ გვყავს დიდი **კობა ნაქაძე,**

XX საუკუნის ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოს ტრამპლინიდან თხილამურებით საუკეთესო მხტომელთა ისტორიის მემატიანე, რომელსაც იცნობენ დიდ სახელმწიფოებში, აფასებენ და პატივს მიაგებენ. იწვევენ დღესაც საპატიო სტუმრად. ჩვენთან, ჩვენს ქუჩებში, ჩვენს გვერდით დადის ერთი უბრალო, თავმდაბალი, უწყინარი ადამიანი, დიდებთან დიდი და პატარასთან პატარა, სალამს რომ ვერავინ დაასწრებს და თბილად რომ მოგიკითხავს.

- ჩვენ გვეყოფა ძალები და შეგვწევს უნარი იმისა, რომ „ბაკურიანობა 2014“ შედგეს და ის მთლიანად დიდ კობა ნაქაძის საიუბილეო 80 წელს მივუძღვნათ — თქვეს ბაკურიანელებმა და სიტყვა შეასრულეს კიდეც. თვით ადგილობრივ სპონსორთა შემწეობით „ბაკურიანობა 2014“ შედგა. ბაკურიანის საჯარო სკოლაში გამართული ღონისძიება მოიცავდა როგორც სპორტულ, ისე კულტურულ პროგრამას.

— *არ ამატიროთ, მე ვარ ბედნიერი, რომ დღეს თქვენთან ვარ. თქვენ უკეთესები ხართ, ყველაფერს კარგს იმსახურებთ. მე ჩემი ქვეყნის მსახური ვიყავი და იმ პერიოდში, როგორც შევძელი ისე ვემსახურე,* — ასე დაიწყო საუბარი სცენაზე, თანამემამულეთა წინაშე გამოსულმა მფრინავმა „ტორპედომ“, რომელსაც სიხარულისაგან თუ იმ დიდი სითბოსაგან, რომელიც დარბაზიდან მოდიოდა ცრემლი მოადგა თვალებზე. ბატონმა კობამ გაიხსენა მშობლიური სკოლა: — *მე, შესანიშნავი პედაგოგები მყავდა. მყავდა არაჩვეულებრივი უფროსი მეგობრები, მწვრთნელები: პავლე, სულიკო კოზანაშვილები, ბორია არბოლიშვილი, არამან ადამიანცი...* ადამიანები, რომლებიც პატარა კობას ყოველთვის მხარში ედგნენ იმ გაჭირვების ჟამს, არ აკლებდნენ სითბოს და სიყვარულს, და თავიანთ კატლეტებსაც კი, როგორც თავად ბატონი კობა იხსენებს, მას აჭმევდნენ რომ მოძლიერებულიყო, კარგად დაპურებულიყო, ხედავდნენ და ამჩნევდნენ მასში მოზღვავებულ ნიჭს და მონდომებას.

— *მახსოვს ერთი წყვილი წინდა და სამი წითელი თუმნიანი ლილი არბოლიშვილმა მომცა, ციალა ტაბატაძემ ნალკელების მიერ შეკერილი ტყავის ქურთუკი, ხოლო ჩემმა მწვრთნელმა ადამიანცმა, თავისი თხილამურები და ბათინკები. ასე გავემგზავრე პირველ შეჯიბრებაზე. გავიდა წლები, ბაკურიანი და ბაკურიანელები ჩემთვის ყველაფერია. თქვენ გენაცვალეთ ბავშვებო, გული ასე რომ ამიჩუყეთ. დღეს მეორედ დავიბადე, მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, დასძინა მან როგორც სჩვევია ხოლმე.*

„ბაკურიანობა 2014“-ის სპორტულ შეჯიბრებებში გამორჩეულებს პრიზები თავად ბატონმა კობამ გადასცა, რაც შთამბეჭდავიც იყო ამაღელვებელიც და ღირსსახსოვარიც თითოეული მათგანისათვის. კობა ნაქაძეს კი წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრეს, როგორც ძალისა და ენერგიის უშრეტი სიმბოლო.

**სოფიკო ხეთაგაშვილი**

● კალათბურთი. ლეგიონი

# ჯეიკობი?! პულენმა ესპანეთში 42 გაისროლა

**ესპანეთი**

ქართველ ლეგიონერებზე წერა ესპანეთით უნდა დავიწყოთ. **გიორგი შერმადინის** წასვლის შემდეგ პირველი შეხვედრა ჩაატარა „სარაგოსამ“, რომლისდმი ჩვენი ინტერესი წამითაც არ განელებულა, რადგან მის ღირსებას **ვიქტორ სანიკიძე** იცავს. შერმადინი სასტარტო ხუთეულში ჰოლანდიელმა **ჰენკ ნორელმა** ჩაანაცვლა, 15 ქულაც ჩააგდო, მაგრამ „სარაგოსა“ მარცხისგან მაინც ვერ იხსნა. შინ, „გრან კანარიასთან“ შეხვედრაში გამარჯვება სანიკიძის თანაგუნდელებს მეექვსედან მეხუთე ადგილზე აიყვანდა, ქვემოთ კი სწორედ კანარელები დაეშვებოდნენ, რომლებსაც მასპინძლებზე ერთით მეტი მოგება ჰქონდათ.

თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, წარმატებას კუნძულელებმა მიაღწიეს (84:77) და „სარაგოსაც“ მეექვსე პოზიციაზე დარჩა. ვიქტორ სანიკიძემ „კანარიას“ სასტარტო ხუთეულიდან შეუტია და 11 ქულასთან ერთად 4 ჩაჭრა, 2-2 მოხსნა პასი და 1 დაფარება ჩაიწერა.

შეგახსენებთ, რომ სწორედ „გრან კანარიაში“ ვარჯიშობს 17 წლის **ვილი ისიანი,** რომელიც ჯერჯერობით ახალგაზრდულ შემადგენლობაშია. იგი ამჟამად მალაგაშია და შედეგიანადაც ირჯება. ვილის შესახებ დაწვრილებით ცალკე სტატიაში მოგახსენებთ.

■ ■ ■

ბილბაოში, ამავე სახელწოდების გუნდთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა“ - 82:79.



ჯეიკობ პულენი (მარჯვნივ)

ბექა სათადარიგოთა სკამზე იყო, თუმცა არ უთამაშია.

■ ■ ■

არამხოლოდ ესპანეთში, არამედ მთელს ევროპაში გასული უქმეების მთავარ საკალათბურთო მოვლენად იქცა ბარსელონელი უკანახაზელის, **ჯეიკობ პულენის** გაბრწყინება. შეგახსენებთ, რომ



გიორგი ცინცაძე შეტევისას

იგი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა და 2012 წელს ევრობასკეტის შესარჩევზე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა. პულენმა „ბარსელონას“ მაისურით ისეთი თამაში ჩაატარა, შესაძლოა, ბევრი დაფიქრდა ნაკრებში **ჰიკმანის** პულენით ჩანაცვლებაზე.




„ბარსელონამ“ „ვალიადოლიდი“ მისსავე მოედანზე 111:66 დაამარცხა. პულენმა 22 წუთი ითამაშა და 42 ქულამდე ავიდა! აი, როგორ: 2-დან 1 ორქულიანი, 5-დან 4 საჯარიმო, 15-დან 12 სამქულიანი. ესპანეთის ჩემპიონატში მისი საშუალო მონაგარია: 9.7 წუთი, 7.2 ქულა, 1.3 პასი.

ლოგიკურია, რომ ჯეიკობი ესპანეთში ტურის საუკეთესო კალათბურთელადაც დასახელდა.

მატჩის ბედი მეოთხე პერიოდში გადაწყდა, რომელიც ტადამონელებმა 22:13 მოიგეს.

ამ მარცხმა „ჩამპვილი“ სატურნირო ცხრილში ერთი საფეხურით უკან დასწია - მეშვიდე პოზიციაზეა (3 მოგება, 7 მარცხი). მეექვსეზე „ტადამონმა“ აინაცვლა.

11 მარტს ცინცაძის გუნდი ესტუმრება „ჰომენეტმს“, რომელსაც „ჩამპვილის“ დარად 3 მოგება აქვს.



ვიქტორ სანიკიძე

**აშშ**

NBA-ში ჩემპიონი „მაიამი ჰიტის“ დასამარცხებლად **თორნიკე შენგელიას** „ჩიკაგო ბულსს“ დამატებითი დრო დასჭირდა - 95:88.

მწვრთნელმა **ტომ ტიბოდომ** ქართველი ფორვარდის თამაშში ჩართვისგან თავი შეიკავა.

■ ■ ■



დუდა სანაძე (N10)

ამერიკის კოლეჯების ლიგაში პლეი ოფების დრო დადგა. აღმოსავლეთის კონფერენციის გუნდები ლას ვეგასში შეიკრიბნენ, სადაც მეოთხედფინალური ორთაბრძოლები გაიმართა.

**დუდა სანაძის** „სან დიეგომ“ 9 ქულის სხვაობით დათმო „სან ფრანცისკოსთან“ (60:69) და სეზონი დაასრულა.

საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა უკანახაზელმა 17 წუთი ითამაშა და მეტოქის კალათის მიმართულებით 6 სამქულიანი და 2 საჯარიმო სტყორცნა, რომელთაგან 2-2 გამოიყენა და მოედანი 8 ქულით, 2 მოხსნითა და თითო ჩაჭრა-პასით დატოვა.

კოლეჯების ლიგაში დუდა სანაძის საშუალო მონაგარი 27 წუთში 12.9 ქულა და 3.7 მოხსნაა.

**ლიბანი**

ლიბანურ „ჩამპვილში“ მწვრთნელის, **გიორგიოს კეცელიდისის** ხელშეწყობით ჩვეულად ათამაშდა ჩვენი ნაკრების პლეიმეიქერი **გიორგი ცინცაძე**. მან აზიურ კლუბში გადასვლის შემდეგ მეორე მატჩი ჩაატარა და შეუცვლელადაც ითამაშა. გიორგის ანგარიშზე 17 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა დაფიქსირდა. მან 7-დან 5 ორქულიანი, 8-დან 2 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. ორმაგი დუბლი მოაგროვა გიორგის თანაგუნდელმა **ვლადან ვუკოსავლევიჩმა** - 26 ქულა, 10 მოხსნა.

თუმცაღა „ჩამპვილმა“ საშინაო მატჩში ვერაფერი გააწყო „ტადამონთან“ - 75:85.

14 მარტს „ბარსელონა“ ევროლიგაზე გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლებს. 15-ში კი სანიკიძის „სარაგოსა“ ესპანეთის ჩემპიონატში „მონბუსს“ მიიღებს.

**ფინეთი**

ფინეთის ჩემპიონატში ლაპუას „კორიკობრატმა“ „ჰონკა“ 85:81 დაამარცხა. გამარჯვებულთა შემადგენლობაში იყვნენ **გივი ბაქრაძე** და **არჩილ პულუზაშვილი,** თუმცა არ უთამაშიათ.

**სლოვენია**

სლოვენიის მეორე ეშელონში „პარკლისთან“ სტუმრად დათმო **დავით უგრეხელიძის** „კრნომელმა“ - 61:75.

დათომ სულ 1 წუთი ითამაშა და დროის ამ მონაკვეთში 3 ფოლი მიიღო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● მშვილდოსნობა.

## მშვილდოსნებმა ქალები დააფასეს

5-8 მარტს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის სასპორტო სკოლის დარბაზში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მშვილდოსნობაში თბილისის, ქუთაისის, ასპინძის, ხელვაჩაურის და ბათუმის გუნდების მონაწილეობით უფროსებსა და ახალგაზრდებში.

ქალთა შორის დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ქრისტინე ესებუამ** (თბილისი) გაიმარჯვა. მეორეზე **ასმათ დიასამიძე** გავიდა, ბრინჯაო კი **ხათუნა ნარიმანიძემ** (ორივე - ხელვაჩაური) ირგუნა. შედარებით მოულოდნელია ვაჟთა შორის თბილისელი **გურამ ღლონტის** გამარჯვება, რადგან აქამდე დიდი შედეგებით არ გამოირჩეოდა. მან ფინალში ბათუმელი **ტარიელ ქადიძე** დაამარცხა, ბრინჯაო კი თბილისელ **ლევან ჩიტიშვილს** ერგო.

მოულოდნელობა არც ახალგაზრდა ვაჟებს შორის მომხდარა, სადაც თბილისელმა **ლაშა ფხაკაძემ** უპრობლემოდ გაიმარჯვა, ოღონდ კვლავაც ქუთაისის სახელით გამოვიდა. ვერცხლი თბილისელ **ზურაბ მესტვირიშვილს** დარჩა, ბრინჯაო - ქუთაისელ **ჯაბა მოსეშვილს**. სასიამოვნოა, რომ ეს სამეული სტაბილურად ჩამოყალიბდა ლიდერად, მაგრამ მათ კონკურენტებიც ჰყავთ, რაც კიდევ უფრო გასახარია.

ცოტა მოულოდნელია გოგოებში ბათუმელი **მარიამ მახარაძის** გამარჯვება, რადგან აქ ბოლო ხანებში ლიდერად უფრო ხელვაჩაურელი **ციალა ფუტკარაძე** ჩამოყალიბდა. ისინი ამჯერად ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც მახარაძემ იმარჯვა, ფუტკარაძე კი ვერცხლს დასჯერდა. მესამეზე თბილისელი **თეონა არჯევანიძე** გავიდა.

**ირაკლი თავაძე**

● სუმო

## გაგამარუს ცუდი სტარტი

როგორც ჩანს, გაზაფხულის ბაშოს ცუდ ფორმაში შეხვდა მე-9 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**. 199-კილოიანმა ქართველმა სტარტზე ზედიზედ მეორე ორთაბრძოლა წააგო, ამჯერად ის ვეტერან მონღოლ **კიოკუტენჰოსთან** დამარცხდა.

ასპარეზობის მესამე დღეს ჩვენებურის მოწინააღმდეგე მე-10 მაეგაშირა **ტერუნოფუჯია**, რომელსაც აქამდე დოჰიოზე არ გადაყრია.

მაკუშიტას დივიზიონის 55-ე ნომერი **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ისვენებდა (მე-3 ლიგიდან ქვემოთ ბაშოზე 7 ბრძოლას მართავენ 15-ის ნაცვლად), დღეს მისი მეტოქე **ჰაკუიოზანია**.

**II დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ენდო (სუკუინაგე), ჰაკუჰო-ტამავაში (ჰიკიოტოში), ტოიონოშიმა-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კისენოსატო-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), კაკურიუ-შოჰოზანი (ჰატაკიკომი), კიოკუტენჰო-**გაგამარუ** (შიტატედაშინაგე).

**III დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ენდო, ჰარუმაფუჯი-ტამავაში, კისენოსატო-შოჰოზანი, კაკურიუ-ოკინოუმი, კოტოშოგიკუ-ტოჩინოვაკა, **გაგამარუ**-ტერუნოფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)

● ერთა თასი

# რუმინელებთან ოთხი წელიწადია, არ წაგვიგია

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრას შინ რუმინეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. „ბორჯღალოსნები" ტრადიციულად „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" შეიკრიბნენ და მომავალი მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ.**

ტრავმები მოიშუშეს და გუნდს დაუბრუნდნენ შერკინების პირველხაზელები **მიხეილ ნარიაშვილი** (მონპელიე) და **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი). ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში არიან და, სავარაუდოდ, რუმინელებთან აუცილებლად ითამაშებენ მესამეხაზელები **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი) და **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლიონი). ასევე მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) და შუამარბი **დავით კაჭარავა** (ენისეი).

ესპანეთთან მატჩში პირველ ხაზში **კარლენ ასეიშვილმა** (ბრივი) ითამაშა, რომელიც ამჯერად გუნდის გაფართოებულ შემადგენობაში არ არის. ნაკრების ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** „ბორჯღალოსნების" რიგებში დატოვა **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი). ამდენად, დღესდღეობით რუმინელებთან მატჩისთვის შვიდი პირველხაზელი ემზადება. რომელ ექვსეულს აარჩევს ჰეიგი, ძნელი გამოსაცნობია.

საბრძოლო რაზმს ამზადებს „სტეუარის" უელსელი თავკაცი **ლინ ჰოულსიც**. რუმინელებს თბილისში ფრეც ხელს აძლევს, ვინაიდან სატურნირო ცხრილში ერთი ქულით გვისწრებენ. შაბათის მატჩი, ფაქტობრივად, ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ფინალია. გამარჯვების შემთხვევაში „ბორჯღალოსნები" ერთა თასს და ანთიმოზ ივერიელის თასს თბილისში დატოვებენ. ამასთან ერთად, 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში პირველ ადგილს დაიკავებენ და ინგლისში სასურველ, C ჯგუფში მოხვდებიან, სადაც ჩვენი მეტოქეები ახალი ზელანდიის, არგენტინისა და ტონგას ნაკრებთან ერთად აფრიკის კონტინენტის შესარჩევ ეტაპზე გამარჯვებული იქნება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა თასს დავკარგავთ, მეორე ადგილზე გავალთ და გაცილებით რთულ, D ჯგუფში აღმოვჩნდებით, სადაც მეტოქეობას საფრანგეთის, ირლანდიის, იტალიისა და კანადის ნაკრებები გაგვიწევენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს აქამდე ერთმანეთთან 17 მატჩი გაუმართავთ. აქედან რვა თამაში „ბორჯღალოსნებმა" მოიგეს, ამდენივე წააგეს და ერთიც, შარშან ბუქარესტში ფრედ დასრულდა - 9:9.

რუმინელებმა საქართველოს ნაკრებს ბოლოს 2010 წლის 13 მარტს მოუგეს ბუქარესტში - 22:10. თბილისში კი „სტეუარისთან" 2003 წლის 30 მარტის შემდეგ აღარ წაგვიგია. მაშინ სტუმრებმა ერთა თასზე 19:6 მოგვიგეს.

ერთი სიტყვით, შაბათს, ვაკეში, საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების მატჩში, რომელიც 17 საათზე დაიწყება, დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), ჯაბა ბრეგვაძე (ტულუზი), შალვა მამუკაშვილი (არმია), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი).

**მეორე ხაზი:** ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), შალვა სუთიაშვილი (მასი).

**მესამე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), გიორგი თხილაიშვილი (არმია), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

№9: გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

№10: ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე).

№12-13: თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ბურგ ან ბრესი), დავით კაჭარავა (ენისეი).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (ბურგ ან ბრესი).

№15: მერაბ კვირიკაშვილი (ვიენი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

**რუმინეთის ნაკრები**

დორინ მანოლე (ორტეზი), მადალინ ლემნარუ, ვალენტინ კალაფეტეანუ, სტელიან ბურჩეა, ვალენტინ პოპილრანი, ევგენ კაპატანა, კატალინ ფერკუ (ყველა-ტიმიშოარა), ჩაბა გალი, ალექსანდრუ ოანჩეა, კონსტანტინ პისტავიტა, კრისტიან დინისი (ოთხივე-ბაია მარე), ფლორინ ვლაიკუ (ფარული), იონუც დუმიტრუ, ვიორელ ლუკაჩი, ფლორინ იონიცა (სამივე-სტიაუა), ფლორინ სურუჯუ, ალექსანდრუ მიტუ (ორივე-ბუქარესტი), ვლად ნისტორი, მიჰაიტა ლაზარი (ორივე-კასტრი), მარიუს სირბე (ტარბი), პაულიკა იონი (პერპინიანი), ჰორაციო პუნგეა (ჰლანეჰლი), კრისტიან მინტეანუ (უესერპე).

**ერთა თასი**

**X ტური**

**15 მარტი**

საქართველო-რუმინეთი
ბელგია-რუსეთი
პორტუგალია-ესპანეთი



საქართველოს ნაკრები, ბუქარესტი 2013 წელი

● საქართველოს ჩემპიონატი

# აკადემიამ ისევ წააგო

გასულ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატის მე-16 ტურის ერთი მატჩი წინასწარ გაიმართა. თბილისის „ჯიქებმა", რომელიც პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, თანაქალაქურ „აკადემიას" რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით 5:3 მოუგო. ცხადია, თამაში ძალიან დაძაბული გამოდგა. „აკადემია" ერთ-ერთი აუტსაიდერია და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა.

პირველი ტაიმი ფრედ 0:0 დასრულდა. ანგარიში აკადემიელებმა 45-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გახსნეს 3:0 და 78-ე წუთამდე მეტოქეს ქულების ალების საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა, მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე „ჯიქებმა" მაინც იძალა და გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა.

„აკადემია" ახლა უკიდურესად რთულ ვითარებაშია. მორიგი, მე-14 ტურის მატჩი თბილისურმა გუნდმა სტუმრად უნდა გამართოს ბოლო ადგილზე მყოფ „ბათუმთან". სავარაუდოდ, სწორედ უშაულო კონკურენტების ბრძოლაში უნდა გადაწყდეს ჩემპიონატის ხელმოცარულის ვინაობა. შეგახსენებთ, რომ ბოლო ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად ტოვებს უმაღლეს ლიგას და მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში იასპარეზებს.

**ჯიქები-აკადემია 5:3**

**ჯიქები: ლ - კიკნაძე**
**აკადემია: ს - მათიაშვილი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 13 | 10 | 0 | 3 | +220 | 49 |
| 2.აია | 13 | 10 | 0 | 3 | +134 | 46 |
| 3.არმია | 13 | 10 | 0 | 3 | +151 | 45 |
| 4.ლოკომოტივი | 13 | 9 | 0 | 4 | +63 | 40 |
| 5.ყოჩები | 13 | 8 | 1 | 4 | +41 | 38 |
| 6.ჯიქები | 15 | 6 | 2 | 7 | +29 | 35 |
| 7.არმაზი | 12 | 7 | 0 | 5 | -19 | 31 |
| 8.ხარები | 14 | 3 | 0 | 11 | -165 | 15 |
| 9.აკადემია | 14 | 1 | 0 | 13 | -180 | 10 |
| 10.ბათუმი | 12 | 1 | 0 | 11 | -272 | 6 |

**XIV ტური**

ხარები-ყოჩები, არმაზი-აია, ჯიქები-არმია, ლოკომოტივი-ლელო, ბათუმი-აკადემია.

● ექვსი ერი




ავივა სთედიუმი ლეგენდას გამოემშვიდობა

# ოდრისკოლი ავივა სთედიუმს გამოემშვიდობა

**ექვსი ერის გათამაშების ბოლოსწინა ტურის წინ პირველობაზე პრეტენზიას ერთბაშად სამი გუნდი აცხადებს. საჩემპიონო მარათონს მეოთხე ტურში შარშანდელი გამარჯვებული, უელსის ნაკრები გამოეთიშა. საბოლოო გამარჯვების მოპოვების შანსი კი საფრანგეთის, ინგლისისა და ირლანდიის ნაკრებებს დარჩათ.**

მართალია, „წითელმა ვარდებმა" სტარტი წარუმატებლად აიღეს, მაგრამ მერე მდგომარეობა გამოასწორეს და ტიტულის შენარჩუნების შანსი გაუჩნდათ. საბოლოოდ პირველი ადგილის მოპოვების იმედი მათ ინგლისის ეროვნულმა გუნდმა გადაუწურა. „პომებმა" საკუთარ მოედანზე, ლეგენდარულ „თვიქნემზე" მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს და 29:18 გაიმარჯვეს.

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ უელსელებს, მარცხის მიუხედავად, ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ იმ დღეს ინგლისელები შეუდარებელნი იყვნენ. დაცვაში მკაცრი თამაშითა და მტოქის ყველა შეცდომის მაქსიმალურად გამოყენების ხარჯზე „პომებმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

საგულისხმოა, რომ თამაშამდე ორი დღით ადრე ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **სტიუარტ ლანკასტერს** „პომების" ყოფილი თავკაცი, ყველაზე წარმატებული ინგლისელი დამრიგებელი **სერ კლაივ ვუდვორდი** შეხვდა და დიდხანს ისაუბრეს. რა უთხრა ვუდვორდმა ლანკასტერს, ძნელი სათქმელია. თუმცა, ფაქტია, ინგლისელებმა მართლაც განსხვავებული, ბევრად უფრო დალაგებული რაგბი ითამაშეს. ეჭვს გარეშეა, „პომები" 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის სერიოზულად ემზადებიან.

ინგლისელებმა მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს, რაზეც „წითელმა ვარდებმა" მხოლოდ **ლეიგ ჰალპფენის** ექვსი საჯარიმოთი (18 ქულა) უპასუხეს. თუმცა, მას ვალში არც „პომების" მგეზავი **ოუენ ფარელი** დარჩა, რომელმაც ხუთი საჯარიმო და ორი გარდასახვა მიითვალა (19 ქულა).

პირველი ადგილისთვის ბრძოლას განაგრძობს ირლანდიის ეროვნული გუნდიც, რომელმაც დუბლინში დიდი ანგარიშით დაამარცხა აუტსაიდერი იტალია - 46:7. ამ შეხვედრაში ეროვნულ ნაკრებში „ავივა სთედიუმზე" ბოლო შეხვედრა გამართა ირლანდიელთა ლეგენდარულმა 35 წლის კაპიტანმა **ბრაიან ოდრისკოლმა.** მომდევნო ტურში, საფრანგეთში ის ბოლოჯერ მოირგებს „სამყურების" კვართს. არადა, ოდრისკოლი შესანიშნავ ფორმაშია. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ ბრაიანი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

„სამყურებმა" „სკუადრა აძურა" ყველა კომპონენტში აშკარად დაჩაგრეს და შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან ორი მგეზავის **ჯონათან სექსტონის** ანგარიშზეა. მანვე ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმო გაიტანა. იტალიელები ბოლო ტურში შინ ინგლისელებს მასპინძლობენ და მარცხის შემთხვევაში „ხის კოვზის" მფლობელები გახდებიან.

ძალიან გაუჭირდა საფრანგეთის ნაკრებს სტუმრად შოტლანდიის ეროვნული გუდის დამარცხება - 19:17. „სკოტები" მეტოქეს თითქმის ყველაფერში სჯობდნენ. ისინი უფრო გააზრებულად, სანახაობრივად კარგ რაგბის თამაშობდნენ. მათ „ლე ბლო" შერკინებაშიც დაჩაგრეს და დერეფანში თამაშისასაც, მაგრამ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, მაინც წააგეს.

**სიმბოლური ნაკრები**

15. მაიკ ბრაუნი (ინგლისი), 14. იოან უგე, 13. ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია), 12. ბილი თველვეტრისი (ინგლისი), 11. ლეონარდო სარტო (იტალია), 10. ოუენ ფარელი (ინგლისი), 9. დენ კერი (ინგლისი). 1. კიან ჰილი (ირლანდია), 2. დილან ჰართლი (ინგლისი), 3. დევიდ ვილოსნი (ინგლისი), 4. ჯო ლანჩბერი (ინგლისი), 5. კორტნი ლუისი (ინგლისი), 6. ტომ ვუდი (ინგლისი), 7. სემ ვერბარტონი (უელსი), 8. ჯიმი ჰისლიპი (ირლანდია).

**IV ტური**

**ირლანდია-იტალია 46:7**

ირლანდია: 7ლ - სექსტონი (2), ტრიმბლი, ჰილი, კრონინი, მაკფოდენო, მაკგრეითი. 4გ - სექსტონი (2), ჯექსონი (2). ს - სექსტონი.

იტალია: ლ - სარტო. გ - ორკერა.

**შოტლანდია-საფრანგეთი 17:19**

შოტლანდია: 2ლ - ჰოგი, სეიმური. 2გ - ლაიდლოუ. ს - ვეირი.

საფრანგეთი: ლ - უგე. გ - მაშენო. 4ს - მაშენო (3), დუსენი.

**ინგლისი-უელსი 29:18**

ინგლისი: 2ლ - კერი, ბარელი. 5ს,2გ - ფარელი.

უელსი: 6ს - ჰალპფენი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ირლანდია - 6 ქულა, 2. ინგლისი - 6, 3. საფრანგეთი - 6, 4. უელსი - 4, 5. შოტლანდია - 2, 6. იტალია - 0.

**V ტური**

იტალია-ინგლისი, უელსი-შოტლანდია, საფანგეთი-ირლანდია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ჩოგბურთი. ტურნირები



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# არც ერთი დღე სენსაციის გარეშე

ინდიან-უელსში მიმდინარე მამაკაცთა და ქალთა ტურნირებზე დღეში ერთი სენსაცია აუცილებლად უნდა მოხდეს. **ვიქტორია აზარენკასა და ანჟელიკ კერბერის** კრახის შემდეგ, გუშინ დიდი მოულოდნელობა მოხდა კაცების მასტერსზე - ბრძოლას გამოეთიშა **ტომაშ ბერდიხი**.

სეზონის სტარტზე ჩეხმა აშკარად ბევრი ითამაშა: ავსტრალიის ღიაზე ნახევარფინალამდე მიაღწია, შემდეგ კვირას სამი ქულა მოუტანა ჩეხეთის ნაკრებს დევისის თასზე, ამას მოყვა როტერდამის ტურნირზე გამარჯვება და ფინალი დუბაიში. ამის გათვალისწინებით, ბერდიხი ინდიან უელსში ფავორიტის რანგში ჩავიდა, მაგრამ **რობერტო ბაუტისტა-აგუტის** ბარიერი მისთვის გადაულახავი აღმოჩნდა.

ესპანელმა უკეთ დაიწყო მატჩი და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ტომაშმა გამონახა ძალები ამ პარტიის მოსაგებად. მეორე სეტში რობერტომ იგივე უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და მატჩი გადამწყვეტ სეტში გადაიყვანა. ბაუტისტა-აგუტმა მეტოქეს სწრაფი და შემტევი ჩოგბურთი შესთავაზა. ის ბევრს რისკავდა და შეცდომებსაც უშვებდა, მაგრამ ბერდიხმა ეს მომენტი ვერ გამოიყენა. ჩეხს არ გამოსდიოდა პირველი მოწოდება, წარუმატებლად თამაშობდა ბრეიკ-პოინტებზე და მხოლოდ ბადესთან არ ცდებოდა. ბერდიხი, ძირითადად, საკუთარ თავს ებრძოდა, გადამწყვეტ სეტში 1:4-დან შეძლო სიტუაციის გამოსწორება, თუმცა მეცხრე გეიმში მეხუთედ წააგო საკუთარი მოწოდება და 4:6 დამარცხდა.

ბაუტისტა-აგუტისთვის ეს იყო მესამე მოგება TOP10-ის ჩოგბურთელებთან. წელს მან ერთი სენსაცია უკვე შემოგვთავაზა, როცა ავსტრალიის ღიაზე **ხუან-მარტინ დელ პოტრო** გამოთიშა ბრძოლას.

ასევე მოულოდნელობათა სიაში უნდა შევიტანოთ ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** წაგება თანამემამულე **ჟულიენ ბენეტოსთან** - 4:6, 4:6. ცონგა წელს თანდათან იბრუნებს ძველ პოზიციებს და ამიტომაც აღიქვეს ეს მოულოდნელობად.

■ ■ ■

საერთოდ, ფავორიტებს სასტარტო მატჩებში იდეალური თამაში არ გამოუვიდათ. **ნადალმა** ერთი სეტი დათმო **შტაპანეკთან**, იგივე დაემართა **მარეის როსოლთან** მატჩში, **ფედერერი** ახლოს იყო პარტიის წაგებასთან **მატიოსთან** თამაშში, ბერდიხმა წააგო, დელ პოტრომ ტრავმის გამო საერთოდ ვერ შეძლო კორტზე გასვლა და მხოლოდ **სტანისლას ვავრინკამ** აჩვენა მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი თამაში.

ამ ფონზე საინტერესო იყო **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შეხვედრა რუმინელ **ვიქტორ ჰანესკუსთან**. და აქაც, ფავორიტმა კინაღამ წააგო პირველი სეტი. ჯოკოვიჩი ცუდად აწვდიდა და ცუდად ილებდა, რუმინელი კი შესანიშნავად მოქმედებდა უკანა ხაზზე. მას რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ საქმე ტაი-ბრეიკამდე არ მიეყვანა. მაგალითად, 6:5-ზე მიღებაზე ორმაგი სეტბოლი ვერ გამოიყენა და ამით განბილებულმა ჩააგდო ტაი-ბრეიკი.

მეორე პარტიაში ბრძოლა აღარ ყოფილა. ჯოკოვიჩმა მოუმატა, იქვე აიღო მეტოქის მოწოდება და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა - 7:6(1), 6:2. სერბს ბევრი უნებლიე ჰქონდა - 24, მაგრამ ამ ეტაპისთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა მოგებისთვის. სავარაუდოდ, საკმარისი იქნება მეორე მეტოქისთვის - კოლუმბიელი ალეხანდრო გონსალესისთვისაც, რომელიც მასტერსის სერიის ტურნირების დებიუტანტია.

ჯოკოვიჩმა კარიერაში 550-ე გამარჯვება მოიპოვა. მოქმედ ჩოგბურთელებს შორის, ეს ზღვარი გადალახული აქვთ: როჯერ ფედერერს (938), რაფაელ ნადალს (674), **ლეიტონ ჰიუიტს** (599), **დავიდ ფერერსა** (656) და **ტომი ჰაასს** (554).

■ ■ ■

ერთი საინტერესო წყვილი მივიღეთ მესამე წრეში - ბულგარელი **გრიგორ დიმიტროვი** და ლატვიელი **ერნესტ გულბისი** ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს. დიმიტროვმა 6:4, 6:3 დაამარცხა ჰოლანდიელი **რობინ ჰაასე**, გულბისმა კი 6:3, 6:3 მოუგო პორტუგალიელ **ჟოაო სოუზამ**. ლატვიელმა 10 ეისი ჩააწოდა და პირველი მოწოდებით ქულების 100 პროცენტი აიღო (25-დან 25 გათამაშება მოიგო).

რაც შეეხება დიმიტროვისა და გულბისის ბოლოდროინდელ დაპირისპირებას, როტერდამში გულბისმა მეორე რაუნდში მოუგო ბულგარელს, გასულ კვირას აკაპულკოში კი დიმიტროვმა რევანში აიღო. ის მატჩი მან ორ საათში და 40 წუთში მოიგო და შემდეგ ტიტულიც მოიპოვა.

**II წრე**

**რიშარ გასკე (საფ, 8)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:0, 2:0 უარი; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 26) 6:2, 1:0; **იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 22) 6:2, 6:2; **მიხაილ კუკუშკინი (ყაზ)**-ვასეკ პოსპიშილი (კან, 25) 6:0, 6:2; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 15)**-რობინ ჰაასე (ჰოლ) 6:4, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 7:6(1), 6:2; **ალეხანდრო გონსალესი (კოლ)**-ივან დოდიგი (ხორ, 31) 6:4, 2:6, 7:6(5); **რობერტო ბაუტისტა-აგუტი (ესპ)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4) 4:6, 6:2, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ, 12)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 7:6(5), 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 30)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 7:5, 7:5; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ჯეიმს უორდი (აშშ) 3:6, 6:2, 6:4; **ტომი რობრედო (ესპ, 16)**-მარინკო მატოშევიჩი (ზელ) 7:6(6), 5:7, 6:4; **ერნესტ გულბისი (ლატ, 20)**-ჟოაო სოუზა (პორ) 6:3, 6:3; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 24)**-პაოლო ლორენცი (იტა) 6:2, 6:2; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 9) 6:4, 6:4; **დომინიკ ტიმი (ავსტრია)**-ჟილ სიმონი (საფ, 21) 7:6(5), 6:2.

# მერვედფინალიდან უფრო საინტერესო იქნება

ქალებმა გუშინ მესამე წრეში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა და დღემ, ამჯერად, სენსაციების გარეშე ჩაიარა.

ყველაზე მძლავრი თამაში აჩვენა პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ**. მან არც ერთი გეიმი არ დაუთმო გერმანელ **ანიკა ბეკს** და საათსა და 7 წუთში 6:0, 6:0 მოიგო, თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს იყო „ცალკარა" თამაში. ბეკს 11 გეიმბოლი ჰქონდა, აქედან შვიდი - ბრეიკპოინტი იყო, მაგრამ პოლონელმა ყველა საფრთხე მოიგერია. რადვანსკასთვის ეს იყო კარიერაში მესამე „მშრალი" ანგარიშით მოგებული შეხვედრა: 2008 წელს, სტამბოლში გაანადგურა რუმინელი **სორანა კირსტეა**, 2013 წელს კი სიდნეიში მოუგო სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვას**.

აგნიეშკას შემდეგი მეტოქე იქნება ფრანგი **ალიზ კორნე**, რომელსაც მარათონული მატჩი ჰქონდა ესპანელ **კარლა სუარეს ნავაროსთან**. კორნე ახლოს იყო მარცხთან - მეორე სეტში 4:5-სა და 0:40-ს აგებდა, მაგრამ სასწაული მოახდინა, სამივე მატჩბოლი მოიგერია და სამ საათსა და 26 წუთში მოიპოვა მერვედფინალის საგზური.

ეს იყო ამ სეზონში ხანგრძლივობით მეორე შეხვედრა. უფრო გრძელი მატჩი ავსტრალიის ღიაზე **მარია შარაპოვამ** და **კარინ კნაპმა** ითამაშეს - 3 საათი და 28 წუთი. საერთოდ, კორნეს უყვარს მარათონები - პარიზის ტურნირზე მან ოთხი მატჩი ჩაატარა და თითო მინიმუმ ორსაათნახევარი გაგრძელდა.

■ ■ ■

ლოკალური მოულოდნელობები ქალთა ტურნირშიც იყო. იტალიელებმა - **სარა ერანიმ** და **რობერტა ვინჩიმ** წააგეს რეიტინგში დაბლა მყოფ ჩოგბურთელებთან, მაგრამ სწრაფ ჰარდზე აპენენილების მარცხი **ეჟენი ბუშართან** და **კეისი დელაკუასთან** დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს.

ბუშარი მესამე წრეში რუმინელ **სიმონა ჰალეპზე** გავიდა და, ალბათ, ეს იქნება ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო შეხვედრა. მომავალი თაობის ჩოგბურთელებს შორის, ყველაზე მეტად მსოფლიო ჩოგბურთში ლიდერობას სწორედ ამ ორ მოთამაშეს უწინასწარმეტყველებენ.

ჰალეპს მეორე წრეში რთული მეტოქე ჰყავდა ჩეხი **ლუსი საფაროვას** სახით, თუმცა რუმინელს უპრობლემოდ მიჰყავდა საქმე გამარჯვებამდე - 6:2, 4:3-ს იგებდა და ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად, საფაროვამ თამაშში გარდატეხა შეიტანა. მან მოგო მეორე სეტი და მესამეში ორჯერ ბრეიკით დაწინაურდა. 4:3-ზე მას ერთი ქულა აკლდა ორი გეიმით წინ გასვლამდე, თუმცა, ახლა, ჰალეპმა შეძლო ინიციატივის დაბრუნება - მან ზედიზედ ცხრა ქულა აიღო, მიჯრით სამი გეიმი მოიგო და მაინც გააღწია მესამე წრეში.

■ ■ ■

ასევე საინტერესო უნდა იყოს მესამე რაუნდში სერბი **ელენა იანკოვიჩისა** და დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკის** შეხვედრა. მეორე წრეში მათ განსხვავებული მატჩები ჩაატარეს. იანკოვიჩმა ხუთი ბრეიკი აიღო **მაგდალენა რიბარიკოვასთან** მატჩში და 6:3, 6:2 მოიგო, რაც შეეხება ვოზნიაცკის, მან ორი რთული საწყისი სეტის შემდეგ, გადამწყვეტ პარტიაში 6:1 გაანადგურა ყაზახი **იაროსლავა შვედოვა**.

იანკოვიჩსა და ვოზნიაცკის ურთიერთდაპირისპირების საინტერესო ისტორია აქვს. დანიელი წინ არის - 5:4. მან წააგო პირველი ოთხი შეხვედრა სერბთან, მაგრამ მოიგო მომდევნო ხუთი. თუმცა ისინი ერთმანეთს ორი წელია არ შეხვედრიან.

**III წრე**

**კეისი დელაკუა (ავსტრა)**-რობერტა ვინჩი (იტა, 13) 4:6, 6:4, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 2)**-ანიკა ბეკი (გერ) 6:0, 6:0; **ლორენ დევისი (აშშ)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:3, 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 7:6(7), 3:6, 6:1; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 6)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 26) 6:2, 4:6, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ, 31) 6:3, 6:2; **ეჟენი ბუშარი (კან, 18)**-სარა ერანი (იტა, 9) 6:3, 6:3; **ალიზ კორნე (საფ, 22)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 14) 6:7(4), 7:5, 6:3.



კაროლინ ვოზნიაცკი

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სამასიანი ლუნდკვისტი

შვედი მეკარის **ჰენრიკ ლუნდკვისტის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით, „ნიუ იორკ რეინჯერსმა" „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა „დეტროიტ რედ უინგზი".

„რეინჯერებს" 2013-14 წლების სეზონში დაბრიყვებული ჰყავთ „დეტროიტი". შეხვედრა, რომელიც „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართა, 3:0 მოიგო მასპინძელთა გუნდმა. წინა მატჩიც ნიუიორკულმა კლუბმა მოიგო და ისევ „მშრალი" ანგარიშით (1:0). მაშინ „ნიუ იორკის" მეკარემ 38 დარტყმა მოიგერია, ამჯერად კი ლუნდკვისტი 30 დარტყმას გაუმკლავდა.

მასპინძელთა რიგებში გოლებს იტანდნენ **ბრაიან ბოილი** და **კრის კრეიდერი** (ორჯერ). ეს მოგება „რეინჯერსისთვის" 36-ე იყო სეზონში. ნიუორკელები 74 ქულით მეექვსე ადგილზე არიან აღმოსავლეთ კონფერენციაში. შვედმა მეკარემ კარიერაში მე-300 გამარჯვება მოიპოვა, აგრეთვე 49-ე შატაუტი შეასრულა. საიუბილეო შატაუტიც, ალბათ, მალე იქნება. და ამით, ლუნდკვისტი საკლუბო რეკორდს გაიმეორებს - **მაიკ რიხტერს** კარიერაში 50 „მშრალი" მატჩი ჰქონდა.

*„შესანიშნავი გრძნობაა - იყო ამ ბიჭების გვერდით. დიდი ხანია ამ კლუბში ვარ, ამიტომაც ჩემთვის ყველაფერი განსაკუთრებულია,* - განაცხადა ლუნდკვისტმა. - *კარგია შატაუტზე ფიქრი. დღეს ამაზე პირველი ორი პერიოდის შემდეგ დავფიქრდი. რატომ არ უნდა მოგვეგო ეს მატჩი? კარგი გამოწვევა იყო ჩემთვის".*

ორი გოლის ავტორი კრეიდერი მოკლე ფრაზით შემოიფარგლა: *„ის მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა. და გაგვიმართლა, რომ ჰენრიკი ჩვენს გუნდში თამაშობს. მან ყველაფერი ლამაზად გააკეთა - საიუბილეო მე-300 გამარჯვება „შატაუტით".*



ჰენრიკ ლუნდკვისტი

**რეინჯერსი-დეტროიტი 3:0**

**1:0, 0:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ბოილი-5 (ჯ. მური-10, დ. მური-10), 2:0 კრაიდერი-15 (მაკდონაჰი-23, სტეპანი-32), 3:0 კრაიდერი-16 (სტეპანი-33, მაკდონაჰი-24).

**ფლორიდა-ბოსტონი 2:5**

**0:0, 1:1, 1:4**

**გოლები:** 1:0 ჰეიესი-6 (ბოუგსტადი-14, ბერგენჰაიმი-10), 1:1 მეზაროში-6 (რ. სმიტი-27, პ. ბერჟერონი-24), 1:2 კრუგი-13 (მარჩანდი-19, პ. ბერჟერონი-25), 1:3 პ. ბერჟერონი-18 (ლ. ერიქსონი-18, სოდერბერგი-25), 2:3 ჰეიესი-7 (იუბერდო-17), 2:4 იგინლა-20 (ლუჩიჩი-28, ხარა-14), 2:5 კელი-6.

**ბაფალო-ჩიკაგო 1:2**

**1:1, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 კეინი-28 (შარპი-34, ოდუია-11), 1:1 სტეფორდი-11 (კონაჩერი-17, ენისი-17), 1:2 ტაივზი-25 (საადი-25, შოუ-13).

**ედმონტონი-ლოს ანჯელესი 2:4**

**1:1, 0:3, 1:0**

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-23 (ტოფოლი-13), 1:1 ტ. ჰოლი-22 (პერონი-22, სემ განიე-23), 1:2 მარტინესი-7 (რეგერი-9, ბრაუნი-10), 1:3 ჯ. კარტერი-24 (კოპიტარი-34, ვოინოვი-22), 1:4 ლუისი-3 (ჯ. კარტერი-19), 2:4 სემ განიე-7 (ტ. ჰოლი-39, შულცი-17).

**მინესოტა-სტ. ლუისი 2:3 (ბ)**

**0:2, 2:0, 0:0, 0:0, 0:2**

**გოლები:** 0:1 ოში-16 (სტინი-21, შატენკირკი-30), 0:2 კოლაიაკოვო-1 (შვარცი-29, ტარასენკო-20), 1:2 პომინვილი-23 (პარიზე-19, სუტერი-29), 2:2 მოულსონი-18 (მ. კოივუ-29).

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), სტინი (სტ. ლუისი).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლიდერები კრიზისში არიან



ჟოაკიმ ნოამ ლებრონს აჯობა

შესანიშნავი სპექტაკლი აჩუქეს „ჩიკაგოს" საშინაო არენაზე გულშემატკივრებს ადგილობრივმა „ბულზმა" და „მაიამი ჰიტმა". **ტომ ტიბოდოს** მებრძოლმა გუნდმა უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ მისთვის ავტორიტეტები არ არსებობენ. ბრწყინვალე დაცვისა და შესანიშნავი გუნდური თამაშის წყალობით, „ჩიკაგომ" დამატებით დროში გადაიყვანა მოქმედ ჩემპიონთან მატჩი.

ძირითადი დროის ბოლო ორმა შეტევამ კარგად აჩვენა დღევანდელი „ბულზის" ღირსებები. თავდაპირველად, **კირკ ჰაინრიხმა** გაათანაბრა ანგარიში ფარქვეშ შესვლისას, რაშიც პარტნიორებთან კარგი ურთიერთშეთამაშება დაეხმარა, შემდეგ კი **ლებრონ ჯეიმსს**, რომელმაც ბოლო 20 წამში საკუთარ თავზე აილო თამაში, ბურთი მოპარა **ჯიმი ბატლერმა**.

დამატებით ხუთ წუთში, ადგილობრივი პუბლიკის მხარდაჭერით გამხნევებულმა „ხარებმა", უბრალოდ, გადათელეს მეტოქე აქტიურობით. პირველივე შეტევიდან მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს. გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო კვლავაც **ჟოაკიმ ნოა** იყო, რომელიც „ბულზის" უდავო ლიდერი გახდა **დერიკ როუზის** ტრავმისა და **ლუოლ დენგის** გაცვლის შემდეგ. როცა მეოთხე მეოთხედში ფრანგი საჯარიმოებს ისროდა, პუბლიკამ ერთხმად დაიწყო მისი მისამართით სკანდირება: M-V-P! მაგრამ ფრანგმა მატჩის შემდეგ ერთნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: *„მე არ მომწონს ასეთი სკანდირება, რადგან MVP არ ვარ. „ჩიკაგოში" ერთი MVP ირიცხება და ეს არის დერიკ როუზი, რომელიც ახლა არ თამაშობს. და საერთოდაც, აბსოლუტურად არ მაინტერესებს პირადი ჯილდოები. მნიშვნელოვანია მხოლოდ საჩემპიონო ბეჭდები და იმედია, ერთხელ აქამდე მივაღწევთ".*

დაახლოებით ერთი კვირის წინ, „შარლოტთან" მატჩში შედეგიანობის პირადი რეკორდის (61 ქულა) დამყარების შემდეგ, ლებრონ ჯეიმსმა მომდევნო სამ მატჩში 58 ქულა აილო. და ეს სამივე შეხვედრა „მაიამიმ" წააგო. ისევე, როგორც აღმოსავლეთის მეორე ლიდერს - „ინდიანას", „ჰიტსაც" ახლა მინი-კრიზისი აქვს. ფლორიდელების წაგებათა სერია სამ მატჩს ითვლის, „პეისერსმა" კი „დალასთან" მარცხის შემდეგ, ოთხ მატჩამდე გააგრძელა მოუგებელი სერია.

■ ■ ■

„ჩიკაგოს" გამარჯვებას „მაიამისთან" სენსაციად ვერ მოვნათლავთ, სამაგიეროდ, ასეთი სტატუსი ეკუთვნის „ლეიკერსის" გამარჯვებას „ოკლაჰომას" წინააღმდეგ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გუნდი, რომელიც ბოლო სამ მატჩში საშუალოდ 136 ქულას უშვებდა, დასავლეთის ლიდერს მოუგებდა. თანაც იმ დროს, როცა „თანდერის" ლიდერმა **კევინ დურანტმა** სეზონში თავისი მესამე სამმაგი დუბლი შეასრულა.

კალიფორნიელთა რიგებშიც მოინახა გმირი. **ჯოდი მიქსმა**, რომლის საშუალო შედეგიანობა სეზონში 15 ქულას შეადგენს, ეს ნორმა თითქმის სამჯერ გაზარდა და 42 ქულით შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა (აქედან 24 ქულა მან დიდი შესვენების შემდეგ მიითვალა).

ბოლო მეოთხედის წინ, „თანდერი" 18 ქულით მარცხბოდა, მაგრამ ბოლო წუთისთვის სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. მიუხედავად ამისა, „ლეიკერსმა" გაძლო და მოგება გაიფორმა ლიგის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ.

მიქსის 42 ქულაზე საუბრისას დურანტმა განაცხადა, რომ ზედიზედ მეორე მატჩში „ოკლაჰომამ" 40 ქულა დააგროვებინა იმას, ვისთვისაც ასეთი შანსი არ უნდა მიეცა. შეახსენებთ, რომ წინა შეხვედრა „თანდერმა „ფინიქსთან" წააგო და იმ მატჩში „სანზის" ფორვარდმა **ჯერალდ გრინმა** 41 ქულა ჩაუგდო მეტოქეს.

■ ■ ■

**ჯეიმს ჰარდენი** არ გახლავთ ლიგის საუკეთესო მოთამაშე, მაგრამ, არის მატჩები, როცა „ჰიუსტონის" მცველის შეჩერება შეუძლებელია და ამ დროს, ტექსასური კლუბი საშინელ ძალას წარმოადგენს. რაღაც მსგავსი მოხდა გუშინ, „პორტლენდთან" მატჩში, რომელსაც სატურნირო თვალსაზრისით ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ჰარდენმა 41 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი და 6 ჩაჭრა მიითვალა და სწორედ იმ წუთებში „გაისროლა", როცა მის გუნდს ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

ბოლო მეოთხედის დასრულებამდე რვა წუთით ადრე, „როკეტსი" 11 ქულას აგებდა და სწორედ ჰარდენმა წამოიწყო სპურტი, რომელიც 12:3 დასრულდა. ამ 12 ქულაში ჯეიმსის წვლილი 9 ქულა იყო. საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე, „პორტლენდი" სამი ქულით იყო წინ და შეხვედრა ოვერტაიმში სამქულიანით იმავე ჰარდენმა გადაიყვანა. დამატებით დროში კი მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

**ჩიკაგო-მაიამი 95:88 (ო)**

21:19, 16:24, 22:24, 27:19, 9:2

ჩ: ოგასტინი (22), ნოა (20+12 მოხსნა+7 პასი+5 დაფარება), ბატლერი (16+11 მოხსნა), ჰაინრიხი (11), გიბსონი (7+10 მოხსნა).

მ: უეიდი (25), ჯეიმსი (17+9 მოხსნა+8 პასი), ბოში (15), კოული (11), ანდერსენი (2+13 მოხსნა+6 დაფარება).

**ლეიკერსი-ოკლაჰომა 114:110**

26:35, 25:21, 36:19, 27:35

ლ: მიქსი (42+4 ჩაჭრა), გასოლი (20+11 მოხსნა), კელი (12+8 პასი), ფარმარი (12), ბეიზმორი (11), ჯონსონი (11), მარშალი (0+10 პასი).

ო: დურანტი (27+10 მოხსნა+12 პასი), იბაკა (21+15 მოხსნა), უესტბრუკი (20+8 პასი), ჯექსონი (14+9 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 111:107 (ო)**

17:29, 26:25, 30:19, 21:21, 17:13

ნ-ო: დევისი (32+17 მოხსნა+6 დაფარება), ტ. ევანსი (20), მოროუ (14), რივერსი (13), გორდონი (10).

დ: ფარიდი (22+14 მოხსნა), ლოუსონი (15+12 პასი), ბრუქსი (15), ჩენდლერი (14), ჰიქსონი (12+9 მოხსნა), მოზგოვი (10).

**ბოსტონი-დეტროიტი 118:111**

26:22, 31:27, 38:35, 23:27

ბ: გრინი (27), ჰემფრიზი (20+11 მოხსნა), ოლინიკი (18), ბეილესი (15), სალინჯერი (14), რონდო (11+18 პასი).

დ: სმიტი (28+11 მოხსნა), მონრო (22+14 მოხსნა), დრამონდი (18+22 მოხსნა), ბაინუმი (18), ჯენინგსი (14).

**ბრუკლინი-საკრამენტო 104:89**

28:19, 21:21, 28:25, 27:24

ბ: ჯონსონი (18), ანდერსონი (11), უილიამსი (10), ლივინგსტონი (10).

ს: კაზინსი (28+20 მოხსნა), გეი (20), ტომასი (10).

**ჰიუსტონი-პორტლენდი 118:113 (ო)**

28:30, 19:24, 26:31, 33:21, 12:7

ჰ: ჰარდენი (41+10 მოხსნა+6 ჩაჭრა), ლინი (26), ჰოვარდი (17+12 მოხსნა), პარსონსი (16), ბევერლი (12+4 ჩაჭრა).

პ: ოლდრიჯი (28+12 მოხსნა), მეტიუზი (26), ლილარდი (21), ლოპესი (11+11 მოხსნა+5 დაფარება), მო უილიამსი (10+11 პასი), ბატუმი (8+12 მოხსნა).

**მინესოტა-ტორონტო 104:111**

33:33, 19:20, 24:30, 28:28

მ: ლავი (26+11 მოხსნა+9 პასი), მარტინი (20), პეკოვიჩი (17+11 მოხსნა), ბრიუერი (17+6 ჩაჭრა).

ტ: დეროზანი (25), ლოური (20+12 მოხსნა+11 პასი), ჯონსონი (15), როსი (15), ნოვაკი (15), ვასკესი (12).

**გ. სტეიტი-ფინიქსი 113:107**

22:29, 34:32, 38:17, 19:29

გ-ს: ლი (26+9 მოხსნა), ტომპსონი (22), კარი (18+9 პასი), გრინი (13).

ფ: გრინი (25), დრაგიჩი (24), ფრაი (16), ტაკერი (11+9 მოხსნა), მარკუს მორისი (11), მარკიფ მორისი (10).

**დალასი-ინდიანა 105:94**

30:18, 18:27, 28:26, 29:23

დ: ელისი (20), ჰარისი (20+4 ჩაჭრა), ნოვიცკი (14), მერიონი (12), კალდერონი (10), კარტერი (10).

ი: ჯორჯი (27+11 მოხსნა), სტივენსონი (21), ჰილი (20), ჰიბერტი (14).

ამბები


იაო მინი

## იაო მთავრობაში წავიდა

წარსულში ცნობილი ჩინელი კალათბურთელი **იაო მინი** ქვეყნის სამთავრობო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა, რომელიც ცხოველთა დაცვაზე მუშაობს.

ამ დღეებში პეკინში დაიწყო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, სადაც იაო მინმა მოუწოდა იქ შეკრებილ საზოგადოებას, რომ მათ იზრუნონ მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებაზე ველური ბუნების დაცვის მიმართულებით. მან აგრეთვე მოუწოდა მთავრობას, მიიღოს შესაბამისი კანონები, რომელიც ბოლომდე აკრძალავს სპილოს ძვლით, მარტორქის რქებითა და მათგან შექმნილი ნაკეთობებით ვაჭრობას. მან წელს უკვე შეიტანა შესაბამისი წინადადება მთავრობაში.

ცხოველთა დაცვის გარდა, იაო მინი დაკავებულია განათლებისა და სპორტის სფეროთი. თუმცა, მინის თქმით, ის ჯერჯერობით არ ჩაღრმავებულა საკანონმდებლო სფეროში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| იუვე სტაბია-პალერმო | 0:3 |
| **ესპანეთი** | |
| ოსასუნა-მალაგა | 0:2 |
| სოსიედადი-რაიო ვალეკანო | 2:3 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბოხუმი-ფიურტი | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტური-ანჟერსი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ემენი-გრააფსხაპი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| მარიტიმუ-გიმარაეში | 2:1 |
| **სეტანტას თასი** | |
| კოლრეინი-დანდალკი | 0:2 |
| სლიგო-კრუზეიდერსი | 5:0 |
| სტ. პატსი-ბალინამალარდი | 5:0 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-სონდერიისკე | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სტ. პოლტენი-ჰორნი | 6:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-შაფჰაუზენი | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| კალონი-ვერია | 0:3 |
| **თურქეთი** | |
| ტრაბზონი-ფენერბაჰჩე | 0:1 შეწყდა |
| **II დივიზიონი** | |
| მერსინი-ადანა | 2:0 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ეთლონი-ლონგფორდი | 0:1 |
| კორკი-ლიმერიკი | 4:0 |
| კრუმლინი-დროგედა | 1:1, დდ 1:3 |
| ფინ ჰარპსი-კოკჰილი | 3:2 |
| დუბლინი-ბოჰემიანსი | 0:3 |
| უოტერფორდი-ევონდეილი | 2:1 |
| შელბურნი-ბრეი | 2:2, დდ 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ტეპლიცე-სლავია | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-სლოვანი | 1:2 |
| **რუსეთი** | |
| ამკარი-ვოლგა | 5:1 |
| ლოკომოტივი-კრილია | 2:1 |
| როსტოვი-ყუბანი | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ენისეი-გაზოვიკი | 0:0 |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 2:1 |
| დინამო (ს-პ)-ხიმიკი | 1:2 |
| **პოლონეთი** | |
| ვიძევი-ლეხი | 2:2 |
| **რუმინეთი** | |
| ნავოდარი-ვასლუი | 0:1 |
| ასტრა-პანდურიი | 2:0 |
| დინამო-კორონა | 1:0 |
| **ლიტვა** | |
| ტრაკაი-გრანიტასი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-ბეითარი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ადრიატიკის ლიგა** | |
| ბუდუჩნოსტი-იგოკეა | 74:63 |
| **თურქეთი** | |
| ბანვითი-გალათასარაი | 83:72 |
| **საფრანგეთი** | |
| ლიმოჟი-სტრასბური | 80:76 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-დინამო მ) | 2:1 |
| ცსკა-სკა | 1:2 (ო) |
| დინამო (რ)-დონბასი | 7:3 |
| სლოვანი-დინამო (მნ) | 1:2 |
| მედვეშჩაკი-ლევი | 2:5 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ინგლოშტადტი | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-სკალიცა | 3:1 |
| პიესტანი-პოპრადი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 2:0 |
| პარდუბიცე-სლავია | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| ჰვ71-ლექსანდი | 4:2 |
| ლინჩოპინგი-მოდო | 4:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ვესელი-მარეი | 7:6, 4:6, 4:6 |
| ტურსუნოვი-ფედერერი | 6:7, 6:7 |
| მონფილსი-ფონინი | 2:6, 6:3, 5:7 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ნა ლი-კარ. პლიშკოვა | 6:3, 6:4 |
| პავლიუჩენკოვა-ვოზნიაკი | 1:6, 7:6, 0:6 |
| პენეტა-სტოსური | 6:4, 3:6, 6:1 |

TV პროგრამა

**11 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

23:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ატლეტიკო-მილანი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
12:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტური. სეტუბალი-სპორტინგი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. აიაქსი-კამბური.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ნიურნბერგი-ვერდერი.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
22:00 საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
22:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ბაიერნი-არსენალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
01:45 ამხანაგური მატჩი. ესპანეთი-იტალია.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-ვიტესი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. კახა ლაბორალი-ოლიმპიაკოსი.
14:30 საფეხბურთო ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-არსენალი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
20:00 საჩოგბურთო მიმოხილვა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. აკაპულკო. მექსიკა.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
21:30 ჩოგბურთი. ახალი ამბები.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 12 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 16 | (წვიმა) |
| ბათუმი | 11 | 12 | (წვიმა) |
| ფოთი | 10 | 13 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 10 | 14 | (წვიმა) |
| გორი | 3 | 14 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 12 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 3 | 11 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -3 | 5 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 0 | 9 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 4 | 15 | (წვიმა) |
| მესტია | 2 | 8 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.4121 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7387 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8956 |
| 100 რუსული რუბლი | 4.7949 |

ფორმულა 1



დიტრიხ მატეშიცი

# შეეშვით თხილამურებს!



გერჰარდ ბერგერი

იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო **მიხაელ შუმახერის** ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამაიმედებელ ინფორმაციას ელოდება, ფორმულა 1-ის სტაჟიან გულშემატკივრებს ნერვიულობის ახალი საბაბი მიეცათ. რამდენიმე დღის წინ, კურორტ ბრიკსენტალში თხილამურებით სრიალისას დაეცა ცნობილი ავსტრიელი პილოტი **გერჰარდ ბერგერი**. დაცემისას მან ხელი მოიტეხა.

ავსტრიული პრესის ინფორმაციით, ფორმულა 1-ის ყოფილმა წევრმა უფრო სერიოზული ტრავმები თავიდან აიცილა, მაგრამ უქმეები მაინც ტიროლის ერთ-ერთ კლინიკაში გაატარა, რის შემდეგაც, ექიმებმა ბერგერი შინ გაუშვეს.

გაზეთმა Kronen-Zeitung-მა ამ ინციდენტსა და მიხაელ შუმახერის ტრაგიკულ შემთხვევას შორის მსგავსება იპოვა: ბერგერი იმ დროს დაეცა, რომ სათხილამურო ტრასის მიღმა იმყოფებოდა.

# ფეტელის ეპოქა დამთავრდა?

ახლოვდება ახალი სეზონის სტარტი და უკვე ყველა ღიად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ 2014 წლის ჩემპიონატი კარგს არაფერს მოუტანს ბოლო წლების ლიდერს - „რედ ბულს".

ავსტრიულმა საჯინიბომ საკმაოდ წარუმატებლად ჩაატარა ზამთრის ტესტები, გუნდის ლიდერმა **სებასტიან ფეტელმა** კი ამასწინ აღიარა, რომ ჯერ არ ფიქრობს მორიგ ტიტულზე.

საინტერესოა, რა განწყობა აქვს სეზონის წინ „რედ ბულის" მფლობელს, ავსტრიელ მილიარდერ **დიტრიხ მატეშიცს**. ის დარწმუნებულია, რომ გუნდი ყველანაირ სირთულეს გაუმკლავდება.

*„სხვადასხვაგვარი ემოცია მიპყრობს. როგორც ფორმულა 1-ის დიდი გულშემატკივარი, მიხარია, რომ ჩემპიონატი ისევ საინტერესო ბრძოლაში ჩაივლის, თუმცა „რედ ბულის" დომინირება, სავარაუდოდ, დასასრულს მიუახლოვდა. წესები ყველასთვის ერთია. გუნდი ძალიან დაძაბულ რეჟიმში მუშაობს, თანამშრომლობს „რენოსთან", სხვადასხვა ინფორმაციას აწვდის მას, რამაც შეიძლება პრობლემის მოგვარებას შეუწყოს ხელი.*

*„რედ ბულში" ხუთი წლის განმავლობაში, სებასტიან ფეტელი ოთხწელიწადნახევარი გამოდიოდა მანქანით, რომელსაც მოგება შეეძლო. არ მგონია, ის ამჯერად ვერ გაუმკლავდეს შექმნილ სიტუაციას. ისევე როგორც მთელი გუნდი, ფეტელიც იღებს ამ გამოწვევას"*, - ამბობს მატეშიცი.

■ ■ ■

ამასობაში, მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონს **ჟაკ ვილნევს** მიაჩნია, რომ წელს სებასტიან ფეტელი ვერ შეძლებს თავისი საჩემპიონო სერიის გაგრძელებას.

*„თითქმის დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ სებასტიანი 2014 წელს ტიტულს ვერ მოიგებს. „რენო" აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩანს ახალი სეზონისთვის და მის ძრავებს ეტაპის დასრულებაც არ შეუძლიათ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „რედ ბული" სეზონის ევროპული ნაწილისთვის შეძლებს ახალი მანქანის მომზადებას, ეს ბევრს არაფერს შეცვლის. შესაძლოა, მათ 30 წრე გაიარონ 15-ის ნაცვლად. პრობლემა ძრავაში მდგომარეობს და არა მანქანაში"*, - ამბობს კანადელი პილოტი.

*„რა აზრი აქვს „რედ ბულის" ავსტრალიაში გამგზავრებას? ისინი ნახევარ დისტანციასაც ვერ გადიან და გუნდების უმრავლესობასთან სიჩქარეში აგებენ"*, - დაამატა ვილნევმა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ფეტელმა ბოლო განცხადებაში თქვა, რომ მისი გუნდისთვის ავსტრალიის რბოლაში ფინიშზე მისვლაც დიდი გამარჯვება იქნება.

# ჰემილტონი: ეს სეზონი ყველამ უნდა ნახოს



ლუის ჰემილტონი

**სებასტიან ფეტელი** და „რედ ბული" 2010 წლიდან იმარჯვებდნენ მსოფლიოს ჩემპიონატში, მაგრამ დღეს ბევრს აქვს იმედი, რომ ტექნიკურ რეგლამენტში მომხდარი ცვლილებები ბოლოს მოუღებს ამ გუნდის დომინირებას. „მერსედესის" წევრმა **ლუის ჰემილტონმა** ეს სიტუაცია BBC-თან ინტერვიუში ახსნა.

*„ოთხი წლის განმავლობაში ერთი გუნდის დომინირება - მინუსია სპორტისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ინტრიგა ბოლო რბოლამდე იყოს შენარჩუნებული. და იმედია, წლევანდელი ცვლილებების შემდეგ, სწორედ ასე იქნება.*

*მე ბევრს ვმოგზაურობ, უამრავ ადამიანს ვხვდები, რომლებიც ამბობენ: „ადრე ვუყურებდი ფორმულა 1-ს, დღეს - აღარ". მე ასე ვიტყოდი: წელს უნდა უყუროთ ჩემპიონატს, რადგან ბევრი რამ შეიცვალა. ეს სეზონი ნებისმიერი გულშემატკივრისთვის საინტერესო იქნება.*

*საერთო ჯამში, „რედ ბულს" კვლავაც საოცარი მანქანა ჰყავს. იმედია, ჩვენი ძრავა მათზე უკეთესი იქნება. „ფერარიმ" საკმაოდ კონკურენტუნარიანი მანქანა მოამზადა - იტალიელები სერიოზული მეტოქეები იქნებიან. სიურპრიზი შეიძლება შემოგვთავაზონ „უილიამსის" წევრებმა - ეს გუნდი „მერსედესის" ძრავებზე გადავიდა და ეფექტური მანქანა შექმნა. ვფიქრობ, ისინი კარგ შედეგებს მიაღწევენ"*, - ამბობს ბრიტანელი პილოტი.

ბევრს ექსპერტს „მერსედესი" ტიტულისთვის ბრძოლაში მთავარ ფავორიტად მიაჩნია, მაგრამ ლუის ჰემილტონს ზომიერი ოპტიმიზმი გააჩნია.

*„კარგია, რომ კონკურენტებს გავლილი მანძილით გავუსწარით, - აგრძელებს ჰემილტონი. - ტესტებზე ბევრი დადებითი ასპექტი გამოჩნდა, ასევე ნაკლიც. ეს კარგია, რადგან არ გვინდოდა პრობლემები სეზონის მსვლელობისას მიგვეღო. გვაქვს დრო იმისთვის, რომ ხარვეზებზე ვიმუშაოთ. ყველაზე საინტერესო წინ არის, თუმცა ჩვენ ძალიან კარგად ვართ მომზადებულნი.*

*არ ვიცი, შევძლებთ თუ არა გამარჯვებისთვის ბრძოლას მელბურნში. დიახ, ჩვენ სწრაფი მანქანა გვყავს, კარგი დრო ვაჩვენეთ და ცუდად არ გამოვიყურებოდით წრეების გრძელი სერიების დროს. მაგრამ მოწინააღმდეგე გუნდებს არ უჩვენებიათ რეალური ტემპი. ნებისმიერ შემთხვევაში, ვაგრძელებთ დაძაბულ მუშაობას.*

*ვგრძნობ, რომ კარგად ვარ მზად სეზონისთვის. ასეთი განწყობა არასოდეს მქონია. შესანიშნავ ფორმაში ვარ და ყველაფერი მაქვს იმისთვის, რომ მაღალ შედეგებს მივაღწიო. მეტოქეებიც ძლიერები არიან, მაგრამ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი"*.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი



ოჟიეს ფინიში

# ფოლკსვაგენი დომინირებს

როგორც ჩანს, წლევანდელი სეზონიც შარშანდელის მსგავსად „ფოლკსვაგენის" დომინირებით ჩაივლის. მექსიკაში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი და ზედიზედ მესამედ, ფინიშზე პირველი გერმანული გუნდის პილოტი მივიდა. უფრო მეტიც, პირველობისთვის ბრძოლა „ფოლსკვაგენის" წევრებს შორის გაჩაღდა და ამ ბრძოლაში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ოჟიემ** კომფორტული უპირატესობით დაამარცხა თანაგუნდელი **იარი-მატი ლატვალა**, რომელმაც წინა ეტაპზე იზეიმა გამარჯვება და საერთო ჩათვლის ლიდერი იყო.

უკვე ეტაპის ბოლოსწინა დღეს ცხადი იყო, რომ „ფოლკსვაგენი" სეზონში მეორე დუბლის შესრულების შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. ბოლო დღეს პილოტთა უმრავლესობა საკუთარი პოზიციების შენარჩუნებაზე იყო კონცენტრირებული. საბოლოოდ ოჟიემ ლატვალას წუთი და 12 წამი მოუგო და როგორც საკუთარ გულშემატკივრებს პირდებოდა, გენერალურ კლასიფიკაციაში ლიდერობა დაიბრუნა.

**მექსიკის რალი**

1. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „ფოლკსვაგენი") - 4:27:41,8; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფოლკსვაგენი") - +1:12,6; 3. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, „ჰიუნდაი") - +5:28,6; 4. **ელვინ ევანსი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - +6:49,3; 5. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, „ფორდი") - +9:54,4; 6. **ბენიტო გუერა** (მექსიკა, „ფორდი") - +12:57,6; 7. **კრის ატკინსონი** (ავსტრალია, „ჰიუნდაი") - +15:15,4; 8. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - +17:06,8...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ოჟიე** - 63 ქულა; 2. **იარი-მატი ლატვალა** - 60; 3. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 32; 4. **ანდრეას მიკელსენი** (ნორვეგია, „ფოლკსვაგენი") - 24; 5. **ელვინ ევანსი** - 20; 6. **ბრაიან ბუფიე** (საფრანგეთი, „ფორდი") - 18; 7. **მიკო ჰირვონენი** - 18; 8. **კრის მიკი** (ბრიტანეთი, „სიტროენი") - 17.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნალიძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედიის უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად 03:30 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ირაკლი თავაძე
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608